ქეთევან ცხადაძე, ნიკა ასვანუა, ნინო ხარატი

# კაზუსის ამოხსნის მაგალითები ადმინისტრაციულ სამართალში

თბილისი

2021

რედაქტორი:  ქეთევან ცხადაძე
თბილისის ღია უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი

© ქეთევან ცხადაძე, ნიკა ასვანუა, ნინო ხარატი 2021
© გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“ 2021

## ავტორებისაგან

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია კაზუსები ზოგად ადმინისტრაციულ სამართალსა და ადმინისტრაციული სამართლის პროცესში. კაზუსები შედგენილია მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შესწავლის/ანალიზის საფუძველზე. კაზუსების თემატური თანმიმდევრობა შეესაბამება საქართველოს ზოგად და საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსებით გათვალისწინებული საკითხების სისტემას.

კაზუსების ამოხსნისთვის არ არის სავალდებულო ერთგვაროვანი მეთოდით ხელმძღვანელობა, თუმცა, საბოლოო შედეგის სამართლებრივი შემთხვევის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია, რიგი სისიტემური მიდგომების დანერგვა. შეიძლება ითქვას, რომ კაზუსის ამოხსნის იმდენი მეთოდი არსებობს, რამდენი პროფესორიც მას იყენებს სწავლების პროცესში. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია კაზუსის ამოხსნის სახეები ადმინისტრაციული სამართლში, რომელიც სისტემატიზირებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, კაზუსის პირობის შინაარსის გათვალისწინებით. წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, რაც გამოხატულია აბსტრაქტული ნორმების კონკრეტულ ფაქტებთან სტრუქტურირებული მისადაგების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ნაშრომი მოიცავს კაზუსებს მაგალითის სახით და მათ ამოხსნებს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სწავლებისას მოხდეს მათი სისტემურად განხილვა და გააზრება.

ნაშრომის მიზანია, ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს თეორიული საკითხების ადვილად გააზრებასა და აღქმაში, რაც გამოიხატება საქართველოს ზოგადი და სპაროცესო ადმინისტრაციული კოდექსებით გათვალიწინებულ კონკრეტულ თავებთან და საკითხებთან დაკავშირებით კაზუსების შეთავაზებაში. ამასთან, ნაშრომში დეტალურადაა განმარტებული კაზუსის ამოხსნის ის გზები, რაც გაუმარტივებს დაინტერესებულ პირს კაზუსის ამოხსნის პროცედურას და დაეხმარება პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების საფუძველზე კონკრეტული შემთხვევების პრაქტიკულ-სამართლებრივ გადაწყვეტაში.

ვფიქრობთ, რომ ნაშრომი დაეხმარება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ადმინისტრაციულ სამართლის სწავლებისას სასემინარო/ჯგუფში მუშაობისას წარმოშობილი სამართლებრივი შემთხვევის სწორად გადაწყვეტაში.



## I. კაზუსის სახეები

კაზუსის ამოხსნის კლასიფიცირება შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, კაზუსის პირობის შინაარსის გათვალისწინებით. კერძოდ, იმის მიხედვით კითხვა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის იდენტიფიცირებას ან თუ შესაფასებელია თავად აქტის კანონიერება, ასევე ადმინისტრაციული საჩივრისა და ადმინისტრაციული სარჩელის შესამოწმებლად. შესაბამისად, შესაძლოა კაზუსების კლასიფიცირება შემდეგ სახეებად:

- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის იდენტიფიცირება
- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება
- ადმინისტრაციული საჩივარი
- ადმინისტრაციული სარჩელი

თითოეული კაზუსის სახის ამოსახნელად კი წარმოდგენილია სხვადასხვა სქემები, რომლის მიხედვითაც გამარტივდება კაზუსის ამოხსნა. ქვემოთ წარმოდგენილი სქემები და კაზუსის ამოხსნის სტრუქტურა დახმარებას გაგიწევთ კაზუსის უკეთ გაგებასა და გააზრებაში.

## II. ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების იდენტიფიცირება

სქემა N1

| ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იდენტიფიცირება | |
|---|---|
| **ადმინისტრაციული ორგანო** | საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ტერმინის განარტების მიხედვით, ის ორგანო ან პირი, რომელიც ექცევა ორგანიზაციულ-სამართლებრივი/ფუნქციონალური ცნების ქვეშ; |
| **ადმინისტრაციული კანონმდებლობა** | ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გამოცემულია აქტი და რომელიც არეგულირებს საჯარო მმართველობით საქმიანობის კონკრეტულ სფეროს; |
| **ინდივიდუალური აქტი** | ინდივიდუალურ პირთა წრის ან კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელი აქტი; |
| **მოწესრიგება** | დადგენა, დაწესება, შეცვლა, აკრძალვა ან სხვა სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. |



სქემა N2

| ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იდენტიფიცირება | |
|---|---|
| ადმინისტრაციული ორგანო | ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ექცევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის ტერმინის განარტების ფარგლებში; |
| საკანონმდებლო აქტი | ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს; |
| ქცევის ზოგადი წესი | პირთა ფართო წრის მიმართ მუდმივი ან დროებითი ქცევის რეგულირება. |

## III. ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება

სქემა N3

| ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება | |
|---|---|
| ფორმალური კანონიერება | უფლებამოსილების საფუძვლის დადგენა |
| | ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახის გამოყენება |
| | აქტის ფორმის მართებულობა/სისწორე |
| | დასაბუთება |
| მატერიალური კანონიერება | უფლებამოსილების ფარგლების დადგენა |
| | შესაბამისობა მოქმედ კანონდებლობასთან |
| | გამოყენებული დისკრეციული უფლებამოსილების მართლზომიერება |

### სქემა N4

| ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება | |
|---|---|
| ფორმალური კანონიერება | უფლებამოსილების საფუძვლის დადგენა; |
| | ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახის გამოყენება; |
| | აქტის ფორმის სისწორე; |
| | დასაბუთება. |
| | |
| მატერიალური კანონიერება | კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლები; |
| | |
| | კონსტიტუციასა და მოქმედ ნორმებთან შესაბამისობა. |



## IV.ადმინისტრაციული საჩივარი

### სქემა N5

| დასაშვეობის შემოწმება | |
|---|---|
| ადმინისტრაციულ საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი - სუბიექტუნარიანობა | სუბიექტი (დაინტერესებული მხარე, ადრესატი) - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი და რომელზეც პირდაპირ და უშუალო და გავლენას ახდენს აქტი ან ქმედება; |
| ხანდაზმულობა | დაცულია თუ არა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გასაჩივრების დადგენილი ვადა; |
| დასაბუთებულობის შემოწმება | ფორმალური და მატერიალური კანონიერების შემოწმება; |
| დასკვნა/გადაწყვეტა | თუ ადმინისტრაციული საჩივარი დასაშვებია და გამოიკვეთა აქტის უკანონობის საფუძველი, მაშინ დასაშვებია ადმინისტრაციული საჩივარი და მოთხოვნაც დასაბუთებული და პირიქით. |

# VI. ადმინისტრაციული სარჩელი

### სქემა N6

| | |
|---|---|
| უწყებრივი ქვემდებარეობა/ განსჯადობა | სასკ-ის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე |
| სარჩელის სახე | |
| სუბიექტუნარიანობა | სუბიექტი (დაინტერესებული მხარე, ადრესატი) - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი და რომელზეც პირდაპირ და უშუალო და გავლენას ახდენს აქტი ან ქმედება. |
| სარჩელის დასაშვეობა | სუბიექტუნარიანობის, გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის შემოწმება, საჩივრის როგორც სარჩელის დასაშვეობის წინაპირობის გამოყენება (სასკ-ის 22-ე, 23-ე მუხლები) |
| სარჩელის დასაბუთებულობა | ფორმალური და მატერიალური კანონიერების შემოწმება (სასკ-ის 32-ე, 33-ე მუხლები) |



# VII. კაზუსის ამოხსნის სტრუქტურული გეგმა

- ✓ კაზუსის მთავარი კითხვა

კაზუსის განხილვის დაწყებამდე, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ რას უნდა გაეცეს პასუხი. შესაბამისად, კაზუსის მთავარი კითხვის სწორად გაგებას და გააზრებას აქვს არსებითი მნიშვნელობა კაზუსის განხილვისათვის. მხოლოდ კაზუსის ფაბულის ზუსტად გააზრების შემდეგ, იწყება მისი ამოხსნა. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კაზუსის კითხვის სწორ იდენტიფიცირებას ანუ რას უნდა გაეცეს საბოლოო დასკვნაში პასუხი.

- ✓ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა

კაზუსის ამოხსნა ადმინისტრაციულ სამართალში გამოირჩევა იმით, რომ იგი არის როგორც ფაქტობრივ გარემოებების შეფასებაზე ორიენტირებული, ასევე კაზუსის ამოხსნისას დგინდება ფორმალური და მატერიალური შესაბამისობა.

კაზუსის ფაბულაში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და მისი სწორად გაგება ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს კაზუსის სწორად ამოხსნას.

კაზუსში მითითებულია ყველა ის გარემოება, რომელიც კაზუსის ამოხსნისათვისაა საჭირო. ფაქტობრივი გარემოებების სიზუსტით გაგება მნიშვნელოვანია, რათა კონცენტრირება მოახდინოთ იმ ფაქტობრივი გარემოებების შეფასებაზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს კაზუსის ამოხსნის სწორ მიმართულებას და შესაბამის შედეგს. შესაბამისად, სანამ კაზუსის ამოხსნას შეუდგებით, დარწმუნდით, რომ კაზუსში მითითებული ფაბულა – ფაქტობრივი გარემოებები სწორად გაიგეთ.

- ✓ სუბსუმცია

სუბსუმციის მიზანია კაზუსის სამართლებრივი ანალიზი და მისი შეფასება.შესაბამისად, სუბსუმცია არის სამართლებრივი დასკვნის შედგენის უმთავრესი კომპონენტი, კერძოდ, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგება (შეფარდება) აბსტრაქტულ ნორმებთან ან მოთხოვნის დამფუძნებელ სამართლებრივ საფუძვლებთან.

- ✓ სამართლის ნორმის გამოყენება

კაზუსის ამოხსნისას არსებითი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ნორმის მოძიებას, მის განმარტებას და შეფარდებას. შესაბამისი ნორმების ანალიზის საფუძველზე კი დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბებას.

ნორმის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტების მეთოდების სწორად გამოყენება (მაგ: გრამატიკული, სიტყვა-სიტყვითი, ლოგიკური, სისტემური და სხვ.). ზოგიერთ შემთხვევაში, ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების მეთოდის შესაბამისი ინტერპრეტაცია არასაკმარისია მისი მიზნისა და შინაარსის სწორი შეფასებისათვის, ამიტომ ნორმის დეფინიციისას, სასურველია, გამოყენებულ იქნას იურიდიული დოქტრინა, სასამართლო პრაქტიკა. ხოლო კანონით დაურეგულირებელი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით კი დასაშვებია კანონის ანალოგია. ანალოგიის გამოყენება ხორციელდება განსახილველ შემთხვევასთან ყველაზე ახლოს მდგომი ნორმის შერჩევისა და გამოყენების გზით.



- ✓ დასკვნა/შედეგი

კაზუსის ამოხსნის მიზანია სწორედ საბოლოო დასკვნის და შედეგის განსაზღვრა, სადაც შესაბამისი ნორმების ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის შემუშავება ხდება. დასკვნაში აუცილებელია პასუხი გაეცეს კაზუსის მთავარ კითხვას.

წარმოდგენილი 3 და 4 სქემები შეიცავს კანონიერების შემოწმების ელემენტებს, რომელთა დაცვის ერთობლიობაც წარმოშობს კანონიერების საფუძველს. ერთ-ერთი ელემენტის დაუცველობა შესაძლოა იქცეს აქტის უკანონობის საფუძვლად. შესაბამისად, თითოეული ელემენტის განხილვა უნდა მოხდეს სათითაოდ ზემოთ აღნიშული სქემების მიხედვით. ყველა ასეთი ცალკეული ანალიზის ბოლოს კი უნდა მოხდეს შუალედური დასკვნა ან შუალედური შედეგის დადგენა. ხოლო ელემენტების შემოწმების დასასრულ კი საბოლოო შედეგის. საბოლოო შედეგი გაცემს პასუხს სახეზეა თუ არა კანონიერი აქტი.

## VII. კაზუსის ამოხსნის მაგალითები:

### კაზუსი №1
### ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების იდენტიფიცირება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მიმართა მოქალაქე ლ. ბურდულმა და მოითხოვა თბილისის ზღვის მიმდებარედ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა, კომისიამ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განიხილა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და მიიღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე, რის საფუძველზეც გამოსცა შესაბამისი განკარგულება.

**ამოხსნა:**

- **ადმინისტრაციული ორგანო**

განსახილველ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია (შემდგომში - კომისია) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის ტერმინის განარტების მიხედვით, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

- **ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე**

კომისიის მიერ გამოცემული განკარგულება ეფუძნება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონს, რომელიც ადგენს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან



კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარების უფლება.

- **ინდივიუდუალურ სამართლებრივი აქტი**

განსახილველ შემთხვევაში კომისიის მიერ მიღებული განკარგულება საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის მიხედვით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგანაც ადრესატი ინდივიდუალურად არის განსაზღვრული და ადმინისტრაციული ორგანოს უარი შეეხება კონკრეტულ შეთხვევას - საკუთრების უფლების გაცემაზე აურის თქმას. ამასთან აქტი არის ერთჯერადი გამოყენების.

- **მოწესრიგება** განსახილველ შემთხვევაში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეს არის მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმა, რომელიც ადგენს უძრავ ქონებაზე დაინტრესებულ პირის საკუთრების უფლების არ არსებობის საკითხს.

**დასკვნა** - ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული კოდექსით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობის შედეგად, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული აქტის (რომელიც არეგულირებს საჯარო მმართველობით საქმიანობის კონკრეტულ სფეროს) საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს კონკრეტული პირის სამართლებრივ უფლებებს.

### კაზუსი №2
### ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება

2017 წლის 1 ნოემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში- სააგენტო) განცხადებით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მოითხოვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 5 ერთეული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემა, იმ საფუძვლით, რომ იგი გეგმავს ინფრასტრუქტურული პროექტების განხ-

ორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განცხადების სზაკ კოდექსის 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან მე-2 დღეს გადაუგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ზემოაღნიშნული წერილი და მოითხოვა მასში მითითებული საკითხის შესახებ მოსაზრების წარმოდგენა 2 კვირის ვადაში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა თავისი მოსაზრება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, შესაბამისად სააგენტო აღარ დაელოდა პასუხს და თავად მიიღო გადაწყვეტილება უძრავი ნივთის გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე და გამოსცა ბრძანება, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.

შეაფასეთ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქმედების კანონიერება.

**ამოხსნა:**

**ფორმალური კანონიერება**

**უფლებამოსილების საფუძვლის დადგენა -** განსახილველ შემთხვევაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საქმიანობას, განკარგვას სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას (უძრავი/მოძრავი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე).

**ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახის გამოყენება -** სააგენტომ სზაკ კოდექსის 72-76 მუხლების საფუძველზე დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. იქიდან გამომდინარე, რომ საკითხი ეხებოდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თემატიკას, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა მოსაზრებისათვის წერილით მიემართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის. განცხადების სზაკ კოდექსის 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან მე-2 დღეს გადაუგზავნა წერილი ზემოაღნიშნულ სამინისტროს და სზაკ კოდექსის 84 -ე მუხლის შესაბამისად ვადად განუსაზღვრა 2 კვირა.

**აქტის ფორმის მართებულობა/სისწორე-** როგორც განსახილველ შემთხვევიდან ირკვევა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ არ განხორციელდა განსაზღვრულ ვადაში მოსაზრების წარმოდგენა, სააგენტომ კი მიიღო გადაწყვეტილება უძრავი ნივთის გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე და გამოსცა შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტი (ბრძანება).

**დასაბუთება -** როგორც განსახილველ შემთხვევიდან ირკვევა, სააგენტოს მიერ გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ იქნა ის საფუძლები და გარემოებები, რამაც განაპირობა მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა

**მატერიალური კანონიერება**

**უფლებამოსილების ფარგლების დადგენა-** წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა, შესაბამისად იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის თაობაზე და გამოსცეს შესაბამისი ბრძანება.

**შესაბამისობა მოქმედ კანონდებლობასთან -** განსახილველ შემთხვევაში მითითებული სააგენტოს უფლებამოსილება და მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას.

**გამოყენებული დისკრეციული უფლებამოსილების მართლზომიერება-** მოცემულ შემთხვევაში სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მიიღოს გადაწყვეტილება ქონების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა/ არ გადაცემის თაობაზე და ამასთან თავად გადაწყვიტოს გაითვალისწინებს თუ არა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პოზიციას, შესაბამისად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქმედება იყო კანონიერი და სრულად შეესაბამება სზაკ კოდექსის 84-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ ამავე

მუხლის მე- 3 ნაწილი მიგვითითებს, რომ განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსაზრების წარუდგენლობა არ აბრკოლებს გაცხადებაში დასმული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

**კაზუსი №3**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის 10 მაისის № 1№201 ბრძანების საფუძველზე შპს ,,საქართველოს" გააუქმა ლიცენზია ტოტალიზატორზე და მიეცა გაფრთხილება, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ტოტალიზატორის ფუნქციონირება ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" კანონის თანახმად.

ამოხსნა:

- **ადმინისტრაციული ორგანო**

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაა. ბრძანება მიღებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუქნტის ტერმინის განარტების მიხედვით, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ცნების გაგებით.

- **ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული აქტი ეფუძნება კანონს ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ". აღნიშნული ნორმატიული აქტი არეგულირებს საქმიანობის კონკრეტულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ნებართვების გაცემის, შეჩერების, გაუქმების წესს. კერძო სამართლის იურიდიულ პირს ამ შემთხვევაში შპს ,,საქართველოს" მხოლოდ სახელმწიფოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა.

- **ინდივიუდუალურ სამართლებრივი აქტი**

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ღონისძიება - აკრძალვა - ეხება კონკრეტულ სუბიექტს შპს ,,საქართველოს". სუბიექტი ინდივიდუალურად არის განსაზღვრული და აკრძალვა შეეხება კონკრეტულ შემთხვევას - სამეწარმეო საქმიანობის შეჩერებას. აქტის არის კონკრეტული, ვინაიდან საწარმოს კონკრეტულ საქმიანობას ეხება და თავისი ბუნებით ერთჯერადია.

- **მოწესრიგება**

განსახილველ შემთხვევაში სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიება მიმართულია იქეთკენ, რომ წარმოშვას ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგი. ის საწარმოს უკრძალავს კონკრეტულ სამეწარმეო საქმიანობის განხორცილიელებას. აქტი თავისი ბუნებით არის ამკრძალავი ხასიათის.

**დასკვნა-** განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

## კაზუსები
## ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში

### I თავი

**№1.**

თბილისის მცხოვრებმა მოქალაქემ მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც წარმოადგენს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მოქალაქე ითხოვდა სააგენტოსაგან, რომ განემარტათ მისთვის თუ რატომ მოხდა მისი სოციალურად დაუცველთა ერთიანი სიიდან ამორიცხვა და მოითხოვა აღიდეგინათ მისთვის ეს სტატუსი. სოციალური მომსახურების სააგენტომ უარი განუცხადა მოქალაქეს განცხადების დაკმაყოფილებაზე.

**წარმოადგენს თუ არა უარი განცხადების დაკმაყოფილებაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს?**

**№2.**

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექცია წარმოადგენს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ზედამხედველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ასევე ხმაურის ნორმების დაცვაზე.

ყოველდღიური მონიტორინგის ფარგლებში, ინსპექციამ რუსთაველის გამზირზე შეამჩნია ორი ახალგაზრდა, რომლებიც ერთ-ერთი შენობის ფასადზე სხვადასხვა სახის წარწერების და სიმბოლოების თვითნებურად შესრულებას ახდენდენ. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ფასადებზე, ვიტრინებზე წარწერების თვითნებური შესრულებისას დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. ვინაიდან, ორმა ახალგაზრდამ დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ინსპესქციამ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური პირების მიმართ მიიღო გადაწყვეტილება დაჯარიმების თაობაზე.

**განმარტეთ რა სახის აქტს წარმოადგენს ინპექციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?**

**№3.**

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით ქ. მცხეთაში მდებარე ერთ-ერთ შენობას მიანიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. სამინისტროს გადაწყვეტილებით აღნიშნული შენობა ისტორიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროებდა შესაბამისი აქტის გამოცემას შენობისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

**რა სახის აქტს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შენობისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე?**

**№4.**

ქ.თბილისის წარმომადგენლობითმა ორგანომ - თბილისის საკრებულომ 2018 წლის 1 იანვარს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” კოდექსის თანახმად, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დარეგულირდა თბილისის საკრებულოში შრომის შინაგანაწესი. აღნიშნული გადაწყვეტილებით განისაზღვრა თბილისის საკრებულოსი დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობები, კერძოდ, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, დასაქმებულ პირთა ქცევის ზოგადი წესი, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

**განსაზღვრეთ ქ.თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რა სახის აქტს წარმოადგენს?**

**№5.**

თბილისის მცხოვრებმა მოქალაქეებმა მიმართეს თბილისის მერიას შესაბამისი პროგრამის ფარგლებში კომუნალური გადასახადის ვაუჩერის მიღების მოთხოვნით. თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი ნორმატიული აქტით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით შერჩეულ ორ განმცხადებელს ჰქონდა იდენტური მონაცემები. კერძოდ, ისინი იყვნენ სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული პირები. ვინაიდან, მერიას ჰქონდა შეზღუდულული ფინანსური შესაძლებლობები, კომისიამ უპირატესობა მიანიჭა ერთ-ერთ განმცხადებელს, რომელის არჩევნებზე იყო მმართველი პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერი.

**შეამოწმეთ გადაწყვეტილების შესაბამისობა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან. დაირღვა თუ არა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი?**

**№6.**

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურმა მოქალაქე გიორგის მისი განცხადების პასუხად წერილობით აცნობა, რომ სამსახური გასცემდა მშენებლობის ნებართვას გიორგი საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. გიორგიმ რამდენიმე ხნის შემდეგ მიმართა მერიის არქიტექტური სამსახურს მშენებლობის ნებართვის მოპოვების თაობაზე, თუმცა გიორგის მოთხოვნა მერიის სამსახურმა არ დააკმაყოფილა და უარი უთხრა მშენებლობის უფლების მიღებაზე.

**აქვს თუ არა ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონიერ ნდობას გიორგის მიმართ? განსაზღვრეთ კანონიერი ნდობის პრინციპი.**

**№7.**

დავითი, რომელიც არის 15 წლის გააჩერა საპატრულო პოლიციამ და მოსთხოვა მართვის მოწმობის წარმოდგენა. აღმოჩნდა, რომ დავითი მამის კუთვნილ ავტომანქანას მართავდა მოწმობის



გარეშე, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას და იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მიიღო გადწყვეტილება, რომ არ დაეჯარიმებინა დავითი 500 ლარის ოდენობით და მას სანქციის სახით უფრო მსუბუქი ჯარიმა დააკისრა 100 ლარის ოდენობით.

**შეაფასეთ საპატრულო პოლიციელის თანამშრომლის ქმედება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კუთხით.**

**№8.**

2017 წლის 24 იანვარს ლიკამ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს თხოვნით მომხდარიყო მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის გამწვანება.

ზ/ა საკითთან დაკავშირებით ლიკა დაბარებული იქნა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, სადაც მან მიიღო ზეპირი დაპირება, რომ თუ მოაწესრიგებდა აღნიშნულ ტერიტორიას სამსახური იღებდა ვალდებულებას შემდგომში მის გამწვანებაზე.

2017 წლის 10 მარტს, ლიკამ მას შემდეგ რაც მოაწესრიგა მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია, კვლავ მიმართა თხოვნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მოეხდინა მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მაგრამ სამსახურის ახალმა ხელმძღვანელობამ სრულიად უარყო რაიმე სახის დაპირების არსებობა და საბიუჯეტო სახსრების სიმცირის გამო უარით გაისტუმრა ნიკა.

ზ/ა გამომდინარე ლიკამ არაერთგზის მიმართა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ზემდგომ ორგანოს.

უშედეგო მცდელობების შედეგად მან გადაწყვიტა გაესაჩივრებინა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

**გთხოვთ, შეაფასოთ ლიკას მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.**

**№9.**

ლევანიმმიმართა განცხადებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიეწოდებინათ მისთვის მონაცემები თუ რა შედეგი ანახა ჰაერის დაბინძურების დონის კვლევებმა ქალაქ გორში, სადაც იგი უკვე წლებია ცხოვრობს ოჯახთან ერთად.

გარემოს დაცვის სამინისტრომ წერილობით აცნობა ლევანს, რომ ვინაიდან მასალა არის მნიშვნელოვანი მოცულობის მათესაჭიროებოდა 10-დღიანი ვადა, საჯარო ინფორმაციის გასაცემად.

ლევანმამის მიერ გამოთხოვნილი დოკუმენტაცია მიიღო 11 დღის შემდგომ, ვინიადან დოკუმენტაციის მომზადების პერიოდს დაემთხვა დასვენების დღე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ, დაარღვია თუ არა ადმინისტრაციულმა ორგანომ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი ვადა?**

**№10.**

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა გიამ შეიტყო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ საქართველოს ფინანსთასამინისტროს წლის საუკეთესო თანამშრომელზე შოთაზე არ გაიცა წამახალისებელი ფულადი ჯილდო.

გია დაუკავშირდა სამინისტროს აპარატის უფროსს და მასთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე გამოსცა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლის თანახმადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დააჯილდოვა შოთა შესაბამისი ფულადი ჯილდოთი.

გიას ქმედებით განაწყენებულმა მისმა თანამშრომელმა მამუკამ გაასაჩივრა მისი ქმედება და მიუთითა, რომ გიას ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის 2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად კი არ უნდა გამოეცა აქტი ჯილდოსთან დაკავშირებით არამედ მას უნდა ეხელმძღანელა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ კანონიერია თუ არა გიას მოქმედება? ასევე გთხოვთ იმსჯელოთ რამდენად დასაბუთებულია მამუკას საჩივარი?**



**№11.**

ლაშამ და ირაკლიმ 2018 წელს მონაწილეობა მიიღეს კონკურსში, რომელიც ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

კონკურსში გამარჯვებული დაინიშნებოდა პროტოკოლის სამსახურის თანამშრომლად, რომელსაც სამსახურეობრივად დაეკისრებოდა მაღალი რანგის სტუმრის დახვედრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში.

კონკურსის მიმდინარეობისას ლაშამ და ირაკლიმ თანაბარი შედეგები ანახეს, რამაც გააძნელა არჩევანის გაკეთება.

ზ/ა ფაქტორიდან გამომდინარე და ასევე დროის სიმცირის გამო საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისამა უფლებამოსილმა პირმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ პოზიციაზე აერჩიათ ირაკლი, ვინაიდან ლაშასთან შედარებით ირაკლის ფიზიკური მონაცემები შეესაბამებოდა აღნიშნულ პოზიციას.

ლაშამ საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ იგი შეიცვდა დისკრიმინაციის ნიშნებს.

**გთხოვთ, იმსჯელოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ქმედებასა და ლაშას საჩივრის სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№12.**

2018 წლის 10 თებერვალს ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის N2-ში მერიის ნებართვის საფუძველზე დაიწყო მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ზ/ა შენობის სართულიანობა განისაზღვრა 20 სართულით, მაგრამ ბინებისა და საოფისე ფართის სწრაფი გაყიდვების შემდგომ მშენებელმა კომპანიამ განიზრახა შეეცვალა პროექტი და სართულიანობა გაეზარდა 30-მდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურმა მიიღო წარმოებაში აღნიშნული განცხადება და სხდომა საკითხის უკეთ შესასწავლად ჩაინიშნა 2018 წლის 15 მარტს.

2018 წლის 5 მარტს ჯაბამ, რომელიც ჭავჭავაძის 2-ის მიმდებარედ ცხოვრობს კერძო სახლში შეიტყო პროექტის ცვლილებასთან

დაკავშირებით და მოსთხოვა წერილობით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს იგი ჩაერთო საკითხის განხილვაში, როგორც დაინტერესებული მხარე, ვინაიდან პროექტის ცვლილებით მისი საცხოვრებელი სახლის ფასიც მნიშვნელოვნად შემცირდებოდა (საექსპერტო დასკვნის საფუძველზე).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გაიმართა განხილვა პროექტის ცვლილებაზე, მაგრამ ჯაბა არ იქნა მოწვეული, ვინაიდან სსიპ არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლები წინასწარ იყვნენ დარწმუნებულები, რომ მსგავს ნებართვას არ გასცემდნენ.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლების ქმედება?**

**№13.**

დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა სოფომ მისი უფლებამოსილების ფარგლებში წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სადაც ითხოვდა საქართველოს ეკონომიკის ზრდის სტატისტიკის წარმოდგენას.

დროის სიმცირის გამო წერილში მოთხოვნილი სტატისტიკის წარდგენისათვის სოფომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად განუსაზღვრა 10 დღე.

თავის მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წერილობით აცნობა დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელს, რომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის 2 ნაწილის ,,ზ“ პუნქტის თანახმად აღნიშნული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება მსგავსი ურთიერთობებზე და დამატებით დროდ სტატისტიკის მისაწოდებლად განსაზღვრა 2 თვე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ, რამდენად კანონიერია დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელის სოფოს მოთხოვნა?**



## II თავი

**№1.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელმა ნიკამ, ხელმძღვანელის დავალებით დაიწყო მუშაობა სტატისტიკის დამუშავებაზე, სადაც უნდა აესახა ყველა უძრავი ქონება, რომელიც იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში. მუშაობის პროცესში ნიკამ გამოიკვლია, რომ მსგავსი ინფორმაცია უკვე დამუშავებული ჰქონდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

ნიკამ ხელმძვანელობასთან შეთანხმებით დარეკა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცხელ ხაზზე და ოპერატორს ადმინისტრაციულ ორგანოთა ურთიერთდახმარების ვალდებულების შეხსენების შემდგომ მოსთხოვა ზ/ა სტატისტიკის მიწოდება, რაზეც მიიღო უარყოფითი პასუხი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ, კანონიერია თუ არა ნიკას მოთხოვნა და როგორ უნდა ემოქმედა მას?**

**№2.**

2018 წლის 24 თებერვალს თათიამ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, სადაც ითხოვდა საცხოვრებელი ფართის შეკეთება/გამაგრებას, ვინაიდან მისი განმარტებით, აღნიშნული სახლი იყო ავარიული, საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ქალაქ თბილისის მერმა განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოების უკეთ გარკვევის მიზნით სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით დაუკავშირდა ვაკის გამგებელს და როგორც მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოს სთხოვა მას დახმარებოდა. კერძოდ, მიეწოდებინათ დამატებითი ინფორმაცია თათიას საცხოვრებელი სახლის მდგომარეობის შესახებ.

ვაკის გამგებელმა მერს მოსთხოვა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის 1 ნაწილის თანახმად წერილობით წარმოედგინა დახმარებაზემოთხოვნა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ვაკის გამგებლის მოთხოვნა?**

**№3.**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს 2004 წლიდან შექმნილი აქვს სსიპ ბაღების სააგენტო, რომლის მეშვეობითაც იგი მართავს ქალაქში არსებულ მუნიციპალურ ბაგა-ბაღებს.

2018 წლის 10 დეკემბერს ქალაქ რუსთავის მერმა მერიის ანგარიშის მოსამზადებლად, სადაც საუბარი უნდა ყოფილიყო მისი სამსახურების საქმიანობაზე, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის 2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად წერილობითი თხოვნით მიმართა სსიპ ბაღების სააგენტოს თავმჯდომარეს წარედგინა მისთვის სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მონაცემები.

**გთხოვთ, იმსჯელოთ ქალაქ რუსთავის მერის მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№4.**

გიორგი 2004 წლიდან მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და ამ ხნის განმავლობაში მას არასდროს არ უსარგებლია კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით.

2019 წლის 3 იანვარს მან მიიღო დავალება ფინანსთა მინისტრისაგან მოეხდინა გაანგარიშება თუ რა ოდენობის თანხით გაეზარდა დაფინანსება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019 წლის ბიუჯეტით.

გიორგიმ საახალწლო დღეებში დასვენების მიზნით გადაწყვიტა ზ/ა ინფორმაციის მოძიების ნაცვლად საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის 1 ნაწილის თანახმად წერილობით მიემართა საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის და გამოეთხოვა ხელმძღვანელობის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

**გთხოვთ, იმსჯელოთ, კანონიერია თუ არა გიორგის მოქმედება, ვინაიდან მან მისი ქმედება დაასაბუთა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით.**

**№5.**

სოფომ, რომელიც მუშაობსმთავარ პროკურატურის ადმინისტრაციაში სამსახურეობრივი დავალების საფუძველზე დაიწყო გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციის შეგროვება.ამ პერიოდში



სოფომ აღმოაჩინა, რომ მის მიერ განსახორციელებელი ქმედებები მოითხოვდა გარკვეულ დანახარჯს, კერძოდ 2000 ლარს.

სოფომ ასევე დაადგინა, რომ თუ ზ/ა ინფორმაციას გამოითხოვდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან ამით იგი დაზოგავდა თავის ძვირფას დროს, ხოლო დანახარჯი უცვლელი იქნებოდა.

მდგომარეობის გაანალიზების შემდგომ სოფომ გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის.

**გთხოვთ იმსჯელოთ, რამდენად კანონიერია სოფოს მოქმედება?**

**№6.**

გიორგი 17 წელია მუშაობს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში იურისტად და მას, როგორც ყველაზე გამოცდილ ადამიანს რკინიგზის მმართველმა საბჭომ დაავალა რკინიგზის დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

მუშაობის პროცესში გიორგის დასჭირდა უამრავი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, რის გამოც იგი ხშირად მიმართავდა დახმარების თხოვნით სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს.

მისი ამ ქმედებით რკინიგზის დეპარტამენტმა გახარჯა 10 000 ლარზე მეტი.

თავის მხრივ გიორგი თავის ქმედებას ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ მას რიგ შემთხვევაში არ გააჩნია სათანადო ცოდნა და სწორედ ამიტომ მიმართავდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს დახმარების თხოვნით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია გიორგის მოქმედება?**

**№7.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე მიმართა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დახმარების თხოვნით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იმსჯელა ზ/ა მოთხოვნაზე და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდე-

ქსის მე-18 მუხლის 1 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვინიდან საკითხი სცილდებოდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, უარი განაცხადა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე.

უარის თქმის მეტი დასაბუთების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძვანელმა პირმა თავად დაურეკა და სატელეფონო საუბრის გზით აცნობა ამის შესახებ განნცხადებაში მითითებულ შესაბამის პირს.

**გთხოვთ, განმარტოთ რამდენად სწორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქმედება?**

**№8.**

2019 წლის 1 თებერვალს ვაკის გამგეობამ სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა საბურთალოს გამგეობას, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის ,,გ“ პუნქტის საფუძველზე, რადგანაც საკითხის გადასაწყვეტად საჭირო დოკუმენტაცია ინახებოდა საბურთალოს გამგეობაში.

ხსენებულმა გამგეობამ იმსჯელა ზ/ა საკითხზე და სამი დღის ვადაში დასაბუთებული უარი გაუგზავნა ვაკის გამგეობას მე-18 მუხლის 2 ნაწილის შესაბამისად.

მიღებული პასუხით განაწყენებულმა ვაკის გამგებელმა, სათანადოდ რომ დაესაჯა საბურთალოს გამგეობა პირდაპირ თბილისის მერიის გვერდის ავლით ზ/ა წერილობითი უარი გაასაჩივრა სასამართლოში.

**გთხოვთ იმსჯელოთ, რამდენად კანონიერია ვაკის გამგეობის ქმედება?**

**№9.**

ონის მუნიციპალიტეტში არსებულმა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მის მიერ განსახილველი საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სახლს სამართლებრივი დახმარების თხოვნით.

სსიპ იუსტიციის სახლმა ონის მუნიციპალიტეტში არსებულ



მიწის ლეგალიზების კომისიას მიმართა წერილობით და წინასწარ აცნობა, რომ სამართლებრივი დახმარებისთვის გასაწევი აუცილებელი ხარჯი შეადგენდა 40 ლარს.

სსიპ იუსტიციის სახლმა მოითხოვა ზ/ა ხარჯის ანაზღაურება.

**გთხოვთ, იმსჯელოთ, სსიპ იუსტიციის სახლის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე.**

**№10.**

სანდრო წლებია საზღვარგარეთ სწავლობს და ამ ხნის განმავლობაში იგი მუდმივად საჭიროებს სხვადასხვა ტიპის ცნობებს საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

2019 წლის დასაწყისში მას სასწავლებელმა მოსთხოვა საქართველოში მისი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

სანდრომ დროის ეკონომიის მიზნით გადაწყვიტა წარედგინა ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტაციის ასლი, მაგრამ უნივერსიტეტმა არ მიიღო ზ/ა დოკუმენტი და მოსთხოვა ასლის სათანადოდ დამოწმება.

სანდრომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტის ასლი წარადგინა ოფიციალური დამოწმებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რა სახის გადაწყვეტილებას მიიღებს იუსტიციის სამინისტრო.**

**№11.**

ზიზიმ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სახლს, სადაც მან წარმოადგინა კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

სსიპ იუსტიციის სახლმა დოკუმენტაციის ჩამონათვალში აღმოაჩინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული იყო ამავე ორგანოს მიერ.

ასლის სათანადო შესწავლიდან გაირკვა, რომ იგი შინაარსობრივად უცვლელი იყო, მაგრამ დარღვეული იყო დოკუმენტის მთლიანობა.

ზიზის მიერ შეტანილი განაცხადი შეჩერებულ იქნა სსიპ იუსტიციის სახლის მიერ იმ მოტივით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაცემული დოკუმენტი არ იყო სათანადოდ დამოწმებული ზემდგომი ორგანოს მიერ.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად სწორად მოიქცა სსიპ იუსტიციის სახლი.**

**№12.**

ნიკამ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება დიდ ბრიტანეთში და ამ მიზნით მან დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვება.

ამ პროცესში ნიკამ აღმოაჩინა, რომ მას ჰქონდა უამრავი ცნობები უკვე მოპოვებული სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან, თუმცა მათი უმეტესობა იყო ასლი და საჭირო გახდა მისი დამოწმება ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად.

ერთერთ ადმინისტრაციულ ორგანოში ნიკას მიერ წარმოდგენილი იქნა 20 ფურცლად ამავე ორგანოს მიერ გაცემული ცნობის ასლი.

ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა დროის ეკონომიის გამო და ნიკას თხოვნის შესაბამისად დაამოწმა დოკუმენტის პირველი და ბოლო ფურცლები.

**გთხოვთ, იმსჯელოთ სწორია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოქმედება?**

**№13.**

საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2018 წელს გამოაცხადა კონკურსი, პოეზიის დარგში.

კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად და კვალიფიციური შეფასებისთვის მოწვეული იქნა საზოგადოებრივი ექსპერტი გურამი.

კონკურსის პერიოდში საზოგადოებაში იზრდებოდა უნდობლობა ამ პროცესის მიმართ, ვინაიდან მათთვის უცნობი იყო საზოგადოებრივი ექსპერტის ვინაობა.

საქართველოს კულტურის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება გაესაჯაროებინდა საზოგადოებრივი ექსპერტის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულების გასანეიტრალებლად.

**გთხოვთ, იმსჯელოთ სწორად მოიქცა თუ არა საქართველოს კულტურის მინისტრი?**

**№14.**

2017 წლის 2 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა დათომ, სადაც იგი ასაჩივრებდა ქუთაისის მერიის მიერ მის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც დათომ როგორც ქუთაისის მერიის მიერ მიწვეულმა საზოგადოებრივმა ექსპერტმა გაამჟღავნა მისთვის გადაცემული საიდუმლო ინფორმაცია.

დათო თვლის, რომ შეილახა უსაფუძვლოდ მისი პატივი და ღირსება ვინაიდან, როცა მან გაამჟღავნა მისთვის გადაცემული საიდმუმლო ინფორმაცია იგი აღარ იყო საზოგადოებრივი ექსპერტი, კერძოდ მას უკვე შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება თავად ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ დათოს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№15.**

თიკო მიწვეული იქნა საზოგადოებრივ ექსპერტად სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში.

თავისი საქმიანობის პროცესში თიკომ შეასრულა უამრავი სამუშაო და ასევე გასწია გარკვეული ოდენობის ხარჯიც.

კვლევის პერიოდში თიკო ხშირად უკავშირდებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს და უგზავნიდა შუალედურ მოხსენებას გაწეული სამუშაოს შესახებ, მაგრამ არასდროს არ გადაუგზავნია ინფორმაცია ხარჯების შესახებ. კვლევის დასრულების შემდგომ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა გაასაჩივრა თიკოს მიერ წარმოდგენილი ხარჯების ნუსხა, იმ მოტივით, რომ მისთვის უცნობი იყო ხარჯების აუცილებლობის შესახებ სამუშაოების დაგეგმარების პროცესში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ თიკოს ქმედების სამართლებრივ საფუძველზე.**

**№16.**

თამარი მიწვეული იყო საზოგადოებრივ ექსპერტად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

იგი სრულად აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რაც წაყენებული იყო ამ თანამდებობის დასაკავებლად. თამარი ასევე კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მიუხედავად თამარის მაღალი კვალიფიკაციისა საზოგადოებრივი ექსპერტი მოავლეობის შესრულებისაგან ვადამდე გაანთავისუფლა საქართველოს პრემიერ მინისტრმა.

განთავისუფლების მიზეზი იყო მთავრობის სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც პრემიერ მინისტრმა შეიტყო, რომ თამარი უარს აცხადებდა პირადი განცხადებით შესაბამისი დასკვნის გაცემაზე, რომლის შესრულებისათვის იგი იყო მოწვეული საზოგადოებრივ ექსპერტად.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია პრემიერ მინისტრის ქმედება?**



## III თავი

**№1.**

ნატომ 2017 წელს ჩააბარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე.

სწავლის პერიოდში იგი იღებდა სხვადასხვა სახის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც ახორციელებდა სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შესწავლას.

2018 წელს ნატომ მიიღო დავალება შეესწავლა ფინანსთა სამინისტროს მუშაობის სპეციფიკა და მოეხდინა მისი ანალიზი.

ზ/ა გამომდინარე ნატომ მიმართა ფინანსთა მინისტრს წერილობითი განცხადებით და მოითხოვა გაეცნოთ მისთვის ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის თავისებურებანი, კერძოდ როგორ ხორციელდება დოკუმენტაციის ბრუნვა, რა სიხშირით იმართება სამსახურეობრივი თათბირები, როგორია შენობის კონტროლის მექანიზმები და ასევე რა საშუალებები გამოიყენება სამინისტროს ეფექტურობის გასაზრდელად, ვინაიდან იგი 2017 წელს აღიარებული იქნა საუკეთესო სამინისტროდ ეფექტურობის კუთხით.

3 დღის ვადაში ნატომ მიიღო წერილობითი უარი ფინანსთა მინისტრისაგან მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე. მინისტრის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენდა სამინისტროს კომერციულ საიდუმლოს ვინაიდან სწორედ მის საფუძველზე გახდა სამინისტრო 2017 წელს საუკეთესო ეფექტურობის კუთხით და მისი გამჟღავნებით შესაძლოა უწყებას დაეკარგა პირველობა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ კანონიერია თუ არა ფინანსთა მინისტრის ქმედება?**

**№2.**

ნიკამ წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც საუბარი იყო მის მიერ შექმნილ სამეცნიერო კვლევაზე.

კვლევის შედეგად მან შეიმუშავა სპეციალური ფორმულა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ხსნარის მიღება მწერებთან ბრძოლისათვის, რაც საკმაოდ მოთხოვნადია სოფლის მეურნეობის დარგში.

ვინაიდან ნიკამ იცოდა, რომ საკითხი უნდა განეხილა სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის კომისიას საჯარო წესით, მან განცხადების წარდგენისას მოითხოვა მის მიერ წარდგენილი ფორმულის კომერციულ საიდუმლოდ გამოცხადება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იმსჯელა ნიკას მოთხოვნაზე და დააკმაყოფილა 2 კვირის ვადაში მისი მოთხოვნა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№3.**

2018 წელს ლევანიმ ერთერთ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინდა ინფორმაცია, რომელსაც იგი იყენებდა თავის საწარმოში პროდუქციის საწარმოებლად.

ინფორმაციის წარდგენისას ლევანიმ ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის $27^2$ მუხლის 3 ნაწილის თანახმად მოითხოვა 10 დღის ვადაში კომერციულად ეცნოთ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. მიუხედავად ზ/ა მოთხოვნისა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მიიჩნია ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოდ და იგი ღია გახდა გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება გასაჩივრებული იქნა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რაზეც თავად ადმინისტრაციული ორგანო ინფორმირებული იყო.

**გთხოვთ, იმსჯელოთ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№4.**

თენგო წლებია მუშაობს გეგმაზე, რომელიც არის კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაცია.

2019 წლის 5 იანვარს მან მიმართა საჯარო დაწესებულებებს 10 დღის ვადაში გამოეცხადებინა მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოდ, მაგრამ მის მოთხოვნაზე მიიღო უარი.

ზ/ა გეგმა საჯარო ორგანოს გადაწყვეტილებიდან 15 დღის ვადაში გახდა ღია.

თენგომ გაასაჩივრა საჯარო ორგანოს გადაწყვეტილება ვინაიდან მისი განცხადებით უხეშად დაირღვა ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის $27^2$ 3 ნაწილი, კერძოდ 15 დღის გასვლამდე მის მიერ პრეტენზია-საჩივარი უკვე წარდგენილი იყო ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა დროის სიმცირის გამო აღნიშნული ინფორმაცია არ მიუწოდებია საჯარო დაწესებულებისათვის.

**გთხოვთ, იმსჯელოთ კანონიერია თუ არა საჯარო დაწესებულების მოქმედება?**

**№5.**

1988 წლის 25 თებერვალს ნიკამ საჯარო დაწესებულებას მიმართა წერილობითი განცხადებით კომერციულ საიდუმლოდ გამოეცხადებინათ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავდა ნიკას მიერ შექმნილ სქემებს და ფორმულებს პროდუქციის საწარმოებლად.

2018 წელს საჯარო დაწესებულებამ იმ მოტივით, რომ ზ/ა სქემებს და ფორმულებს აღარ ჰქონდა ღირებულება იგი ღიად გამოაცხადა.

ნიკამ გაასაჩივრა საჯარო დაწესებულების ქმედება, ვინაიდან მისი განმარტებით, აღნიშნულ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ნიკას წერილობით თანხმობა, რაც საჯარო დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ საჯარო დაწესებულების მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№6.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომაზე განიხილა საკითხი, რომელიც შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას.

სხდომის დასრულების შემდგომ დაინტერესებულმა პირმა გიორგიმ მიმართა წერილობითი განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოითხოვა სხდომის ოქმი ასლი.

2019 წლის 5 იანვარს მიღებული წერილით გიორგიმ მიიღო შესაბამისი მოთხოვნილი ოქმი, სადაც მითითებული იყო განხილული საკითხი, რომლისგან გამოცალკავებული იყო საიდუმლო ინფორმაცია.

წარმოდგენილი წერილში არ იყო მითითებული თუ ვინ გასაი-

დუმლოვა ზ/ა ინფორმაცია.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია საკრებულოს მოქმედება.**

**№7.**

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა საკითხი დახურულ სხდომაზე, სადაც საუბარი იყო საიდუმლო ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა სანდროს.

სხდომის ჩატარებიდან 2 დღეში გამოქვეყნდა დახურული სხდომის ოქმი, სადაც მითითებული იყო სანდრო, როგორც პირი, რომელმაც გასაიდუმლოვა ინფორმაცია.

ასევე საფუძველი, რის გამოც საიდუმლოდ იქნა მიჩნეული ინფორმაცია და ვადები.

სანდრომ ძალიან განიცადა ეს ფაქტი ვინაიდან იგი არ მოელოდა, რომ ამ ოქმის გამოქვეყნების შედეგად გამჟღავნდებოდა მისი სახელი და გვარი.

2018 წლის 20 დეკემბერს მან გაასაჩივრა ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქმედება.

**გთხოვთ, იმსჯელოთ, რამდენად კანონიერია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედება.**

**№8.**

კოლეგიური საჯარო დაწესებულების თავმჯდომარემ თედომ შეიტყო, რომ შესაძლოა ვინმეს ჩაეშალა ზ/ა დაწესებულების მომდევნო სხდომა, რომელიც იგეგმებოდა 2018 წლის 2 თებერვალს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია აღმოჩნდა სიცრუე თედომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის ჩატარების თარიღი საჯაროდ გამოეცხადებინა 8 დღით ადრე. ასევე მისი დავალებით გამოქვეყნდა სხდომის ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი.

არასამთავრობო ორგანიზაციამ გაასაჩივრა თედოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ სხდომის ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი საჯაროდ უნდა გამოეცხადებინა საჯარო დაწესებულებას 2 კვირით ადრე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარი.**



**№9.**

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 2 სექტემბერს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის გამო ჯერ მოიწვია სხდომა და შემდგომ დახურა კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ყველა წესის დაცვით დაუყოვნებლივ გამოაცხადა სხდომის ჩატარების ადილი, დრო და დღის წესრიგი.

2 კვირის შემდგომ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავის მომდევნო სხდომაზე წარმოადგინა ის გარემოებები თუ რა მიზეზით ჩატარდა 2 სექტემბრის სხდომა და ასევევ განმარტა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№10.**

მარიამმა განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ არქივს, სადაც იგი ითხოვდა საჯარო ინფორმაციის გაცნობას დედანში.

საქართველოს ეროვნულ არქივის თანამშრომელმა, როგორც კი შეიტყო, რომ გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უკვე არაერთხელ დაზიანებული იქნა, გადაწყვიტა უარი ეთქვა მარიამისთვის მისი გაცნობის შესახებ.

მარიამმა მიიღო წერილი საქართველოს ეროვნული არქივიდან, სადაც ეწერა, რომ მას სათანადოდ არ ჰქონდა დასაბუთებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია საქართველოს ეროვნული არქივის მოქმედება.**

**№11.**

საქართველოს ეროვნული არქივში 2003 წლიდან დაცული იყო გიორგის კომერციული საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია და მისი გაცემა კანონმდებლობით იკრძალებოდა.

2018 წელს ზ/ა ინფორმაციის გამოთხოვნით საქართველოს ერ-

ოვნულ არქივს მიმართა დათომ.

დათოს განცხადებაში მითითებული ჰქონდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მოტივი და მიზანი. ასევე წერილზე თანდართული ჰქონდა გიორგის ხელწერილი, რომელიც მან მიიღო ელექტრონული საშუალებით გიორგისგან.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია დათოს მოქმედება?**

**№12.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკითხის განხილვის პროცესში დასჭირდა გამოეთხოვა სხვა საჯარო დაწესებულებაში, კერძოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაცული პერსონალური მონაცემები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა სანდრომ შეადგინა შესაბამისი წერილი, სადაც განმარტებული იყო თუ რა მიზნით იქნა გამოთხოვნილი ზ/ა პერსონალური მონაცემები.

საქრთველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის 1 ნაწილით აღმოუჩინა დახმარება საქართველოს ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების სამინისტროს და მიაწოდა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

**გთხოვთ, იმსჯელოთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქმედების სამართლებრივ საფუძველებზე.**

**№13.**

სოფომ განცხადებით, მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა დასოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს ქირურგიული ოპერაციის დაფინანსების მოთხოვნით. განცხადებაში მანვე მიუთით, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას თავად მოიძიოს დაფინანსებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და სთხოვს სამსახურს თავად მოიძიონ შესაბამისი დოკუმენტაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა დასოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა საკითხის განხილვისთვის დამატებითი დოკუმენტაცია გამოითხოვა სამგორის გამგეობისგან. სამგორის გამგეობამ უარი განაცხადა ზ/ა ინფორმაციის გაცემაზე ვინაიდან იგი შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, ხოლო საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 37[1] მუხლის 1 ნაწილის თანახმად ამგვარი ინფორმაციის გასაცემად საჭიროა თავად განმცხადებლის წერილობითი თანხმობა რაც სამსახურს არ ჰქონდა წარმოდგენილი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სამგორის გამგეობის მოთხოვნა.**

**№14.**

სტატისტიკის მიხედვით ირკვევა, რომ 2017 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სახლიდან გამოთხოვნილი იქნა 100000-ზე მეტი საჯარო ინფორმაცია.

ზ/ა მონაცემებზე დაყრდნობით 2018 წელს სსიპ იუსტიცის სახლის დაკვეთით ჩატარდა კვლევა და აღმოჩნდა, რომ უწყებამ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დახარჯა 5 მილიონზე მეტი ლარი. ასევე საჯარო ინფორმაციის დამუშავება/გაცემის პროცესში ჩართული იყო იუსტიციის სახლის თანამშრომელთა 30%-ი, რაც ისედაც დატვირთული მუშაობის რეჟიმზე მყოფ საჯარო უწყების საქმიანობას სხვა მიმართულებით აფერხებდა.

კვლევაში წარმოდგენილი იყო ინფორმაციის მიზნობრივობაც, რომლის თანახმადაც 100 000 გაცემული ინფორმაციიდან მხოლოდ 40%-ი იყო მიზნობრივი.

ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე 2019 წელს სსიპ იუსტიციის სახლმა ამ პრობლემის გადასაჭრელად განიძრახა ფასიანი გაეხადა საჯარო ინფორმაციის გაცემა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სსიპ იუსტიციის სახლი მოქმედება.**

**№15.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ელექტრონული ფორმით მიმართა ილიამ და მოითხოვა გადაეცათ მისთვის გარკვეული სახის საჯარო ინფორმაცია.

ილია განცხადებაში კატეგორიულად მოითხოვდა საჯარო ინფორმაცია მისთვის გადაეცათ დაუყოვნებლივ.

მიუხედავად ილიას კატეგორიული მოთხოვნისა საქართველოს

იუსტიციის სამინისტრომ უარი განაცხადა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ განცხადება წარმოდგენილი იყო ელექტრონულად და არა წერილობითი ფორმით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№16.**

ორი ადმინისტრაციული ორგანო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ორივე განთავსებულია გორგასლის ქუჩაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 10-დღიანი ვადა დასჭირდა იმისთვის, რომ გამოეთხოვა საჯარო ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროსგან და გადაეცა დათოსთვის.

დათომ როგორც კი გაანალიზა რა რომ ორივე ადმინისტრაციული ორგანო მდებარეობდა ერთ ქუჩაზე გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქმედება.

მისი განმარტებით, ადმინისტრაციულ ორგანოთა ტერიტორიული განლაგება ავალდებულებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტი გაეცა დაუყოვნებლივ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1 ნაწილის საფუძველზე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია დათოს მოთხოვნა?**

**№17.**

2018 წლის 2 თებერვალს მამუკამ განცხადებით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა.

2018 წელის 11 თებერვალს მამუკამ მისდა მოულოდნელად ფოსტის მშვეობით მიიღო მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

სანდრომ, რომელიც მამუკას ახლობელია, როგორც პროფესიონალმა იურისტმა უთხრა, რომ ზ/ა ინფორმაცია მას უნდა მიეღო დაუოვნებლივ, ვინაიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 11 თებერვლამდე მისთვის რაიმე შუალედური პასუხი არ გაუცია.



სანდროსგან წაქეზებულმა მამუკამ გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქმედება.

**გთხოვთ, იმსჯელოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№18.**

თენგომ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოსთხოვა მიეწოდებინათ მისთვის საკრებულოს მიერ გამოცემული დადგენილება ნომერი 8, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქ თბილისში პარკირების სისტემის მოწესრიგებას.

თენგომ ზ/ა მოთხოვნასთან დაკავშირებით მიიღო წერილობითი პასუხი, რომ აღნიშნული დადგენილება უკვე განთავსებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონულ გვერდზე საჯაროდ და შესაბამისად მას თავადაც შეეძლო გაცნობოდა დადგენილებას.

**გთხოვთ, იმსჯელოთ საკრებულოს მოქმედების სამართლებრივ საფუძველზე.**

**№19.**

ზიზიმ, რომელიც საქართველოს მოქალაქეა თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს საელჩოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა საელჩოში დაცული საჯარო ინფორმაციის მიწოდება.

თამარმა, რომელიც საელჩოში პასუხისმგებელი იყო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე  განიხილა ზიზის წერილობითი განცხადება და 10 დღის ვადაში გასცა მას პასუხი, რომლის თანახმადაც საელჩო უარს აცხადებდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებზე, მიუხედავად იმისა, რომ განცხადების განხილვისთანავე მისთვის ცნობილი იყო, რომ ზ/ა ინფორმაციის გაცემა შეუძლებელი იქნებოდა.

ზიზიმ გაასაჩივრა საელჩოს ადმინისტრაციის ქმედება იმ მოტივით, რომ განცხადებაზე უარი მას უნდა მიეღო 3 დღეში, რითაც მისი განმარტებით, საელჩომ უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნები.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია თამარის და ზიზის ქმედებები.**

**№20.**

ქეთიმ მიიღო უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და ამ გადაწყვეტილების შესახებ მას შესაბამისმა საჯარო დაწესებულებამ აცნობა 4 დღის ვადაში.

საჯარო დაწსებულების მიერ გაგზავნილ წერილობით განმარტებაში მითითებული იყო მისი უფლებები და ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელთანაც წარმოებული კონსულტაციის შედეგად უარი ეთქვა ქეთის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

ქეთის ნაცნობმა იურისტმა ურჩია მას გაესაჩივრებინა საჯარო დაწესებულების ქმედება იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება უარის თაობაზე არ იყო სრულყოფილი კანონმდებლობის შესაბამისად. ქეთიმ დიდი ფიქრისა და სამომავლოდ გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით გადაწყვიტა გაესაჩივრებინა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ქეთის მოთხოვნა.**

**№21.**

მამუკამ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა მიეწოდებინათ მისთვის სამინისტროს მიერ მონაცემთა შეგროვების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის უფროსმა განიხილა ზ/ა განცხადება და იმის შიშით, რომ არ გაემჟღავებინა მისი მუშაობის სპეციფიკა გადაწყვიტა აღნიშნული ინფორმაცია გაესაიდუმლოებინა და შეეზღუდა მისი გაცემა.

შესაბამისად, მამუკამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან მიიღო წერილობითი უარი, რომელიც მან 10 დღის ვადაში გაასაჩივრა სასამართლოში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ თავდაცვის სამინისტროს აპარატის უფროსის მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე.**



## IV თავი

**№1.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქტიტექტურის სამსახურმა განიხილა ეკას განცხადება, მშენებლობის ნებართვის მიღებაზე.

განხილვის პროცესში გამოვლინდა, რომ ეკას მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე ირკვევა, რომ საპროექტო მიწა განთავსებული იყო განაშენიანების შეზღუდვის ზონაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურმა გამოსცა ზეპირი ინდივიდულაურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც ეკას უარი ეთქვა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

ეკამ მოითხოვა წერილობითი ფორმით გადაეცათ მისთვის ინდივიდუალურ-ადმინისტრაცლიულ სამართლებრივი აქტი, მაგრამ ამაზეც უარი მიიღო იმ მოტივით, რომ საქართველოს ზოგად ამინისტრაციული კოდექსი 51-ე მუხლის 1 ნაწილით შესაძლებელი იყო რომ აქტი გამოეცათ ზეპირი ფორმით.

**გთხოვთ იმსჯელოთ ეკას მოთოვნის სამართლებრივ საფუძველზე.**

**№2.**

რეზო 2004 წლიდან მუშაობს საჯარო სამსახურში და იგი ძალზედ გამოცდილი თანამშრომელია.

2018 წლის 29 დეკემბერს მან მიიღო მისი უშუალო უფროსისგან დავალება შეედგინა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ინდივიდულაურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, ყველა მისი რეკვიზიტის დაცვით.

მუშაობის პროცესში მან დაიცვა აქტის სახე, მიუთითა გამომცემი ორგანო, სათაური, ასევე მიუთითა უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და ხელმოწერა, ხოლო დასასრულს გამოცემის დრო/ადგილი და რეკვიზიტის ნომერი.

მიუხედავად შესრულებული სამუშაოსა მან სიჩქარის გამო არ გამოსახა აქტზე გერბი.

რეზოს ხელმძღვანელმა შეისწავლა მის მიერ შედგენილი აქტი და მიუთითა მას დაემატებინა აქტის გასაჩივრების წესი, ხოლო გერბის არსებობა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია რეზოს უფროსის მოთხოვნები.**

**№3.**

ზვიადიმ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოითხოვა მისთვის მიენიჭებინათ დევნილის სტატუსი.

განცხადებაში ზვიადიმ დეტალურად აღწერა ის ფაქტობრივი გარემოებები თუ რა მიზეზით ვერ ახერხებდა წლების განმავლობაში სხვადასხვა დოკუმენტაციის წარდენას სამინისტროში, რის საფუძველზეც 1 წლის უკან მას მოეხსნა დევნილის სტატუსი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა ზ/ა განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე კვლავ მიენიჭებინა მისთვის დევნილის სტატუსი, რის თაობაზეც გამოიცა ინდივიდუალურიადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

მიუხედავად დადებითი პასუხისა ზვიადისთვის მიუღებელი იყო სამინისტროს მიერ გამოცემული აქტი, ვინაიდან მასში არ იყო წარმოდგენილი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის სათანადო დასაბუთება, რის გამოყენებასაც იგი გეგმავდა შემდგომში სხვადასხვა უწყებებთან ურთიერთობისათვის.

**გთხოვთ იმსჯელოთ კანონიერია თუ არა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოქმედება.**

**№4.**

ზაზა წლებია აშენებს სახლს და მშენებლობის პროცესში აღმოაჩინა, რომ მის სამშენებლო ტერიტორიაზე მიწისქვეშ გადის მაგისტრალური მილსადენი, რომელიც ამარაგებდა წყლით მიმდებარე რაიონს.



ზაზამ მიმართა განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს და მოსთხოვა დაუყოვნებლივ მომხდარიყო მისი პროექტის ცვლილება, რათა არ მომხდარიყო მშენებლობის პროცესში მილსადენის დაზიანება. განცხადებაში ზაზამ ასევე მიუთითა, რომ სამშენებლო სამუშაოების თითოეული დღით შეჩერება დიდ მატერიალურ ზიანს მიაყენებდა მას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურმა დაუყოვნებლივ განიხილა ზაზას განცხადება და გასცა შესაბამისი თანხმობა, ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ფორმით.

მიუხედავად იმისა, რომ აქტი არც გამოქვეყნებულიყო ჯერ და არც კანონით დადგენილი წესით მოხდა მისი გაცნობა, ზაზამ განაახლა სამშენებლო სამუშაოებები.

**გთხოვთ იმსჯელოთ სწორია თუ არა ზაზას მოქმედება?**

**№5.**

ქალაქ ონის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოსცა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც გიორგის გადაეცემოდა უძრავი ქონება ქალაქ ონის ტერიტორიაზე.

აქტის შესწავლისას გაირკვა, რომ მასში იყო არსებითი შეცდომები. გიორგიმ მიმართა ქალაქ ონის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ხარვეზის გამოსწორება.

მერიის თანამშრომელმა თედომ, რომელსაც დაევალა გიორგის განცხადების განხილვა, იხელმძღვანელა რა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის 1 ნაწილით შეიტანა შესწორება ზ/ა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში და ასევე შეტანილი ცვლილებები გამოაქვეყნა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

**გთხოვთ იმსჯელოთ კანონიერია თუ არა თედოს მოქმედება.**

**№6.**

გიგამ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან მიიღო წერილი, სადაც წარმოდგენილი იყო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომელიც მას

გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა.

სამინისტროს მიერ გამოგზავნილი წერილის კონვერტზე ცალსახად იყო დატანილი გამომგზავნი უწყება, მაგრამ აქტში შეუძლებელი იყო გამომცემი ორგანოს დადგენა.

აქტის გაგზავნის შემდგომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შეამჩნიეს, რომ მასში შეუძლებელი იყო გამომცემი ორგანოს დადგენა და გადაწყვიტეს აქტის ბათილად გამოცხადება.

**გთხოვთ იმსჯელოთ კანონიერია თუ არა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოქმედება.**

**№7.**

თათიას სასარგებლო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი გამოსცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რის შედეგადაც იგი ყოველთიურად მიიღებდა გარკვეულ სარგებელს.

მიუხედავად ამისა სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რომ მსგავსი აქტები, რომელიც გამოცემული იყო ბოლო 1 წლის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

ზ/ა გამომდინარე ვინაიდან არსებითად ირღვეოდა სახელმწიფო ინტერესები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ თათიას მიმართა გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილად გამოაცხადა.

თავისმხრივ თათიამ მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან მას აქტის გაუქმების შედეგად მიადგა ზიანი.

**გთხოვთ იმსჯელოთ კანონიერია თუ არა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოქმედება და ასევე რამდენად კანონიერია თათიას მოთხოვნა.**



**№8.**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ ძალადაკარგულად გამოაცხადა მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს ზოგად ადმინისტარციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

ზ/ა აქტის საფუძველზე მამუკას მიღებული ჰქონდა უფლება სამშენებლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე აეშენებინა კომერციული ფართი.

აქტის ძალადაკარგულად გამოცდადებით ისარგებლა მისი გამოცემით უკმაყოფილო მამუკას მეზობელი მიწის ნაკვეთების მეპატრონემ და მიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას მოეხდინათ მამუკას კომერციული ფართის დემონტაჟი.

**გთხოვთ იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მეზობლის მოთხოვნა.**

## V თავი

**№1.**

სამშენებლო კომპანია შპს „ელფემა“ მონაწილეობა მიიღო სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) მიერ გამოცხადებულ აუქციონზე და ,,სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილებით და ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ელექტრონული აუქციონის წესით შეიძინა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1000 კვადრატული მიწის ნაკვეთი, შემდეგი პირობით:

ა) საპრივატიზებო საფასურის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან არაუმეტეს 2 (ორი) თვის ვადაში.

ბ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან

არაუმეტეს 48 თვის ვადაში საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა.

გ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით დასაქმებული უნდა იყოს 100 ადამიანი.

აუქციონის დასრულებიდან 2 კვირის თავზე შპს „ელფმა“ გადაიხადა ობიექტის საპრივატიზებო საფასური და შესაბამისად საწარმოსა და სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის?(ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო)

**განსაზღვრეთ ხელშეკრულების მატერიალური და ფორმალური კანონიერება.**

**№2.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ თბილისის მასშტაბით მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გამოაცხადა ტენდერი ახალი ელექტრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ერთი თვის განმავლობაში გააფორმებს ხელშეკრულებას ავტობუსების შესყიდვასთან დაკავშირებით და ამასთან კომპანია აიღებს ვალდებულებას 3 წლის განმავლობაში ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება საკუთარი ხარჯებით და მოახდინოს ძველი ავტობუსებისათვის დროებითი ავტოსადგომის მოწყობა.

ტენდერში გაიმარჯვა შპს „მომსახურებამ“, რადგანაც ის აკმაყოფილებდა ყველა პირობას და ამასთან ყავდა ყველაზე ახალი და უსაფრთხო ავტოსატრანსპორტო საშუალებები, გამარჯვებულის გამოვლენიდან 3 კვირის თავზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მომსახურებას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის? (ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო)

**განსაზღვრეთ ხელშეკრულების მატერიალური და ფორმალური კანონიერება.**



**№3.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პირდაპირი წესით, 2018 წლის 8 მარტს მიჰყიდა ჰიდროელექტროჰესი შპს „სეტს“, რომელთან დაკავშირებითაც მხარეებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად ახალ მყიდველს დაევალა ნასყიდობის საგნისათვის პროფილის და დასაქმებულ პირთა შენარჩუნება და ამასთან, ქვეყნის ენერგო სექტორის გასაძლიერებლად სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზემოაღნიშნულ ობიექტზე 2018 წლის 10 იანვრიდან გაფორმებული ქონდა იჯარის ხელშეკრულება შპს „ენგურთან“ 3 წლის ვადით. მას შემდგომ რაც შპს „ენგურისათვის“ ცნობილი გახდა ჰიდროელექტროჰესის რეალიზაციის ფაქტი, ამ უკანასაკნელმა გაასაჩივრა სამინისტროსა და შპს „სეტთან“ დადებული ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ იგი არ იყო ინფორმირებილი ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით და აღნიშნულის შესახებ არ წარუდგენია თავისი მოსაზრება.

**გთხოვთ განსაზღვრეთ რა ტიპის ხელშეკრულება დაიდო სამინისტროსა და შპს „სხივს“ შორის?**

**ჰქონდა თუ არა შპს „ენგურჰესს“ სამართლებრივი საფუძვლები ხელშეკრულების გასაჩივრებისათვის?**

**№4.**

საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმადშპს „ლამას“ და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „ლამას“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 25000 ლარად საკუთრებაში გადაეცა გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდებარე 8 ერთეული მიწის ნაკვეთი, ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ლამას“ დაევალა გადაცემულ ქონებაზე 5 თვის ვადაში ფერმის მშენებლობა და ამასთან ინვესტიციის განხორციელება 20 000 ლარის ოდენობით.

საწარმომ შეძენილ მიწის ნაკვეთზე ფერმის მშენებლობის ნაცვლად დაიწყო სასაწყობე მაცივრების განთავსება და ფართის გაქირავება, რადგანაც ჩათვალა რომ ფერმის მშენებლობა დიდ ხარ-

ჯებთან იყო დაკავშირებული და ის ვერ შეძლებდა მის გაკეთებას, შეიტყო რა ამის შესახებ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტომ, შპს „ლამას" ქმედება ჩათვალა ხელშეკრულების შინაარსის ცვლილებად და მოითხოვა მისი გაუქმება.

**შეაფასეთ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.**

**№5.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „მექსს" შორის დაიდო მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა საწარმოს მიერ სამინისტროში შესაბამისი პერსონალის გაგზავნას, ჰიგიენური საშუალებების მიწოდების უზრუნველყოფას და ზოგადად სამინისტროს შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვასა და შენარჩუნებას.

შპს „მექსი" დაეთანხმა ხელეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას 2015 წლის 25 მარტს, ხელისმოწერიდან 3 თვეში აღმოჩნდა, რომ სამინისტრო არ იყო კმაყოფილი საწარმოს მიერ გამოგზავნილი პერსონალის მომსახურებით და გადაწყვიტა ხელშკრულების შეწყვეტა. რასაც საწარმო არ დაეთანხმა და მხარეებს შორის წარმოიშვა დავა.

**გთხოვთ განსაზღვრეთ რა ტიპის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის?**

**№6.**

საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება აბასთუმანში საკურორტო ზონის მოწყობასთან დაკავშირებით და შესაბამის უწყებებს დაავალამისი ორგანიზება. ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობამ ამ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე კომპანიასთან შპს„მენეჯმენტთან" გაფორმა ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად საწარმომ აიღო ვალდებულება საკურორტო ზონაში სარეკრეაციო სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ სკვერებისა და სათამაშო მოედნების, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და დამსვენებელთათვის უსაფთხო, ჯანსაღ და გასართობ გარემოში ყოფნასა და დასვენებას. თუმცა ხელშეკრულების დადებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ გამოსცა ახალი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ზემოსხენებული განკარგულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოითხოვაშპს „მენეჯმენტთან" დადებული ხელშეკრულების ბათილობა.

**შეაფასეთ გამგეობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.**

**№7.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა საქართველოს კანონის „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" მე- 13 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე : „ამ მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში მხარდაჭერის მიზნით ხელშეკრულება დადონ შესაბამის პირებთან, თუ მათი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები და საშუალებები არ არის საკმარისი" დადო ხელშეკრულება ერთ-ერთი წამყვანი უკრაინული კომპანიის წარმომადგენლობასთან,ზვავსაწინააღმდეგო და თოვლის გამწმენდი ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით, რადგანაც რეგიონში ჩამოწვა ზვავი, რამაც გამოიწვია მოსახლეობასათვის ცენტრალური გზის ჩაკეტვა. იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონში არსებულმა ტექნიკა არ აღმოჩნდა საკმარისიზემოაღნიშნული პრობლემის დასაძლევად, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწვეტილება თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით (2 მილიონი ლარის ოდენობით), რათა შეეძინათ უკრაინული კომპანიისაგან შესაბამისი ტექნიკა.

**გთხოვთ დაასაბუთეთ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერება და განსაზღვრეთ თუ რა ტიპის ხელშეკრულება დაიდო მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის.**

**№8.**

ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 2016 წლის 10 სექტემბერს აუქციონზე გაიტანა თავის საკუთრებაში არსებული 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. ბორჯომში აღმაშენებლის N8-ში. აღნიშნულ აუქციონზე გაიმარჯვა შპს „ნიკამ",რომელმაც 2 კვირის ვადაში განახორციელა საპრივატიზებო თანხის გადახდა და შესაბამისად ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და კომპანიას შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება .

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი 2016 წლის ივლისის თვეში მუნიციპალიტეტმა სარგებლობის უფლებით გადასცა კერძო უნივერისტეტს, თუმცა არ მიეწოდებია ინფორმაცია უნივერსიტეტისათვის ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით და არც ახალ მესაკუთრეს შეატყობინა უძრავი ქონებაზე სარგელობის უფლების არსებობის საკითხი. ახალ მესაკუთრესთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შპს „ნიკამ" შეუწყვიტა სარგებლობის უფლება უნივერსიტეტს. ამ უკანასკნელმა კი მოითხოვა კომპანიასა და მერიას შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობა, იმ საფუძვლით რომ გაუარესდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა და ამასთან მისთვის არავის მიუცია წინასწარი გაფრთხილება ზემოანიშნულთან დაკავშირებით.

**გთხოვთ შეაფასოთ უნივერსიტეტის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.**

**№9.**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (შემდგოში - სამინისტრო)გადაწყვიტა ჯარისკაცებისათვის ახალი სამხედრო ფორმის და ფეხსაცმლის შეკერვა. ზემოაღნიშნულის განხორციელების მიზნით გადაწყვიტა ერთ-ერთ სამკერვალო სალონთან ხელშეკრულების გაფორმება, სამინისტროს იურიდიულმა სამსახურმა გაამზადა ხელშეკრულების ბლანკიდა მიუთითა ყველა ის გარემოება, რაც უნდა შეესრულებინა სამკერვალო სალონს. საქართველოს თავდაცვისსამინისტრომ ხელშეკრულება ხელმოწერის გარეშე გასაცნობად გაუგზავნა სამკერვალო სალონის ხელმძღვანელს, რომელიც გაეცნო აღნიშნულს და ხელმოწერილი დოკუმენტი უკან დაუბრუნა სამინისტროს. ამ უაკანასკნელმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და შეიანახა კანცელარიაში. 1 თვის გასვლის შემდგომ სამინისტრომ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მოსთხოვა სამკერვალო სალონს იმ ნიმუშებისა და ქსოვილების შეთანხმება, რითაც შეიკერებოდა სამხედრო ფორმები, რაზეც სალონის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მას არ დაუწყია მუშაობა, რადგანაც იქიდან გამომდინარე, რომ მას არ მიუღია სამინისტროს მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, ჩათვალა რომ შეთანხმება არ შედგა. სამინისტრომ მოითხოვა გაცდენილი დროისათვის ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულების შეწყვეტა.

**შეაფასეთ რამდენად გვაქვს სახეზე ხელშეკრულებითი ვალდებულება.**

**№10.**

ქალაქ თბილისის მუცაპილაიტეტის მერიამ აუქციონზე გაიტანა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, მეტეხის N7-ში. აუქციონში გამარჯვებულთან გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და მიწის ნაკვეთის შემძენს სახელშკრულებო პირობად განუსაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, ასევე სამშენებლო პროცესში 150 კაცის დასაქმება, იმ პირობით რომ დასაქმებული პირები აუცილებლად უნდა იყვნენ ეროვნებით ქართველი, თბილისში იურიდიულ მისამართზე ოფიციალურად რეგისტრირებული მამრობითი სქესის წარმომადგენლები, რომლებსაც საქმიანობის პერიოდში აეკრძალებათ ქალაქის დატოვება. კომპანიამ აქტიურად დაიწყო სამშენებლო სამუშაოები და კადრების შერჩევა, თუმცა ძალიან ბევრი პრობლემა წამოიჭრა სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან გამომდინარე და ამიტომ ხელმძღვანელობამ მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა.

**გთხოვთ დაასაბუთეთ ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები.**

## თავი VI

**№1.**

ფიზიკურმა პირმა მუსტაფა რიჩმა, რომელიც არის ირანის მოქალაქე, გადაწყვიტა საქართველოს მოქალაქეობის მიღება, რადგანაც 5 წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს საქართველოში, ამასთან ეწევა კომერციულ საქმიანობას, კერძოდ დაფუძნებული აქვს შპს „ბენთი", რომლითაც ახორციელებს ავტომობილების გაქირავების სერვისს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2018 წლის 5 მარტს მუსტაფა განდიმმიმართა სსიპ იუსტიციის სახლს და მოითხოვა საქართველოს მოქალაქეობის მიღება, მან წარადგინა შევსებული ანკეტა და თან დაურთო პირადი განცხადება ინგლისურ ენაზე, ამასთან განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციაც შედგენილი იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ნახა რა არასახელმწიფო ენაზე წარდგენილი დოკუმენტაცია, მუსტაფა რიჩს 2018 წლის 6 მარტს დაუდგინა ხარვეზი და მისცა 3 დღიანი ვადა დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის წარდგენისათვის.

ზემოაღნიშნულმა პირმა ვერ მოასწრო დოკუმენტაციის წარდგენა მითითებულ ვადაში, ვადის გაშვების გამო ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები.**

**№2.**

ენნ ჯეფერსონი 2 წელია ცხოვრობს საქართველოში და ამასთან სწავლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მან გადაწყვიტა სწავლასთან ერთად განახორციელოს კომერციული საქმიანობა და ამ მიზნის შესასრულებლად გადაწყვიტა კომპანიის დაფუძნება, ენნმამიმართა სსიპ თბილისის იუსტიციის სახლს და მოითხოვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაცია, რისთვისაც წარადგინა ინგლისურ ენაზე შედგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელმა ნახა რა არასახელმწიფო ენაზე



წარდგენილი დოკუმენტაცია, გამოიტანა გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. ენნმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები.**

**№3.**

მოქალაქე ი. ბაქრაძემ 2018 წლის 20 სექტემბერს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ნებართვის მიღება ქ. ბორჯომში მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის მიზნით. განცხადებაში მოქალაქემ მიუთითა რომ, რადგანაც ბორჯომი არის საკურორტო ზონა და მას უამრავი ტურისტი სტუმრობს, განსაკუთრებით კი საზაფხულო პერიოდში, მისთვის მნიშვნელოვანია პასუხისმოკლე ვადაში მიღება, რათა დროულად დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები და საზაფხულო სეზონის დადგომამდე გახსნას სასტუმრო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ერთი კვირის შემდგომ, კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად საკითხი გადაუგზავნა ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას და თან დაურთო თავისი მოსაზრება წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით. მოქალაქეს კი განცხადების წარდგენიდან მე-9 დღეს გაუგზავნა წერილი, მისი განცხადების ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაგზავნასთან დაკავშირებით, შესაბამისი დასაბუთებით.

**შეაფასეთ ქალაქ თბილისის მერიის ქმედების სამართლებრივი საფუძვლები.**

**№4.**

მოქალაქემ 2020 წლის 10 აპრილს თავისი გამოგონებისათვის საავტორო უფლების მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს „საქპატენტს".

საქპატენტის მიერ განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, მოქალაქის განცხადებას დაუდგინა ხარვეზი და მოსთხოვა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა. 2 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოფხვრის

თაობაზე მოქალაქემ დაიცვა და წარადგინა დოკუმენტაცია. ადმინისტრაციულმა ორგანომ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ მოქალაქეს გაუგზავნა შეტყობინებამოთხოვნით, რომ მის მიერ წარდგენილი მასალები არ პასუხობდა შეტყობინებებში დასმულ მოთხოვნებს და დამატებით კვლავ დაუდგინა 2 დღიანი ვადა დოკუმენტაციის კორექტირებისათვის. დამატებით მასალაში დასაზუსტებელი იყო ასევე გამოგონების დასახელებაც, რის გამოც განმცხადებელს კვლავ მიეცა ვადა დასაბუთებული პასუხის წარმოსადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში, „საქპატენტი“ გამოიტანდა გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩათვალა, რომ ისევ სცილდებოდა პირველად წარმოდგენილ განცხადის ფარგლებს. შესაბამისად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ გადაწყვეტილებით მოქალაქის განაცხადზე შეწყდა საქმის წარმოება არგუმენტირებული პასუხის წარმოუდგენლობის გამო.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება**

**№5.**

მოქალაქე ი. ახობაძემ 2021 წლის 3 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა სოციალური დახმარების დანიშვნა, იმ საფუძვლით, რომ ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, არის უმუშევარი და ცხოვრობს ძალიან ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში.

მოქალაქის განცხადება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მე-3 დღეს გადაუგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს, თუმცა მოქალაქისათვის ამის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია.

ი. ახობაძემ განცხადებაზე პასუხის მისაღებად მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადების რეგისტრაციიდან 30-ე დღეს, სადაც უთხრეს რომ მისი საკითხი არ განეკუთვნებოდა ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას და წერილი გადაზავ-



ნილი იყო უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდეს.

**შეაფასეთ ფინანსთა სამინისტროს ქმედების მართლზომიერება.**

**№6.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს მიმართა შპს „ბიქსომ“ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მიღება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით. მერიის შესაბამისმა სამსახურმა განაცხადის რეგისტრაციიდან მე-5 დღეს შეამოწმა განცხადების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან და კომპანიას დამატებით მოსთხოვა 10 დღის ვადაში შემდეგი დოკუემენტაციის წარმოდგენა, კერძოდ: საცხოვრებელი სახლის დაგეგმარების საპროექტო დოკუმენტაცია და ასევე ინფორმაცია იმ მშენებელი ფიზიკური პირების შესახებ, რომლებიც განახორციელებდნენ მრავალბინიანი სახლის მშენებლობას. შპს „ბიქსომ“ მე-9 დღეს წარადგინა საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო მშენებელთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე უარი განაცხადა, იმ საფუძვლით, რომ კანონით მას არ ევალებოდა მსგავსი დოკუმენტაციის წარდგენა, შესაბამისად მისი აზრით ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახური არ იყო უფლებამოსილი დამატებით მოეთხოვა მსგავსი დოკუმენტის წარმოდგენა.

ზემოხსენებულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, ინფორმაცია/ დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო მიიღო გადაწყვეტილება განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ. ზემოაღნიშნული კი გაასაჩივრა შპს „იქსომ“.

**შეაფასეთ ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მიღებული გადაწვეტილების კანონიერება.**

**№7.**

ქალაქ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ საბავშვო და დასასვენებელი ობიექტების განთავსების მიზნით გადაწყვიტა სარეკრეაციო სივრცის მოწყობა რეგიონში, რის გამოც გამოაცხადა ტენდერი. სატენდერო პირობებად განისაზღვრა, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოს დასრულება 9 თვის ვადაში, მაღალი

სტანდარტების მქონე მოწყობილობების მონტაჟი და მათ გამართულ მუშაობაზე მეთვალყურეობა.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ: შპს „სეტმა“ და შპს „ბოქსმა“. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბოქსი“, ვისთანაც მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენიდან მე-2 დღეს შპს „სეტმა“ მერიაში დაწერა განცხადება აცილების შესახებ და მიუთითა, რომ გამარჯვებული კომპანიის 100 %-იანი წილის მესაკუთრე იყო დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის იმ თანამდებობის პირის მეუღლე, რომელმაც უშუალოდ მონაწილეობა მიიღო ტენდერის ჩატარებასა და გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის პროცედურებში, რის დასადასტურებლადაც წარადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამის საფუძველზე მან მოითხოვა ტენდერის შედეგების გაუქმება და თავიდან ჩატარება. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფლებაზე.

**შეაფასეთ შპს „სეტის“ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.**

**შეაფასეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.**

**№8.**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა მოქალქე ე. გარიშვილმა და მოითხოვა თავის საწარმოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ კი კომპანიის იურიდიული მისამართისა და სახელწოდების ცვლილება.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განაცხადის რეგისტრაციიდან მე- 2 დღეს დადგინდა ხარვეზი, იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად არ იყო წარმოდგენილი იურიდიული მისამართის მესაკუთრის თანხმობა, რომელიც საჭიროებს სპეციალური წესით დამოწმებას.

მას შემდგომ, რაც მოქალაქე ე. გარიშვილმა გაიგო საქმისწარმოების შეჩერების შესახებ, მან მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა კონსულტაციის მიღება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძვლის შესახებ, აღნიშნული დახმარების გაწევაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უარი განაცხადა და მოქალაქეს მიუთითა კერძო იურიდიული მომსახურებით სარგებლობაზე.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება.**

**№9.**

2017 წლის 1 ნოემბერს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მოითხოვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, გორის მუნიციპალიტეტში მდებარე 5 ერთეული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემა, იმ საფუძვლით, რომ იგი გეგმავს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განცხადების სზაკ კოდექსის 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან მე-2 დღეს გადაუგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ზემოაღნიშნული წერილი და მოითხოვა მასში მითითებული საკითხის შესახებ მოსაზრების წარმოდგენა 2 კვირის ვადაში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა თავისი მოსაზრება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, შესაბამისად სააგენტო აღარ დაელოდა მის პასუხს და თავად მიიღო გადაწყვეტილება უძრავი ნივთის გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

**შეაფასეთ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქმედების კანონიერება.**

**№10.**

2018 წლის 10 სექტემბერს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) წერილით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრ-

თელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტომ და მოითხოვა სახელმწიფო საკუთრება-ში არსებული, თუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე 2 ერთეული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემა, იმ საფუძვლით, რომ იგი გეგმავს სოციალური პროექტების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და აქტიურო-ბას.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განცხა-დების სზაკ კოდექსის 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან მე-3 დღეს გადაუგზავნა თუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას ზე-მოაღნიშნული წერილი და მოითხოვა მასში მითითებული საკითხის შესახებ მოსაზრების წარმოდგენა 2 კვირის ვადაში.

მუნიციპალიტეტის მერიამ წერილის მიღებიდან მე-10 დღეს გა-მოაგზავნა პასუხი სააგენტოში, სადაც მიუთითა, რომ მას არ მი-აჩნია მიზანშეწონილად წერილში დასმული საკითხის განხორციე-ლება, რადგანაც აღნიშნული მიწის ნაკვეთები სურს გამოიყენოს მერიისა და გამგეობის თანამშრომლებისათვის ადმინისტრაციული ფართების მშენებლობის მიზნით. სააგენტომ განიხილა რა წერილ-ში დასმული ინფორმაცია, არ გაითვალისწინა მუნიციპალიტეტის მოსაზრება და გამოსცა ბრძანება 2 ერთეული ქონების სსიპ-სოცი-ალური მომსახურების სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით.

**შეაფასეთ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქმედების კანონიერება.**

**№11.**

მოქალაქე ლ. კენჭაძემ 2017 წლის 1 აპრილს მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ნებართვის მიღება საცხ-ოვრებელი სახლის სახეცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ მან გადაწყვიტა საკუთარი საცხოვრებელი სახლის საოჯახო ტიპის სასტუმროდ გადაკეთება, რისთვისაც საჭირო იყო მესამე სართუ-ლის რესტავრაცია და ყველა ოთახისათვის აივნის მიშენება. ახობა-ძემ მერიას წარუდგინა განაცხადი და საპროექტო დოკუმენტაცია. თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ განაცხადის რეგისტრაციი-დან მე-6 დღეს განიხილა წერილში დასმული საკითხი და დაად-გინა ხარვეზი, იმ მიზეზით, რომ საპროექტო დოკუმენტაციაზე არ იყოუფლებამოსილი არქიტექტორის ხელმოწერა და ბეჭედი, მერი-ამ წერილი აღნიშნულთან დაკავშირებით გაუგზავნამოქალაქე ლ. კენჭაძესდა განუსაზღვრა 15 დღიანი ვადა დოკუმენტაციის წარ-მოსადგენად.

მოქალაქემ 2017 წლის 15 მაისს მოახერხა მოთხოვნილი დო-კუმენტაციის წარდგენა მერიაში და მოითხოვა გაშვებული ვადის აღდგენა იმ მიზეზით, რომ იგი წერილის ჩაბარებიდან მე-3 დღეს მოხვდა საავადმყოფოში, რადგანაც დასჭირდა გადაუდებელი ოპე-რაცია და სულ რაღაც ორი კვირის წინ გამოწერეს სახლში, მან განცხადებას თან დაურთო სამედიცინო დაწესებულების მიერ გა-ცემული დოკუმენტი, შესაბამისი თარიღების მითითებით.

მერიამ არ დააკმაყოფილა მოქალაქის მოთხოვნა და განუმარტა, რომ მოქალაქე ვალდებული იყო საავადმყოფოდან გამოწერიდან მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში მიეწოდებინა აღნიშნული ინფორმა-ცია მისთვის, შესაბამისად უარი უთხრა წარმოების განახლებაზე.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონზომიე-რება.**

**№12.**

მოქალაქე გ. ბუნტურმა 2018 წლის 10 მარტს მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ორთაჭალა-ში, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლო-ბისათვის ნებართვის გაცემა, მერიამ განიხილა წერილში დასმუ-ლი საკითხი და 17 მარტს გამოიტანა გადაწვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, იმ საფუძვლით, რომ იმ ტერიტორიაზე განთავსებულია სულ კერძო ტიპის სახლები, გა-მოირჩევა ტურისტების სიმრავლით და აქვს ისტორიული დანიშნუ-ლება, შესაბამისად ამ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა დაამახინჯებს გარემოს იერსახეს.

მოქალაქე გ. ბუნტურმაარ გაითვალისწინა მუნიციპალიტეტის მერიის პოზიცია და მაინც დაიწყო მშენებლობა, ქალაქ თბილისის მერიამ შეიტყო რამშენებლობის შესახებ, მიიღო გადაწყვეტილება შენობის დემონტაჟის შესახებ. მოქალაქემ 2018 წლის 20 აპრილს

გაასაჩივრა ზემოაღნიშნული ფაქტი და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. მერიამ განცხადების რეგისტრაციიდან მე-2 დღესწერილობით განუმარტა მოქალაქეს, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა მიმართოს სასამართლოს და წარადგინოს შესაბამისი სარჩელი.

**შეაფასეთ მერიის გადაწყვეტილების კანონიერება.**

**№13.**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2018 წლის 10 იანვარს მიმართა მოქალაქე ლ. გუგავამ და მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებული დაბა სურამში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის, მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება, იმ საფუძვლით რომ ჰყავს ინვესტორები და სურს სასტუმროს აშენება, დაბა სურამი კი წარმოადგენს ტურისტულ ზონას და იქ სასტუმროს აშენება, ხელს შეუწყობს ტურისტთა რაოდენის ზრდას და ეკონომიკის განვითარებას, შესაბამისად სურს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებს მიწის ნაკვეთის ცვლილება არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 11 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, იმ საფუძვლით , რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი განცხადების/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის განხილვის, მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის წინასწარი შეფასებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნის შემუშავების მიზნით, შექმნილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელი კომისია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი, ასევე სააგენტოში განსახილველ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დაცული დოკუმენტაცია უნდა გადაეგზავნოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელ კომისიას, მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის წინასწარი შეფასებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნის შემუშავების მიზნით.

დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებული იქნება კომისიის მიერ დასკვნის შემუშავებისა და სარეგისტრაციო სამსახურში გადმოგზავნისთანავე.

ზემოღნიშნული პასუხი გაასაჩივრა მოქალქე ლ. გუგავამ და განცხადებაში მიუთითა რომ საქმის გაჭიანურებით ის დაკარგავდა ინვესტორებს და ველარ შეძლებდა სასტუმროს მშენებლობას.

**შეაფასეთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.**

**№14.**

მოქალაქე ი. აბესაძემ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა სოციალური დახმარების დანიშვნა, რისთვისაც წარადგინა შესაბამისი განცხადება და დოკუმენტაცია, საქმისწარმოების პროცესში დადგინდა, რომ მოქალაქე ი. აბესაძესარ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრირებული იყო მისამართის გარეშე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მოსთხოვამოქალაქეს3 დღის ვადაში წარმომადგენლის დანიშვნა, რომელსაცექნებოდა საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული მისამართი, სადაც გაიგზავნებოდა დაინტერესებული პირისათვის განკუთვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

მოქალაქე ი. აბესაძემ3 დღის ვადაში ვერ მოახერხა სააგენტოში მისვლა და წარმომადგენლის დანიშვნა, მან ორი კვირის მერე მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს თავის მეგობართან ერთად, რომ დაენიშნა წარმომადგენლად. თუმცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ იმ საფუძვლით რომ 3 დღის ვადაში წარმომადგენელი არ დაინიშნა, თავის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, სოციალური დამხარების დანიშვნასთან დაკავშირებით ბათილად ცნო.

ზემოაღნიშნული ფაქტი გაასაჩივრა მოქალაქემ.

**განსაზღვრეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქმედების კანონიერება.**

**№15.**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა ფიზიკურმა პირმა ი. მეტრეველმა და მოითხოვა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, რისთვისაც წარადგინა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ი. მეტრეველისმფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ზედდებაშია ფიზიკურ პირი ლ. მჟავანაძის საკუთრებაში არსებულ ფართთან. კერძოდ ლ. მჟავანაძის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 100 კვადრატული გადასული იყო ი. მეტრეველის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მხოლოდ ი. მეტრეველისმიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ისე რომ მჟავანაძისთვის არ უცნობებია და არ ჩაურთვას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, მიიღო გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის კუთვნილი 600 კვ.მ ფართის 100 კვ.მ -ით შემცირებასთან დაკავშირებით.

როდესაც ზემოხსენებული ფაქტი ცნობილი გახდა მჟავანაძისთვის, მან გაასაჩივრა აღნიშნული და მიუთითა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სზაკ კოდექსის 95-ე და 96-ე მუხლებით გათავლისწინებული მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით.

**შეაფასეთ მჟავანაძის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების კანონიერება.**

**№16.**

ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ. №55 მცხოვრებმა პირებმა (სულ 30 პირმა) ადმინისტრაციული სარჩივრით მიმართეს ქ. თბილისის მერიას და მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული სამშენებლო ნებართვის ბათილად ცნობა.

ადმინისტრაციული საჩივრის თანახმად, მათი საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობის დემონტაჟის პერიოდში შეიტყვეს, რომ მათი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი შერეული ტიპის (საოფისე და საცხოვრებელი) შენობა.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემა გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვას, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას და მათ მონაწილეობას. ამასთან ისინი აღნიშნავენ, რომ მათთვის არ ყოფილა ცნობილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების, ჩატარების და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ინფორმაცია. როგორც მოსარჩელეები მიუთითებენ არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემული აქტი ლახავს მათ ინტერესესს და, შესაბამისად, მოსარჩელეები მოითხოვენ აღნიშნული მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობას.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება.**

## თავი VII

**№1.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას 2018 წლის 5 მარტს მიმართა მოლაქე თ. გე;ლაშვილმა და მოითხოვა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა.

კომისიამ 2018 წლის 18 მარტს წერილი გაუგზავნა არქივის სამსახურს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა წერილში დასმულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2018 წლის 25 მარტს წერილობითი პასუხი გამოაგზვნა არქივის სამსახურმა და 28 მარტს კი ინფორმაცია წარმოადგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მაინც გააგრძელა ადმინისტრაციული წარმოების ვადა და 2018 წლის 5 ივლისს გამოსცა საკუთრების უფლების და-

მადასტურებელი მოწმობა.

**შეაფასეთ ადმინისრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება.**

**№2.**

საქართველოს მთავრობამ დაიწყო წარმოება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად. გამოაქვეყნა პროექტი ელექტრონულ ვებ-გვერდზე და ამასთან ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. პროექტთან ერთად გამოაქვეყნა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შეახებ, სადაც მიუთითა იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ნორმატიული აქტის მიღების ვადა ( 1 თვე) და იმ კოლეგიური ორგანოს მისამართი, სადაც შესაძლებელი იქნება მოსაზრებების წარდგენა.

ზემოაღნიშნული პროექტი მოსაზრებისათვის გადაუგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოსაზრების წარდგენის ვადად განუსაზღვრა 5 დღე.

თუმცა კომისია ვერ ჩაეტია განსაზღვრულ ვადაში და საკუთარი მოსაზრების წარდგენა შეძლო მე-10 დღეს.

ამასთან მოქალაქე . ა. ცომაიამგაიგო რა ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით, მივიდა მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში და მოითხოვა საკუთარი აზრის დაფიქსირება პროექტთან დაკავშირებით. მისი მოსაზრება განიხილა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, თუმცა პასუხი არ გაუცია, მოსაზრების წარდგენიდან მე- 5 დღეს ა. ცომაიაგამოცხადდა ადმინისტრაციულ ორგანოში და მოითხოვა მის მიერ წარდგენილ მოსაზრებაზე პასუხის მიღება. მთავრობის ადმინისტრაციამ კი უარი განუცხადა პასუხის გაცემაზე.

**განსაზღვრეთ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება.**



**№3.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო წარმოება „სტიქიით დაზარალებულთა დაკმაყოფილების წესის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების მისაღებად.

გამოაქვეყნა პროექტი ელექტრონულ ვებ-გვერდზე და ამასთან ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. პროექტთან ერთად გამოაქვეყნა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შეახებ, სადაც მიუთითა იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ნორმატიული აქტის მიღების ვადა ( 1 თვე) და იმ კოლეგიური ორგანოს მისამართი, სადაც შესაძლებელი იქნება მოსაზრებების წარდგენა.

მოქალაქე ნ. ხაჩიძემშეიტყო რა ნორმატიული აქტის პროექტის გამოქვეყენების შესახებ, მივიდა საკრებულოს შენობაში და მოითხოვა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ნორმატიული აქტის პროექტით განსაზღვრულ პროექტთან დაკავშირებით, ისე რომ თავისი ვინაობის მითითება არ ისურვა. საკრებულოს თანამშრომელმა კი მოქალაქეს განუმარტა, რომ განაცხადის ჩაბარებას შეძლებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე მიუთითებდა სახელს, გვარს და იურიდიულ მისამართს.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი პირის ქმედების კანონიერება.**

**№4.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო წარმოება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად.

გამოაქვეყნა პროექტი ელექტრონულ ვებ გვერდზე და ამასთან ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. პროექტთან ერთად გამოაქვეყნა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შეახებ, სადაც მიუთითა იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, და ასევე მისამართი, სადაც შესაძლებელი იქნება მოსაზრებების წარდგენა, თუმცა ნორმატიული აქტის მიღების ვადა არ განუსაზღვრავს.

ზემოაღნიშნული პროექტი გაუგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივცრი-

თი დაგეგმარების დეპარტამენტს და 10 დღის ვადაში მოთხოვა მოსაზრების წარდგენა პროექტით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით.

ზემოხსენებულმა დეპატამენტმა ვერ წარადგინა მოსაზრება განსაზღვრულ ვადაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო კი აღარ დაელოდა სივცრითი დაგეგმარების დეპარტამენტის მოსაზრების წარდგენას და ისე გამოსცა დადგენილება„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ".

**შეაფსეთ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება.**

**№5.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო წარმოება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" დადგენილების მისაღებად.

გამოაქვეყნა პროექტი ელექტრონულ ვებ გვერდზე და ამასთან ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. პროექტთან ერთად გამოაქვეყნა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შეახებ, სადაც მიუთითა იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, და ასევე განსაზღვრა ნორმატიული აქტის მიღების ვადად ( 1 თვე).

ზემოაღნიშნული პროექტი გაუგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივცრითი დაგეგმარების დეპარტამენტს და 10 დღის ვადაში მოთხოვა მოსაზრების წარდგენა პროექტით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით.

ზემოხსენებულმა დეპარტამნეტმა წარადგინა მოსაზრება განსაზღვრულ ვადაში, სადაც მიუთითა, რომ ჰქონდა შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით და არ ეთანხმებოდა წარდგენილი ფორმატით ნორმატიული აქტის გამოცემას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ გაითვალისწინა სივცრითი დაგეგმარების დეპარტამენტის უარყოფითი მოსაზრება და შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით და გამოსცა დადგენილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ".



**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება.**

**№6.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო წარმოება სტიქიით დაზარალებულთა დაკმაყოფილების წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მისაღებად.

გამოაქვეყნა პროექტი ელექტრონულ ვებ გვერდზე და ამასთან ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. პროექტთან ერთად გამოაქვეყნა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, სადაც მიუთითა იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ნორმატიული აქტის მიღების ვადა ( 1 თვე) და იმ კოლეგიური ორგანოს მისამართი, სადაც შესაძლებელი იქნება მოსაზრებების წარდგენა.

კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩანიშნა სხდომა და მოიწვია სხდომის ყველა წევრი.

სხდომაზე გამოცხადდა წევრთა მხოლოდ მესამედი, მიუხედავად ამისა თავჯდომარემ არ გადადო სხდომა და მაინც მიიღო გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით და შეადგინა შესაბამისი სხდომის ოქმიც, რომელსაც მოაწერა ხელი თავად, ხოლო მდივანმა, რომელიც ასევე ესწრებოდა სხდომას, ხელი არ მოაწერა ოქმს.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი პირის ქმედების კანონიერება.**

## თავი VIII

**№1.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მიმართა ფიზიკურმა პირმა ნ. კიკნაძემდა თ. ანდრიაძემ და მოითხოვეს თბილისის ზღვის მიმდებარედ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა, მერიის შესაბამისმა სამსახურმა საქართველოს კანონის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე

საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ შესაბამისად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სზაკ კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების და ამ კანონით დადგენილი წესით.

დაინტერესებულმა პირებმა წარადგინეს განაცხადი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზები და მოწმეთა წერილობითი ჩვენება.

ადმინისტრციულმა ორგანომ დაიწყო რა წარმოება, ამის შესახებ აცნობა დაინტერესებულ პირებს და 5 დღით ადრე მოიწვია ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

სხდომა ჩატარდა საჯაროდ, სხდომაზე შედგა ოქმი, სადაც მიეთითა სზაკ კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად გასაზღვრული რეკვიზიტები.

სხდომის დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ გამოსცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამისად დაინტერესებულ პირების სახელზე გასცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება.**

**№2.**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2018 წლის 1 აპრილს მიმართა ა. კაპანაძემ და მოითხოვა პროექტის ფარგლებში ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განაცხადი 2018 წლის 2 აპრილს გადაუგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და ამის შესახებ აცნობა განმცხადებელს.

ზემოაღნიშნულმა კომისიამ დაიწყო ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება და ჩანიშნა ზეპირი სხდომა, რის შესახებაც აცნობა დაინეტერესებულ პირს სხდომის გამართვამდე 8 დღით ადრე.

იქიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობდა თერმული წლის ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიაზე, კომისიამ



მიზანშეწონილად ჩათვალა საქმეში საექსპერტო დასკვნის არსებობა და შესაბამისად დაინტერესებულ პირს მოსთხოვა ზემოხსენებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ზეპირი სხდომის დროს, ა. კაპანაძემწარადგინა საექსპერტო დასკვნა და ამასთან ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვა დასკვნის მომზადების ღირებულების გადახდა, რადგანაც კომისიის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა ექსპერტიზა. ზემოაღნიშნილი თანხის გადახდაზე უარი განაცხადა კომისიამ და მხარეს მიუთითა, რომ იგი თავად იყო ვალდებული დაეფარა ექსპერტიზის ხარჯები.

**შეაფასეთ ა. კაპანაძის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.**

**№3.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მიმართა ფიზიკურმა პირმა ნ. მჟავანაძემ და მოითხოვა თბილისის ზღვის მიმდებარედ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა, მერიის შესაბამისმა სამსახურმა საქართველოს კანონის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ შესაბამისად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სზაკ კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების და ამ კანონით დადგენილი წესით.

ადმინისტრციულმა ორგანომ დაიწყო რა წარმოება, ამის შესახებ აცნობა დაინტერესებულ პირს და 3 დღით ადრე მოიწვია ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

სხდომა ჩატარდა საჯაროდ, სხდომაზე შედგა ოქმი, სადაც მიეთითა სზაკ კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად გასაზღვრული რეკვიზიტები.

დაინტერესებული მხარე გაეცნო სხდომის ოქმს და მეორე დღესვე წარადგინა თავისი შენიშვნები, კერძოდ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ოქმში არ იყო სრულად შეტანილი მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და არც უძრავი ქონების მდებარეობა იყო სწორად მითითებული. ადმინისტრაციული ორგანო არ დაეთანხმა მის შენიშვნას და ამის შესახებ ზეპირსიტყვიერად აცნობა

მხარეს. აღნიშნული ფაქტი გაასაჩივრა დაინტერესებულმა პირმა.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება**

## IX თავი

**№1.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა შპს „ბუნებამ"და მოითხოვეს ლიცენზიის გაცემა თერმული წყლების მოპოვება-განკარგვასთან დაკავშირებით.

სამინისტროს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით განცხადების განხილვა დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი წესების დაცვით და ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნული გადაწვეტილება დაინტერესებულმა პირმა გაასაჩივრა იმ საფუძვლით, რომ უფლებამოსილმა ადმინისტრაციული ორგანომ დაარღვია კანონით გათვალისწინებული პროცედურა და საკითხი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვის ნაცვლად განიხილა მარტივი ადინისტრაციული წარმოების გზით.

შეაფასეთ **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს** უფლებამოსილი პირის ქმედების კანონიერება.

**№2.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 1 მარტს მიმართა შპს „გოლდმა" და მოითხოვა კეთილშობილი და ძვირფასი ლითონების მოპოვებისათვის ლიცენზიის გაცემა.

სამინისტროს უფლებამოსილმა პირმა გამოაქვეყნა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ სადაც მიუთითა ყველა ის რეკვიზიტი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116 -ე მუხლით.

დაინტერესებულმა პირმა მე-10 დღეს მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და წარადგინა საკუთარი მოსაზრება.

სამინისტროს უფლებამოსილმა პირმა 15 აპრილს მოამზადა ინ-



დივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი და ზეპირი მოსმენის გამართვიდან მე-10 დღეს გამოსცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.

**შეაფასეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს** ქმედების კანონიერება.

**№3.**

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, შპს „ენერგი"-ს განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სიხშირის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, ჩაატარა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და ამ მიზნით გამართა ზეპირი მოსმენა, რომლის თაობაზეც სხდომამდე 7 დღით ადრე დადგენილი წესით აცნობა ყველა დაინტერესებულ პირს და მოიწვია ისინი ზეპირ მოსმენაზე, მათ შორის შპს „ენერგი"-ც, თუმცა განმცხადებელი - შპს „ენერგი", კომისიისათვის უცნობი მიზეზით ვერ დაესწრო ზეპირ მოსმენას, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ლიცენზია, კომისიამ გამოსცა ზეპირი მოსმენის გამართვიდან მე-9 დღეს.

შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება?დაცული იქნა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სზაკ-ს მოთხოვნები?

**№4.**

შპს „ტივი"-მ განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რომელიც არის კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო და მოითხოვა სატელეკომუნიკაციო სიხშირის გაზრდა. მარეგულირებელმა კომისიამ განცხადების საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გატაწყვიტა ზეპირი განხილვის ჩატარება და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნა კომისიის იფიციალურ ვებ-გვერდზე. ზეპირ მოსმენაში მონაწილების მიზნით მოქალაქეებმა გამოხატეს სურვილი. მათ ზეპირი განხილვისას წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები როგორც წერილობით ისე ზეპირად.

კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ზეპირი სხდომის

გამართვიდან მე-5 დღეს გამოსცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც შპს ,,ტივის“ მოთხოვნა სიხშირის გაზრდის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

შპს ,,ტივმა“ აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი გაასაჩივრა სასამართლოში და მოითხოვა აქტის ბათილად ცნობა, იმ საფუძვლით, რომ ადმინისტრაციულ ორგანომ წარმოება ჩაატარა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ ჩაატარა ზეპირი განხილვა და უფლება დართო დაინტერესებულ პირებს მონაწილეობა მიიღო მასში, მაშინ როცა აღნიშნული წარმოადგენდა კერძო პირის შპს ,,ტივის“ განცხადებას და მასში დასმული საკითხი, მხოლოდ მისი ინტერესის სფერო იყო.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება.**

## XI თავი

**№1.**

თემური წლებია ეწევა საადვოკატო საქმიანობას და სწორედ მისი გამოცდილების გათვალისწინებით სანდრო დაუკავშირდა მას და სთხოვა გაეცა მისთვის კვალიფიციური იუდიული კონსულტაცია კერძოდ მას როგორც დამოუკიდებელი ორგანოს წარმომადგენელს აინტერესებდა რა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოეცა მას მუნიციპალური ქონების პრივატიზების თაობაზე, რომლის ღირებულება შეადგენდა 50 000 ლარს.

თემურიმ შეისწავლა სანდროს საკითხი და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 158-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა, რომ მას როგორც დამოუკიდებელი ორგანოს წარმომადგენელს ჰქონდა ზ/ა მუხლის საფუძველზე ინდივიდულაური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მერაბის მიერ გაცემული კონსულტაცია?**



**№2.**

ეკატერინეარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამდებობის პირი, რომელსაც დაევალა ტენდერის გამოცხადება, რომლის საფუძველზეც მოხდება დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნეა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა რამდენიმე ფიზიკური პირისაგან შემდგარმა ჯგუფმა და წარედგინა თამარს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ეკატერინემ საკითხის განხილვისას მიიღო გადაწყვეტილება უარი ეთქვა ზ/ა ჯგუფისათვის რეგისტრაციის გავლაზე იმ მოტივით, რომ დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობა მიიელო ამდენი ფიზიკური პირის გაერთიანებას.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენიად კანონიერია თამარის გადაწყვეტილება?**

**№3.**

ლაშამდაწერა ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს პრეზიდენტის სახელზე და მოითხოვა მისი საკითხის დაუყოვნებლივ განხილვა.

საქართველოს პრეზიდენტმა განიხილა რა ლაშასადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი დაავალა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის უფროსს წერილობით ეცნობებინა გიორგისათვის 3 დღის ვადაში, რომ იგი მოიწვევდა ამ საკითხის გადასაწყვეტად დამოუკიდებელ ორგანოს.

ლაშას საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიტყო რა პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე გაასაჩივრა მისი ქმედება იმ მოტივით, რომ პრეზიდენტს თავად უნდა განეხილა ლაშას საქმე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია არასამთავრობოს მოთხოვნა?**

**№4.**

საქართველოს პრემიერ მინისტრმა ლუკასმიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად მოიწვია დამოუკიდებელი ორგანო, რომლის მოწვევის უფლებამოსილება მას გააჩნია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 160-ე მუხლის

შესაბამისად.

ლუკა სსაკითხის სათანადო კვლევის შედეგად დამოუკიდებელმა ორგანომ გამოსცა ინდივიდუალი ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აქტის გაცნობის პროცესს ესწრებოდა ლეკასადვოკატი და არადამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების შემდგომ მან გადაწყივიტა ზ/ა აქტი გაესაჩივრებინა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდგომ მიემართა სასამართლოსთვის.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ლუკას ადვოკატის მოქმედება?**

## XII

**№1.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ქეთის საკითხის გადასაწყვეტად გამოსცა ინდივიდუალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ქალაქ თბილისის მერის გადაწყვეტილებით ზ/ა აქტის აღსრულება დაევალა ქალაქ თბილისის მერიის სამგორის რაიონის გამგეობას.

თავისმხრივ სამგორის რაიონის გამგებელმა სრულიად უკანონოდ მიიჩნია ქალაქ თბილსიის მერის გადაწყვეტილება და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 162 -ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად უარი განაცხადა ქეთის საკითხზე გამოცემული იდივიდუალირი ადმინისტრაციული აქტის აღსრულებაზე.

**გთხოვთ იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ქალაქ თბილისის მერის მოთხოვნა?**

**№2.**

ქალაქ რუსთავის მერმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მის მიერ მიღებული ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შეეხება ტრანსპორტის საკითხებს აღასრულებს ქალაქ რუსთავის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

მსგავსი ინფორმაციის საინფორმაციო საშუალებებით გამჟღავნების შემდგომ ქალაქ რუსთავში მოქმედმა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ გააპროტესტა ქალაქ რუსთავის მერის გადაყვეტილება. ასევე მათ სათანადო სარჩელით მიმართეს რუსთავის რაიონულ სასამართლოსაც, იმ მოტივით, რომ ქალაქ რუსთავის მერს კანონმდებლობით მხოლოდ გამონაკილს შემთხვევაში ერთჯერადად შეეძლო მოეხდინა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სხვა ორგანოსთვის გადაცემა, თუნდაც ქვემდგომი ორგანოსთვის.

**გთხოვთ იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ქალაქ რუსთავის მერის გადაწყვეტილება?**

**№3.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა იდნდივიდუალური ადამინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც თიკას დაევალა გარკვეული მოთხოვნის შესრულება.

ზ/ა მოთხოვნა თიკამ განიხილა მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურიტსთან ერთად და მიიღო გადაწყვეტილება უარი განეცხადებინა ინდივიდუალრი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებზე, იმ მოტივით, რომ ამ შემთხვევაში მისი ქმედება გამოიწვევდა სხვა პირტა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას, რომლის დაცვაც მისი ვალდებულება იყო კანონმდებლობით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ კანონიერია თუ არა თიკას მოქმედება?**

**№4.**

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით მიმართა მარიამმა.

ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა რა მაირიამის განცხადება 14 დღის ვადაში მიიღო გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე.

მარიამის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოცემული იქნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სადაც ნათლად იქნა გაწერილი აღსრულების უზღუნველყოფის თითეული დეტალი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ადმინისტრაციული ოქრგანოს მოქმედება?**

**№5.**

თემოს მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული იქნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულების უძრუნველყოფის მიზნით.

ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 167-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად თემოს განესაზღვრა 2 კვირიანი ვადა ზ/ა აქტის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესასრულებლად.

აქტში ასევე განსაზღვრული იყო ის მოქმედებები, რომლითაც შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნების შესრულება.

თედომ გაანალიზა ის მოცემულობა რაც მისთვის წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში და მიიღო გადაწყვეტილება ემოქმედა მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით.

ადმინისტრაციულმა ორგანომ თემოს ეს ქმედება ჩათვალა თვითნებობად და შესაბამისი აქტის მიზნით გამოიყენა უშუალო იძულების მექანიზმი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება?**

**№6.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ეკას მიმართ გამოიყენა აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებებიდან იმ მომენტისათვის მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალება და გასცა ერთერთ პირზე იდივიდულაური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქის აღსრულების დავალება.

ზ/ა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი თნამადებობის პირისთვის გიორგისთვის ცნობილი იყო, რომ ამ აღსრულების საშუალების გამოყენება იყო დაკავშირებული დიდ დანახარჯებთან მაგრამ პირადი პასუხისმგებლობის ფარგლებში მაინც მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება.

**გთხოვთ იმსჯელოთ, როგორ უნდა ემოქმედა გიორგის?**

**№7.**

გუკას მიმართ ადმინისტრაციულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიყენა აღსრულების უზრუნველსაყოფათ ჯარიმა, როგორ სამოქალაქო სამართლებრივი საშუალება, ვინაიდან იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი ნების გამოვლენით.

ვინაიდან საკითხის მიმართ არსებობდა საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესი, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა გუკას ქმედების დასაჩქარებლად გადაწყვიტა გამოეყენებინა ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა 5000 ლარი.

**გთხოვთ იმსჯელოთ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებზე?**

## XIII თავი

**№1.**

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) 2017 წლის 15 ივნისს განცხადებით მიმართა მოქალაქე დ. კენჭაძემ და მოითხოვა სოციალური დახმარების დანიშვნა. განცხადებაში მიუთითა, რომ ჰყავს მცირეწლოვანი შვილები და ცხოვრობს ძალიან ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში. დ. კენჭაძემ ითხოვა განცხადების მოკლე ვადაში განხილვა და პასუხის წერილობით შეტყობინება.

ვინაიდან ერთი თვის განმავლობაში მოქალაქეს არ მისვლია წერილობითი პასუხი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, იგი თავად მივიდა სააგენტოში და მოითხოვა 2017 წლის 15 ივნისს წარდგენილი განცხადების პასუხი.

თუმცა აღმოჩნდა რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა განცხადება განხილული და შესაბამისად არც გადაწყვეტილება მიღებული.

გაბრაზებულმა დ. კენჭაძემ საჩივრით მიმართა ზემდგომ თანამდებობის პირს, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე, იმ საფუძვლით რომ მოქალაქეს არ ჰქონდა წარდგენილი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული პასუხი, 2017 წლის 15 ივნისს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

**შეაფასეთ თანამდებობის პირის ქმედების შესაბამისობა კანონმდებლობასთან.**

**№2.**

მოქალაქე თ. კაკაურიძემ 2017 წლის 10 მარტს მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) და მოითხოვა მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაცია, სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და მოქალაქეს მოსთხოვა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა, ვინაიდან თ. კაკაურიძემ ვერ წარადგინა ზემოხსენებული დოკუმენტი, სააგენტომ ამავე წლის 10 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყობილებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოქალაქემ ზემდგომ თანამდებებობის პირთან. სააგენტომ საჩივრის წარგენიდან ერთი თვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნული შესახებ აცნობა მხარეს. რამოდენიმე თვის შემდგომ, დაინტერესებულმა პირმა განმეორებით მიმართა სააგენტოს საჩივრით და ისევე მოითხოვა 10 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და უძრავი ქონების მის სახელზე რეგისტრაცია. ზ/ა საჩივრის განხილვაზე სააგენტომ უარი განაცხადა, იმ საფუძვლით რომ კონკრეტულ საქმეზე ერთხელ უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება.

**შეაფასეთ სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება?**

**№3.**

მოქალაქე ა. მაისურაძემ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) და მოითხოვა მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგინდა, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ზედდებაში იყო უკვე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან და სააგნეტომ მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და მხარეს მოთხოვა კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენა, ვინაიდან დაინტერესებულმა პირმა შესაბამის ვადებში ვერ წარადგინა დოკუმენტაცია, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოქალაქე ა. მაისურაძემ 2018 წლის 1 მაისს გაასაჩივრა სააგენტოში ზემდგომ თანამდებობის პირთან.



სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში საჭიროდ ჩათვალა ადგილზე მიწის ნაკვეთის მოკვლევის განხორციელება, რაც დაავალა შესაბამის სამსახურს. იქიდან გამომდინარე რომ მოკვლევის ჩატარება გარკვეულ დროს საჭიროებდა, სააგენტომ საჩივრის წარდგენიდან მე-10 დღეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესაადმინიხებ აცნობა მხარეს. საბოლოო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტომ მიიღო 2018 წლის 10 აგვისტოს.

**შეაფასეთ სააგენტოს ქმედების კანონიერება.**

**№4.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს მიმართა მოქალაქე გ. ფარულავამ და მოითხოვა თავის საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ფართზე მიშენების განსახორციელებლად ნებართვის მიღება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა განცხადების წარდგენიდან მე-15 დღეს მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კი დაინტერესებულმა პირმა გაასაჩივრა იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში ზემდგომ თანამდებობის პირთან, მოქალაქე გ. ფარულავას საჩივრის განხილვაზე უარი განუცხადეს, ვინაიდან არ ჰქონდა წარდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის განხილვაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.**

**№5.**

მოქალაქე თ. აბაშიძემ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) და მოითხოვა მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგინდა, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ზედდებაში იყო უკვე რეგისტრირებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან და სააგნეტომ მიიღო გადაწყვეტილება

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და მხარეს მოთხოვა კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენა, ვინაიდან დაინტერესებულმა პირმა შესაბამის ვადებში ვერ წარადგინა დოკუმენტაცია, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოქალაქე თ. აბაშიძემგაასაჩივრა სააგენტოში ზემდგომ თანამდებობის პირთან. ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ სააგენტომ წერილობით აცნობა დაინტრესებულ პირს და მოიწვია კრებაზე დასასწრებად. ზეპირი მოსმენის დროს მხარემ უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე, თუმცა საჩივრის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეწყვიტა საქმის განხილვა იმ საფუძლით, რომ საქმე ეხებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზედდების საკითხს, ამასთან აღსანიშნავია რომ ზემოაღნიშნულ ფართზე განთავსებული იყო საავადმყოფოს შენობა.

**შეაფასეთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.**

**№6.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა პირმა გაასაჩივრა ზემდგომ თანამდებობის პირთან. სანამ საჩივრის განხმილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა საჩივარი, მანამ აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ძალადაკარგულად გამოაცხადა მის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, იმ საფუძვლით რომ მას წარედგინა ახალი გეოლოგიური დასკვნა მითითებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ და შესაბამისად გამოსცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, რაც აცნობა როგორც დაინტერესებულ მხარეს, ასევე საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამ უკანასკნელმა შეწყვიტა ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული წარმოება.



**შეაფასეთ ადმინისტრაციული აქტის გამომცემი და ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება.**

## XIV თავი

**№1.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრმელი გენადი უფროსის დავალებითა და სამსახურის მიერ განსაზღვრული გეგმა გრაფიკის მიხედვით ახორციელებდა გამწვანებით ღონისძიებებსა და გადაბერებული ხის ტოტების გასხვლას, რა დროსაც ხის ნაწილი დაეცა იქვე მდგომ თამარის კუთვნილებაში მყოფ ავტომობილს.

საპატრულო პოლიციის მოსვლისა და საქმის ვითარებაში გარკვევის შემდგომ თამარმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, თუმცა 2 დღის ვადაში მიიღო პასუხი, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ თამარის განცხადება გადაგზავნილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ვინაიდან მერია შესაბამის სამუშაოებს ატარებდა სწორედ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითების საფუძველზე და შესაბამისად მერია პასუხისმგებელ ორგანოდ მიიჩნევს სწორედ ზ/ა უწყებას.

**გთხოვთ იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოქმედება?**

**№2.**

2010 წელს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა შპს ,,მშენებელის" განცხადება მშენებლობის უფლების მოპოვების თაობაზე დააკმაყოფილა და გამოსცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მშენებლობის განხორციელების თაობაზე ქ. თბილისში თაბუკაშვილის 7-ში არსებულ 1000 კვ.მ მიწაზე.

2015 წელს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ ახლად აღმოჩენილი გარემობების საფუძველზე, გამოსცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის

საფუძველზეც თაბუკაშვილის 7-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსი საცხოვრებლად სახიფათო იყო, ვინაიდან ახალი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე არსებულ ადგილას მშენებლობა დაუშვებელი იყო. ამიტომ მერიამ მიიღო გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლიდან მოქალაქეების გამოსახლების თაობაზე, რისთვისაც მათ მისცა 3 თვიანი ვადა. ასევე მერიის გადაწყვეტილებით მოქალაქეებს გადაეცათ ალტერნატიული ფართიც.

მიუხედავად ვადის გასვლისა მოქალაქეებმა უარი განაცხადეს დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი სახლები. მერიის გადაწყვეტილებით შესაბამის ორგანოებს დაეკისრათ მერიის გადაწყვეტილების აღსრულება და უშუალო იძულების გამოყენება, ვინაიდან მოქალაქეები უარს აცხადებდნენ თავინათი ნებით დაეტოვებინათ საცხორებელი სახლები.

მერიის გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებლო პოლიციამ დაიწყო აღსრულება, გამოიყენა ფიზიკური ძალა უშუალოდ მოქალაქეების მიმართ და ასევე განახორციელა მოქალაქეთა ნივთების გამოტანა. ზოგ შემთხვევაში პოლიციამ მოქალაქეთა ნივთები ფანჯრებიდან გადმოყარა, რის საფუძლეზეც დაზიანდა მოქალაქეთა საკუთრება.

თაბუკაშვილის მცხოვრებლებმა მიმართეს სასამართლოს მერიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე და ასევე მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**შეაფასეთ შემთხვევა, აქვთ თუ არა მოქალაქეებს მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება სახელმწიფოს მხრიდან.**

**№3.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საზოგადოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცა იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც გიორგის მიადგა ზიანი.

ლევანიმ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, თუმცა ფინანსთა სამინისტრომ საკითხის გამოკვლევის შედეგად არ მიიჩნია ადეკვატურად მისი მოთხოვნის დაკამაყოფილება, ვინაიდან საზოგადოებრივი აუცილებლობით იყო განპირობებული ზ/ა აქტის გამოცემა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია გიორგის მოთხოვნა.**



## კაზუსები
## საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლიში

## I თავი

**№1.**

ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) 2019 წლის 10 აპრილს კერძო აუდიტორულ კომპანიასთან (შპს „მომსახურება“) გააფორმა ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შეფასებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებით განისაზღვრა ყველა ის პირობა რაც მხარეებს უნდა შეესრულებინათ, მათ შორის მომსახურების ანაზღაურების საკითხი, რომელიც ითვალისწინებდა თითოეულ აუდიტის დასკვნაზე შესაბამისი თანხის განსაზღვრას და სააგენტოს მიერ გადარიცხვას კომპანიის ანგარიშზე.

მას შემდგომ რაც შპს „მომსახურებამ“ სააგენტოს დაკვეთით შეასრულა ქ. თბილისში, მცხეთის ქუჩაზე არსებული უძრავი ქონების შეფასება და შესაბამისი დასკვნა წარადგინა სააგენტოში, მან მოითხოვა სანაცვლოდ ხელეკრულებით განსაზღვრული თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა. სააგეტომ კი პასუხად განუცხადა, რომ ის წლის ბოლოს ჯამურად მოახდენდა თანხის გადარიცხვას და არა თითოეულ შესრულებულ დასკვნაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტი არ აღმოჩნდა კომპანიისათვის მისაღები და მან სარჩელი წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა საკითხის ადმინისტრაციული საპროცესო წესით განხილვა, რადგანაც საქმე ეხებოდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს.

ადმინისტრაციულმა საქმეთა კოლეგიამ მოაბრუნა სარჩელი და მიუთითა, რომ საკითხი უნდა განხილულიყო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ, რადგანაც დავა იყო კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№2.**

მოქალაქე ლ. მაისურაძემ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) და მოითხოვა მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრებად რეგისტრაცია, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი საკუთრების უფლების დამდასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგენია. სააგენტომ განიხილა მოქალაქის განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და მხარეს განუსაზღვრა ვადა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარსადგენად.

მოქალაქე ლ. მაისურაძემ ვერ შეძლო დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა, რის გამოც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

მოქალაქემ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა.

სასამართლომ არ მიიღო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მხარეს არ ჰქონდა გამოყენებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№3.**

მოქალაქე თ. გელაშვილმა აუქციონის წესით დროებითი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით მიიღო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ამასთან დაკავშირებით გამოსცა ბრძანება, სადაც განისაზღვრა კონკრეტული საიჯარო თანხა და შესაბამისი პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული დღეებისათვის. როდესაც მხარე გაეცნო ბრძანებას, ჩათვალა, რომ პირგასამტეხლოს საფასური იყო ძალიან მაღალი და ზემოაღნიშნული დოკუმენტი გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სამინისტრომ განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოქალაქემ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში, თუმცა სასამართლომ უარი განუცხადა სარჩელის მიღებაზე, იმ საფუძვლით, რომ მხარეს უკვე ჰქონდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№4.**

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს მიმართა შპა „გამამ“ და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლის ასაშენებელად მშენებლობის ნებართვის მიღება. ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, იმ საფუძვლით რომ ნაკვეთის გვერდზე განთავსებულია საბავშვო ბაღი, მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლის მშენებლობის პროცესი კი შესაძლოა სახიფათო იყოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის.

შპს „გამამ“ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ზემდგომ თანამდებობის პირთან და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდგე, მან სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა დააყენა საკითხი საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ, თუმცა სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხე მხარის მოთხოვნას და გააგრძელა საქმისწარმოება, იმ საფუძვლით რომ საკითხი მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი ინტერესებისათვის.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№5.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა მოქალაქემ გვაზაურმა და მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ნებართვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე არსებული ნიადაგი არ არის ვარგისი მრავალსართულიანი სახლის ასაშენებლად.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა დაინტერესე-

ბულმა პირმა, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე მიიღო უარი, შესაბამისად მან სარჩელი წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილებების ბათილობა, იმ საფუძვლით, რომ მის მიმდებარედ განთავსებულია მრავასართულიანი სახლები და შესაბამისად არც მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნიადაგი წარმოადგენს შეზღუდულ ზონას.

მოსამართლემ საქმის განხილვისას საჭიროდ ჩათვალა, კვლევის ჩატარება მიწის ნაკვეთზე და თავისი ინიციატივით მიმართა შესაბამის კომპანიას, კვლევის ჩასატარებლად და შესაბამისი გეოლოგიური დასვნის გასაკეთებლად.

სასმართლოს ეს ინიცტავა გააპროტესტა მერიის წარმომადგენელმა და მიუთითა, რომ სასმართლოს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და ამით ირღვეოდა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედებისა და მხარის მოთხოვნის კანონიერება.**

## II თავი

**№1.**

მოქალაქე სეფისკვერაძემ, რომელიც ცხოვრობს ქ. ქუთაისში გადაწყვიტა თავის საცხოვრებელ სახლზე მიშენების გაკეთება და ნებართვის მისაღებად მიმართა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას. მერიის სამსახურმა დაიწყო საქმისწარმოება და გამოარკვია რომ ის კორპუსი სადაც მოქალაქე ითხოვდა მიშენების განხორციელებას იყო ავარიული და არ შეიძლებოდა მასზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ხსენებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა დაინტერესებულმა პირმა, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე მიიღო უარი, იმ პერიოდში მოქალაქე სეფისკვერაძე რამოდენიმე დღით წავიდა თბილისში პირადი საქმისათვის, თუმცა გადაწყვიტა რადგანაც თბილისში იმყოფებოდა, დრო რომ არ დაკარგვოდა იქვე შეეტანა სარჩელი სასამართლოში.



ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ უარი განაცხადა საქმის წარმოებაში მიღებაზე და მოქალაქეს განუცხადა რომ სარჩელი შეტანილ უნდა ყოფილიყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№2.**

გ. მაისურაძემ განცხადებით, მიმართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს ქირურგიული ოპერაციის დაფინანსების მოთხოვნით. განცხადებაში მიუთითა, რომ მას ჰქონდა კერძო დაზღვევა, თუმცა მისი სადაზღვევო პაკეტის შესაბამისად, სადაზღვევო კომპანია ძალიან მცირე თანხით აფინანსებდა., შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისგან მოითხოვა დანარჩენი თანხის დაფინანსება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა უარი განუცხადა გიორგის დაფინანსებაზე, იმ საფუძვლით, რომ ის პირები ვინც სარგებლობდნენ კერძო დაზღვევით, სახელმწიფო ვერ დააფინანსებდა.

გიორგიმ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

თუმცა სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში, იმ საფუძვლით, რომ საკითხის განხილვა შედიოდა მაგისტრატ მოსამართლეთა კომპეტენციაში.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

## III თავი

**№1.**

გიორგი წლების განმავლობაში მუშაობდა თელავის მუნიციალიტეტის მერიაშიიურისტად და ხშირად მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომელიც დაკავშირებული იყო სამშენებლო ნებართვებთან.

მას შემდეგ რაც გიორგიმ წარმატებით გაიარა ყველა საკვალიფიკაციო საფეხური და გამწესდა მოსამართლედ თელავის რაიონულ სასამართლოში, მან როგორც გამოცდილმა ყოფილმა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურისტმა მოითხოვა ისეთი საქმეები, რომლის ადმინისტრაციულ წარმოებაშიც მას უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

გიორგის განმარტებით, იგი ამ ქმედებით დაზოგავდა დიდ დროს და რესურს, ვინაიდან მას სადავო საკითხის შესწავლა არ დასჭირდებოდა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლე გიორგის მოთხოვნა?**

**№2.**

სანდრო ძალიან გამოცდილი მოსამართლეა იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა საჯარო სამსახურში.

2020 წელს მას განსახილველად დაეწერა საქმე, სადაც მოქალაქე ნინო ითხოვდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიერ 2018 წლის გამოცემული აქტის ბათილად ცნობას.

საქმის განხილვამდე ნინომ შეიტყო, რომ მოსამართლე სანდრო 2015-2016 წლებში სწორედ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა წამყვან თანამდებობაზე.

ზ/ა გამომდინარე მოქალაქე ნინო თვლის, რომ მოსამართლე სანდრო ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, ვინაიდან იგი ამ უწყებაში, რომელიც მოპასუხე მხარეს წარმოადგენს წლების განმავლობაში ადმინისტრაციულ წარმოებაში იყო ჩართული.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოქალაქე ნინოს მოთხოვნა?**

## IV თავი

**№1.**

ნიკას წლების განმავლობაში მუდმივად აქვს დავა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან. შესაბამისად მას დიდი გამოცდილება დაუგროვდა ამ კუთხით.



2018 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით, სადაც ნიკა ითხოვდა დოკუმენტის სიყალბის დადგენას.

ამ ფაქტით აღშფოთებული ნიკა ითხოვს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სრულად უკან დაბრუნებას.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ნიკას მოთხოვნა და რა სახის გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?**

**№2.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განიხილებოდა დავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქალაქე ლიანას შორის, რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ მოქალაქე ლიანას მოთხოვნა სრულიად უკანონო იყო, შესაბამისად სასამართლომ ვინაიდან საკითხი გადაწყდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ პროცესის ხარჯების ანაზღაურება დააკისრა მოქალაქე ლიანას.

ლიანა უარს აცხადებს პროცესის ხარჯების ანაზღაურებაზე, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით სასამართლომ დაადგინა, რომ მის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოქალაქე ლიანას მოთხოვნა?**

**№3.**

სასამართლო დავა შპს ,,ოქროსა“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის მორიგებით 2020 წელს დამთავრდა.

მხარეები ყველა სადავო საკითხზე შეთანხმდნენ, მათ შორის საპროცესო ხარჯების გადანაწილებაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ითავა ამ ხარჯების სრულად დაფარვა.

მერაბი, რომელიც დამოუკიდებელი ექსპერტია თვლის, რომ საპროცესო ხარჯები საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის

მიხედვით საქმის მორიგებით დამთავრებისას თანაბრად უნდა გა-დანაწილებულიყო მხარეებს შორის.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მერაბის მოსაზრება?**

## V თავი

**№1.**

მოსამართლე ნინომ თავის თანაშემწეს თეას დაავალა სასამართლო აქტის შედგენა, სადაც ნათლად უნდა ყოფილიყო განმარტებული მისი გასაჩივრების შესაძლებლობა.

თეამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად აქტში ასახა სასამართლო სადაც შეიძლებოდა მისი გასაჩივრება, გასაჩივრების ვადა და წესი.

მოსამართლე ნინო გაეცნო თეას მიერ შექმნილ აქტს, სრულად გაიზიარა ის შინაარსი რაც მასში იყო გადმოცემული და ხელმოწერით დაადასტურა იგი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად შეესაბამება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს მოსამართლის მიერ ხელმოწერილი აქტი?**

**№2.**

ქალაქ ქუთაისის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული დავა თენგოსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, სადაც თენგო ითხოვდა მისი განთავისუფლების შესახებ მერიის მიერ გამოცემული აქტის ბათილად ცნობას.

სასამართლომ მისი გადაწყვეტილებით არ გაიზიარა თენგოს მოთხოვნა და ძალაში დატოვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის აქტი.

თენგოს მოგვიანებით გადაეცა სასამართლო აქტი, სადაც მისი გასაჩივრების შესაძლებლობა არ იყო განმარტებული.

თენგომ ძალიან განიცადა ეს ფაქტი და მხოლოდ აქტის გამოცემიდან 11 თვის შემდგომ გადაწყვიტა გაესაჩივრებინა იგი იმ მოტივით, რომ აქტი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის შეუსაბამოდ.



**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად შეესაბამება თენგოს ქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.**

**№3.**

ანას სასამართლო დავა ჰქონდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, მისი როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სასამართლომ სასამართლო უწყების გაგზავნისას აღმოაჩინა, რომ ანა რეგისტრირებულია მისამართის გარეშე შესაბამისად შეუძლებელი ხდებოდა მისთვის რაიმე სახი დოკუმენტის გაგზავნა.

ზ/ა გამომდინარე ანასთვის გადასაცემი დოკუმენტაცია დალუქულ მდგომარეობაში ინახებოდა სასამართლოს კანცელარიაში, საიდანაც მას ნებისმიერ დროს შეეძლო ამ მისი გატანა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სასამართლოს მოქმედება?**

**№4.**

მარიამი იყო მხარე სასამართლო დავში, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

სასამართლო დავის დასრულებიდან 2 თვეში მარიამმა გადაწყვიტა ახლიდან გაცნობოდა ყველა დოკუმენტაციას, რომელიც ინახებოდა სასამართლოში და შესაბამისი წერილით მოითხოვა მისი გადმოცემა.

სასამართლომ იმსჯელა ზ/ა მოთხოვნაზე და უარი განაცხადა მის გაცემაზე იმ მოტივით, რომ დოკუმენტაცია დიდი მოცულობისაა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ კანონიერია თუ არა მარიამის მოთხოვნა და როგორ უნდა ემოქმედა ამ შემთხვევაში სასამართლოს?**

**№5.**

ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს ნიკას ელექტრონული გადანაწი-

ლების საფუძველზე განსახილველად გადაეცა საქმე, რომელიც ეხებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავას.

ნიკამ საქმის სირთულიდან გამომდინარე ვერ შეძლო მისი განხილვა 1 თვის ვადაში და იგი მისი გადაწყვეტილებით გააგრძელა კიდევ დამატებით 1 თვით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად შეესაბამება მოსამართლე ნიკას ქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საროცესო კოდექსის მოთხოვნებს?**

**№6.**

ომარის, რომელიც ცდილობს რაიმე სახის ბიზნესით დაკავდეს, დავა აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე.

მიუხედავად მისი არაერთი მცდელობისა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, სადაც მის მიერ იქნა გასაჩივრებული ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის გადაწყვეტილება, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანია 45 დღის განმავლობაში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედება?**

**№7.**

ზურა ითვლება საუკეთესო მოსამართლედ, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. ასევე საქართველოს პარლამენტში ჩართული იყო დროებით მოქმედ კომისიაში, სადაც ხდებოდა კარკვეული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოჩენა და გაანალიზება.

ზ/ა პრაქტიკიდან გამომდინარე, ზურა მეტი პასუხისმგებლობით უდგებოდა როგორც მოსამართლე ისეთ დავებს, სადაც სადაო საკითხი შეეხებოდა საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობას.

ზურამ გადაწყვიტა დაენერგა ახალი სტანდარტი და კარგად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მეტი დამაჯერებლობისთვის მხარეებს გადასცემდა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 2 კვირაში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად შეესაბამება მოსამართლე ზურას ქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.**

## VI თავი

**№1.**

მოქალაქე ახობაძემ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის მიმართულებით. ამ მიზნით ჩააბარა ერთ-ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა სახელმწიფო დაფინანსება (გრანტი) ვერ მიიღო, იქიდან გამომდინარე რომ მის ოჯახს არ ჰქონდა სწავლის საფასურის გადახდის საშუალება, მან მიმართა საქართველოს განათლების სამინისტროს და მოითხოვა სწავლის დაფინანსება, რადგანაც იყო სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე.

განათლების სამინისტრომ დაუდგინა ხარვეზი და მოთხოვა კონკრეტულ ვადაში სოციალურად დაუცველის სტატუსის დამდასტურებელი საბუთის წარდგენა, ახობაძემ არ წარადგინდა მოთხოვნილი დოკუმენტი და შესაბამისად სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სწავლის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტს კი ხელი მოაწერა მინისტრის მოადგილემ.

ახობაძემ გაასაჩივრა უარის პასუხი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, სასმართლოში სამინისტროს წამომადგენლად გამოცხადდა სამინისტროს რიგითი თანამშრომელი (პოზიციით-სპეაციალისტი) და წარმოადგინა შესაბამისი მინდობილობა. მოსარჩელე მხარემ გააპროტესტა და მოითხოვა რომ ადმინისტრაციული ორგანო წარმოედგინა იმ თაბამდებობის პირს , ვინც უშუალოდ აწერდა ხელს უარის წერილს.

**შეაფასეთ მხარის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.**

**№2.**

მოქალაქემ სარაჯიშვილმა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და პროექტის ფარგლებში მოითხოვა თავის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაცია, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

დაუდგინა ხარვეზი, რადგანაც მის მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ზედდებაში მოდიოდა მომიჯნავედ არსებულ ა. ჩადუნელის საკუთრებაში არსებულ ფართთან, მან მხარეს მოთხოვა კორექტირებული საკადასტრო ნახაზის წარმოდგენა, დაინტერესებულმა პირმა არ წარადგინა დადგენილ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტაცია და შესაბამისად რეესტრმა მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მხარემ გაასაჩივრა ზემდგომ თანამდებობის პირთან, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე მიიღო უარი.

სარაჯიშვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა რეესტრის გადაწყვეტილების ბათილობა და მის მფლობელობაში არსებული ფართის რეგისტრაცია, კორექტირების გარეშე.

სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა საქმეში მესამე პირად ჩაება ა. ჩადუნელი, რადგანაც სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოა მასაც შეხებოდა.

სასამართლომ განჩინება მესამე პირის (ჩადუნელის) საქმეში ჩაბმაზე გაეგზავნა მხარეებსა და მესამე პირს.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№3.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გასცა ლიცენზია სააქციო საზოგადოება „გამაზე" რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოების შესახებ. სააქციიო საზოგადოებას სამუშაოები უნდა განეხორციელება ჭიათურაში მდებარე მიწის ნაკვეთზე, ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე ორგანიზაციამ გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილება, ლიცენზიის გაცემის თაობაზე და მოპასუხედ მიუთითა ზემოხსნებული სამინისტრო.

საქმისწარმოების დროს სასამარათლომ მესამე პირად მოიწვია სააქციო საზოგადოება „გამა" (სავალდებულო მოწვევის ფორმით).

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ და სამინისტროს დაავალა მის მიერ გაცემული ლიცენზიის გაუქმება.



სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქმეში მესამე პირად ჩაბმულმა სააქციო საზოგადოებამ.

**გთხოვთ იმსჯელოთ სააქციო საზოგადოების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე.**

**№4.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გასცა ლიცენზია შპს „მაგნიტზე" კვარციტისა და ფერადი ლითონების მოპოვების მიზნით, კომპანიამ ერთ-ერთ კერძო საწარმოსთან გააფორმა ხელშეკრულება ლითონების მოსაპოვებლად საჭირო, შესაბამისი აპარატურის შესაძენად.

შპს „მაგნიტს" სამუშაოები უნდა განეხორციელებინა საჩხერეში მდებარე მიწის ნაკვეთზე, ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე ორგანიზაციამ გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილება, ლიცენზიის გაცემის თაობაზე და მოპასუხედ მიუთითა ზემოხსნებული სამინისტრო.

საქმისწარმოების დროს სასამარათლომ მესამე პირად მოიწვია კერძ კომპანია „სხივი" (ჩვეულებრივი მოწვევის ფორმით) და გაუგზავნა შესაბამისი განჩინება საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

სასამრთლოს განჩინება მესამე პირდა ჩაბმის თაობაზე გაასაჩივრა კომპანია „სხივმა" იმ საფუძვლით რომ მას არანაირი შეხება არ ქონდა სასამართლო პროცესთან და არ სურდა მასშ მონაწილოება.

**შეაფასე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე.**

## VII თავი

**№1.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა გამოსცა ბრძანება მოქალაქე ზუმბაძის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის შესახებ, იმ დასაბუთებით, რომ სახლი არის ავარიულ მდგომარეობაში და საფრთხეს უქმნის მის მიმდებარედ მცხოვრებლებს. მოქალქე ზუმბაძე აღაშფოთა თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემულმა ბრძანებამ და მან სარჩელით მიმართა სასამართ-

ლოს და მოითხოვა ზედამხედველობის მიერ გაცემული ბრძანების ბათილობა, იმ დასაბუთებით, რომ სახლი ექვემდებარებოდა რესტავრაციას და არ საჭიროებს დემონტაჟს.

სასამართლომ იმ მიზნით, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს და მასვე მოთხოვა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა შენობის ავარიული მდგომარეობის შეფასების შესახებ,

ზემოაღნიშნული ფაქტი გაასაჩივრა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა და მიუთითა, რომ მტკიცების ტვირთი უნდა დაკისრებოდა მოსარჩელე მხარეს.

**შეაფასეთ სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებოს სამართლებრივი საფუძვლები.**

**№2.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს მიმართა მოქალაქე გვაზაურმა და მოითხოვა თვაის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავსართულიანი ბინის ასაშენებლად ნებართვა.

ზემოაღნიშნულმა სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შეასხებ, იმ საფუძვლით, რომ მხარის მიერ შერჩეულ მიწის ნაკვეთზე მრავასართულიანი შენობის აშენება ამ არ იყო მიზანშეწონილი ნიადაგის უვარგისობის გამო.

ზემოარნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხარემ და მოითხოვა მისი ბათილობა.

სასმაართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა და განუსაზღვრა შესაბამისი ვადა, თუმცა წარმომადგენელმა არ გაითვალისწინა სასამართლოს მოთხოვნა და არ წარადგინა დასკვნა დადგენილ ვადაში.

სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი დააჯარიმა 200 ლარით და კვლავ დაავალა მტკიცებულების წარმოდგენა.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**



**№3.**

მოქალაქე გვაზაურმა სასამართლოში გაასაჩივრა დევნილთა სამიანისტროს გადაწყვეტილბა დევნილის სტატუსის შეჩერების შესახებ .

სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დაამყაფილა, მან გადაწყვიტა სააპეცალიციო წესით გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, ამ მიზნით მიმართა სასამართლოს საქმისწარმოების სამსახურს და მოითხოვა საქმეში არსებული ყველა დოკუმენტისა და მასალის, მათ შორის სასამართლო აქტების პროექტების გაცნობა და ასლის სახით მიღება.

სასამართლოს საქმისწარმოების სამსახურმა გაამზადა საქმეში არსებული მასალების ასლები, ხოლო პროექტების გაცნობაზე უარი განუცხადა მოქალაქეს.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

## VII$^{1}$ თავი

**№1.**

შპს „ხვავის“ შესახებ, რომელიც ახორციელებს საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის საკვების დამზადებას, მაკონტროლებელი ორგანოსათვის მიწოდებულ იქნა ინფორმაცია, კომპანიის მიერ ვადაგასული პროდუქციის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად მაკონტროლებელი ორგანო მყისიერად შევიდა საწარმოში და შეაჩერა მისი საქმიანობა, შემდგომ კი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ბრძანების გამოცემის შესახებ. მოსამართლემ, შუამდგომლობის წარდგენიდან მეორე დღეს გამოსცა ბრძანება მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე. აღნიშნული ბრძანება 48 საათის განმავლობაში გააასაჩივრა შპს „ხვავის“ წარმოამდგენელმა სააპელაციო წესით, თუმცა მოსამართლემ პირველი ინსტანციის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. კომპანიამ საკასაციო წესით სცადა ბრძანების გასაჩივრება, რაზეც უარი ეთქვა.

**შეაფასეთ შპს „ხვავის“ მოთხოვნის კანონიერება.**

## VII$^3$ თავი

**№1.**

2020 წლის 10 მარტს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განიხილა არასრულწლოვანის ანას მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტი, მამის ამირანის მხრიდან.

ამირანი სრულად უარყოფდა ძალადობის ფაქტს და ამ მოტივით მან მის მიმართ გამოტანილი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდებოდა ძალადობის ფაქტი გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

მიუხედავად იმისა, რომ ამირანს საუკეთესო იურისტები ემსახურებოდნენ სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

ამირანის ადვოკატებმა გადაწვიტეს სამართლიანობის აღდგენის მიზნით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია ამირანის ადვოკატების ქმედება?**

**№2.**

ემილია წლებია ძალადობის მსხვერლია მეუღლის მხრიდან. მან ამის თაობაზე უამბო მეგობარ გოგონას, რომელიც წლებია მსგავს საკითხებზე მუშაობს ადვოკატად.

ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდგომ ემილიას ურჩიეს მიემართა სასამართლოსათვის, რომელიც მისი სახლის ახლოს მდებარეობს.

ემილიამ იმის გამო, რომ მეუღლეს არ შეეტყო ამ ფაქტის შესახებ გადაწყვიტა ტელეფონით დაკავშირებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ერთხოვა დამცავი ორდერის გამოცემა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა ამ საკითხის განხილვაზე იმ მოტივით, რომ განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სასამართლოს მოთხოვნა?**



**№3.**

თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ქეთის განცხადება ოჯახური ძლადობის დროებითი შეზღუდვის ღონისძიების სახით დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე.

განცხადება წარმოდგენილი იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, წერილობითი ფრომით.

მოსამართლეს დიდი დრო არ დასჭირვებია საკითხის გადასაწვეტად, მან დამცავი ორდერი გამოსცა განცხადების რეგისტრაციიდან 2 კვირის ვადაში.

მიუხედავად ამისა, ქეთი უკმაოფილო დარჩა სასამართლოს ქმედებით და თვლის, რომ სასამართლოს ორდერი უნდა გამოეცა 1 კვირის ვადაში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სასამართლოს ქმედება?**

**№4.**

ანდრო წლებია მუშაობს სასამართლო სისტემაში, ხოლო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იგი როგორც მოსამართლე თავის პროფესიულ საქმიანობას პირნათლად ასრულებს.

2021 წლის 10 იანვარს მას განსახილველად გადაეცა საქმე სადაც მოქალაქე ითხოვდა განცხადების საფუძველზე დამცავი ორდერის გამოცემას.

განცხადებაში იმდენად მძიმე ფაქტები იყო მოყვანილი, რომ მოსამართლე ანდრომ არც კი ისურვა რაიმე სახის კომუნიკაცია ჰქონოდა იმ პირთან ვის მიმართაც იყო იგი წარმოდგენილი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ როგორ უნდა იმოქმედოს სასამართლომ მსგავსი განცხადების სასამართლო კანცელარიაში რეგისტრაციის მომენტიდან?**

**№5.**

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ნატოს განცხადება დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით.

ორდერი გამოცემული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით, იგი ითვალისწინებ-

და ნატოს და მისი შვილის მოძალადისგან დაცვის ზომებს დამცავი ორდერი იმის გამო, რომ ასევე ეხებოდა ნატოს არასრულწლოვან შვილს სასამართლოს გადაწყვეტილებით დამზადდა 2 ეგზემპლარად და მხოლოდ გაეგზავნა მსხვერპლს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სასამართლოს ქმედება?**

## VII$^{4}$ თავი

**№1.**

ქალაქ რუსთავში მდებარე ფსიქიატრიულმა დაწესებულებამ მიმართა რუსთავის რაიონულ სასამართლოს გამოეცა ბრძანება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების თაობაზე.

ვინაიდან ფსიქიატრიული დაწესებულების მხრიდან გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მხოლოდ წარმოდგენილი იყო პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, სასამართლომ გადაწვიტა საქმის განხილვა გადაეცა არა მაგისტრი მოსამართლისთვის არამედ შესაბამისი რაიონული მოსამართლისათვის.

**გთხოვთ, იმსჯელოთ როგორ უნდა ემოქმედა რუსთავის რაიონულ სასამართლოს და შეესაბამება თუ არა ფსიქიატრიული დაწესებულების მოქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს?**

**№2.**

ზურა ძალიან ცნობილი ლექტორია, იგი წლების განმავლობაში ცდილობდა თეორილ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული სავარჯიშოებით დაეტვირთა მისი სტუდენტები.

ზ/ა გამომდინარე ზურამ, როგორც მოქმედმა მაგისტრმა მოსამართლემ გადაწყვიტა თავისი სტუდენტები წაეყვანა პრაქტიკებზე სასამართლო სისტემაში.



სტუდენტებს გაუმართლათ და პირველივე სხდომაზე, რომლიც ეხებოდა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხს, დარწმუნდნენ ზურას პროფესიონალიზმში. ისინი აქტიურად ესწრებოდნენ ამ საკითხის განხილვას.

ზურამ იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო კარგად ენახებინა სტუდენტებისათვის მისი საქმიანობის ძირითადი ასექტები საქმე განიხილა 48 საათის განმავლობაში.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლე ზურას ქმედება?**

**№3.**

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში პაციენტის ადვოკატმა ელენემ.

მოსამართლე მამუკამ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე საჩივარი განიხილა დაჩქარებული წესით 10 დღის ვადაში.

ელენე, როგორც გამოცდილი ადვოკატი არ აპირებს დაკმაოფილდეს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვით და საჭიროების შემთხვევაში ემზადება მის გასასაჩივრებლად საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**გთხოვთ, შეაფასოთ მოსამართლე მამუკას და ადვოკატ ელენეს ქმედებები.**

## VII$^{5}$ თავი

**№1.**

მოქალაქე ლ. ბაინდურაშვილს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება, რის გამოც მის კუთვნილ უძრავ ქონებას დაედო ყადაღა. საგადასახადო ორგანომ შუამდგომლობით მიმართა საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს და მოითხოვა ბაინდურაშვილის საკუთრებაში არსებული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემა. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობდნენ საგადასაახადო ორ-

განოს წარმომადგენელი და თავად ბაიუნდურაშვილი. სხდომის დასრულების შემდგომ მოსამართლემ გამოსცა ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. მოქალაქემ ხსენებული ბრძანება გაასაჩივრა, რამაც გამოიწვია მისი მოქმედების შეჩერება. აღნიშნული კი გააპროტესტა საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელმა და მოითხოვა ქონების დაუყოვნებლივ რეალიზაცია.

**შეაფასეთ საგადასახო ორგანოს მოთხოვნის კანონიერება.**

## VII[6] თავი

**№1.**

ჯემალის ადვოკატმა სანდრომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება რომლითაც ჯემალს უარი ეთქვა თავშესაფრის მიცემაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ კანონის მოთხოვნით აცნობა მხარეებს სასამართლო პროცესის ჩატარების დრო და ადგილი.

თუმცა იმის გამო, სასამართლო პროცესი არ იმართებოდა იმ მოტივით, რომ მხარეები არ ცხადდებოდნენ სასამართლოში, რითაც აბრკოლებდნენ სააპელაციო საჩივრის განხილვას.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სააპელაციო სასამართლოს მოქმედება.**

## VII[7] თავი

**№1.**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგიმ განიხილა ფულადი კომპენსაციის შესახებ ნიკას სარჩელი.

მის განხილვამდე სარჩელის მიღების საკითხი მოსამართლემ განიხილა 7 დღის ვადაში.

მიუხედავად ნიკას არაერთი მოთხოვნისა და წარმოდგენილი საბანკო ამონაწერებისა, იმის თაობაზე, რომ მას სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეეძლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგიმ მას მაინც დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლე გიორგის ქმედება?**

## VII[8] თავი

**№1.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, (რომელის მიზანია ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა), გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობოკომისიის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკამ მიიღო გადაწვეტილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

გადაწყვეტილება მოსამართლემ მიიღო ერთპიროვნულად და ყოველგვარი ზეპირი მოსმენის გარეშე. მიუხედავად ამისა, მან ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანება გაუგზავნა იმ პირს ვის მიმართაც იქნა ზ/ა გადაწყვეტილება მიღებული.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლე ეკას ქმედება?**

## VII[9] თავი

**№1.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრმა სპეციალისტთა ჯგუფის შუამდგომლობის საფუძველზე არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის თაობაზე.

მოსამართლემ საკითხი მისი სპეციფიკიდან გამომდინარე გან-

იხილა 7 კალენდარული დღის ვადაში და ასევე დახურულ სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება არ მისცა სპეციალისტთა ჯგუფის წევრებს.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლის ქმედება.**

## VII[10] თავი

**№1.**

ენჯელი 2021 წელს სრულიად უცნობი გზებით მოხვდა საქართველოს ტერიტორიაზე, იგი ინდონეზიის მოქალაქეა.

მისი საკითხის სათანადოდ შესწავლის შედეგად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა ორგანომ 2021 წლის 3 იანვარს შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გამოეცა ბრძანება ენჯელის საქართველოდან გაძევების თაობაზე.

მოსამართლემ ზ/ა შუამდგომლობა განიხილა 2021 წლის 10 თებერვალს და მიიღო გადაწყვეტილება უცხოელის საქართელოდან გაძევების თაობაზე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ კანონიერია თუ არა მოსამართლის ქმედება და მისი გადაწვეტილების გსაჩივრება იწვევს თუ არა ამ შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების შეჩერებას?**

## VIII თავი

**№1.**

მოქალაქე ა. მეტრეველმა 2020 წლის 1 ოქტომბერს ქ. თბილისის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სანებართვო სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური აქტის ბათილად ცნობის შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 15 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ, მოქალაქე ითხოვდა მერიის სანებართვო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, რომელიც შეეხებოდა მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ნებართვის ბათლად ცნობის საკითხს, სასამართლოს მიერ ბათილად ცნობას, რადგანაც მეტრეველი თავის მოთხოვნაში ასაბუთებდა, რომ მას ყავდა ინვესტორები და ნებართვის გაუქმებით, მიადგებოდა მნიშვნელოვანი ზიანი.

მოპასუხე მხარემ როცა შეიტყო მეტრეველის მიერ სარჩელის აღძვრის საკითხი, მოამზადა შეგებებული სარჩელი და წარადგინა სასამართლოში.

შეგებებული სარჩელის მიღებაზე მოსამართლემ უარი განაცხადა.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№2.**

თბილისის ერთ-ერთი ქუჩის მაცხოვრებლებს საკუთარი ავტომობილების განთავსების მიზნით, უნებართვოდ ქონდათ კორპუსის მიმდებარედ არსებული ტერიტორია დაკავებული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ აღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლებს გაეგზავნათ წერილობითი შეტყობინება ფართის გამონთავისუფლების შესახებ, სანაცვლოდ კი მათ აიღეს ვალდებულება სკვერის მოწყობასთან დაკავშირებით.

თუმცა ბოლოხსენებული ვალდებულება შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ არ შესრულდა.

ქუჩის მაცხოვრებლებმა სარჩელი წარადგინეს სასამართლოში ქმედების განხორციელების თაობაზე და მოითხოვეს ადმისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა.

**შეაფასეთ მაცხოვრებელთა მოთხოვნის სამართლებრივი ფარგლები.**

**№3.**

საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება წაღვერში საკურორტო ზონის მოწყობასთან დაკავშირებით და შესაბამის უწყებებს დაავალამისი ორგანიზება. ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობამ ამ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე კომპანიასთან შპს „სტარტთან“ გააფორმა ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად საწარმომ

აილო ვალდებულება საკურორტო ზონაში სარეკრეაციო სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ სკვერებისა და სათამაშო მოედნების, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და დამსვენებელთათვის უსაფთხო, ჯანსაღ და გასართობ გარემოში ყოფნასა და დასვენებას, ხოლო მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება თანხის ერთობლივად გადახდასთან დაკავშირებით. ხსენებულმა მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო თანხის სრულად გადახდა და კომპანიას შესთავაზა თანხის გადანაწილება, რაზეც კომპანიის დირექტორმა უარი განაცხადა და წარადგინა სარჩელი სასამართლოში ხელშეკრულების შეწყვეტასთან და შესაბამისი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლომ არ მიიღო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მხარეს არ ჰქონდა გამოყენებული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№4.**

მოქალაქე გ. ვაჩაძე ფლობს უძრავ ქონებას ქლაქ ქუთაისში, მან გადაწყვიტა მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ააშენოს მრავალსართულიანი კორპუსი, შესაბამისი ნებართვის მისაღებად მიმართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც განიხილა წარდგენილი განცხადება და გამოსცა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სესახებ. აღნიშნული პასუხი ვაჩაძემ გაასაჩივრა, თუმცა საჩივავრის დაკმაყოფილებაზე მიიღო უარყოფითი პასუხი, განაწყენებულმა მოქალაქემ ჩათვალა, რომ თბილისში უფრო კომპეტენტური პირები განიხილავნდენ მის საკითხს და თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, თბილისის საქალაქო სასართლომ კი საქმე განსახილველად გადაუგზავნა ქუთაისის რაიონულ სასამართლოს, მხარისთვის კი არაფერი უცნობებია.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№5.**

მოქალაქე ბლიაძემ სარჩელით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა მის მიმართ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ცნობა, კერძოდ უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ გამოცემულ იქნა ბრძანება, რითაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დაეკისრა სწავლის საფასურის წინასწარ სრულად დაფარვა და ამასთან ვადაგადაცილებისათვის შესაბამისი ფულადი ჯარიმა. ბლიაძე ითხოვდა აქტის იმ ნაწილის ბათილად ცნობას, რითაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი და დაეკისრა ფულადი ჯარიმა. სასამართლომ განიხილა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მოსარჩელეს ურჩია, რომ მას მოეხდინა სასარჩელოს მოთხოვნის შეცვლა და მოეთხოვა აქტის არა მხოლოდ ნაწილის, არამედ მისი მთლიანად ბათილობა. ბლიაძემ გაითვალისიწინა აღნიშნული რჩევა.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება.**

**№6.**

მოქალაქე ი.კუკავამ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. მოპასუხე მხარეს - ადმინისტრაციულ ორგანოს - კანონის მოთხოვნათა დაცვით, გაეგზავნა უწყება სასამართლოში გამოცხადების თაობაზე. თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. სასამართლომ გამოიტანა გადაწვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის დასწრების გარეშე, საქმეში არსებული მასალების და საკუთარი ინიციატივით შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება**

**№7.**

მოქალაქე ა. მეტრეველმა სასამართლოში გაასაჩივრა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს მის საკუთრეაში არსებულ ფართზე მიშენებული ფართის დემონტაჟი, სასამართლომ გამოსცა განჩინება გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, საქმის განხილვის ეტაპზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთებულ იქნა დემონტაჟის საჭიროება, საქმეში არსებული

მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავდროულად სასამართლოს განჩინებამ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შეჩერების შესახებ გაუქმდა, რაც გააპროტესტა მოსარჩელე მხარემ.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება**

**№8.**

მოქალაქე ნ. აბაშიძემ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარადგინა ნორმატიულ-აადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ და ამასთან მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით, რათა შეაჩეროს გასაჩივრებული ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედება.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე მოსამართლემ უარი განაცხადა, იმ საფუძვლით, რომ მხარეს არ ჰქონდა უფლება მსგავსი შუამდგომლობის დაყენების.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება**

**№9.**

მოქალაქე ბურდულისათვის, რომელიც წლებია ფაქტობრივად ფლობს ზესტაფონში მდებარე მიწის ნაკვეთს და იყენებს მას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით, ცნობილი გახდა, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იგეგმება მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, შემდგომში პრივატიზაციის მიზნით, ამ ამბით შეშფოთებულმა ბურდულმა, რომელმაც შეიძლება დაკარგოს მისი და მისი ოჯახისათვის სააარსებო წყარო, გადაწყვიტა მიემართა სასამართლოს ათვის დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით, რადგანაც ხსენებული მოქალაქე აპირებს მიმართოს რაიონულ გამგეობას, უძრავი ქონების საკუთრებად აღიარების მიზნით.

სასამსართლომ დააკმაყოფილა მოქალაქის მოთხოვნა და გამოსცა დროებითი განჩინება.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება**



**№10.**

მოქალაქე კ.ბუნტურმა სარჩელით მიმართა ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ,,ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადება. სასამართლომ ჩათვალა, რომ რაიონის საკრებულომ, ბიუჯეტში დამტკიცების დროს, უხეშად დაარღვია ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურა, რაც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია აქტის ბათილად გამოცხადება, ვინაიდან დავის გადაწყვეტის მომენტისათვის, ბიუჯეტი თითქმის უკვე სრულად შესრულებული იყო რის გამოც აქტის ბათილობა, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს გამოიწვევდა. სასამართლომ საკრებულოს სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაცვლად, ძალადაკარგულად გამოაცხადა იგი.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება**

**№11.**

მოქალაქე გელაშვილმა მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

არქტიტექტურის სამსახურმა განიხილა მოქალაქის განცხადება და უარი განაცხადა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე მშნებელობა იზღუდება.

ამ ფაქტით განაწყდენდა მოქალქე, რადგანაც მის ირგვლივ შენდებოდა რამოდენიმე სახლი და გადაწყვიტა სარჩელი წარედგინა სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ამასთან გელაშვილმა მოითხოვა აქტის ორი კვირის ვადაში გამოცემა.

სასამართლომ განიხილა საქმეში არსებული მტკიცებულებები და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა აქტის გამოცემის შესახებ, თუმცა კონკრეტული ვადის დაწესებაზე უარი განუცხადა მოსარჩელეს.

**შეაფასეთ სასასმართლოს ქმედების კანონიერება.**

№12.

დადიანის ქუჩის მაცხოვრებლემა სარჩელით მიმართეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობისათვის მოქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ კი გზის დაგება, მათ წარადგინეს გამგებლის წერილობითი განცხადება, სადაც ის ვალდებულებას იღებდა გზის დაგებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ განიხილა აღნიშნული სარჩელი და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გამგეობას დაავალა სარჩელით მოთხოვნილი ქმედების განხორციელება, კერძოდ კი გზის დაგება.

შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება

№13.

მარიამმა 2003 წელს შეიძინა მიწის ნაკვეთი მდებარე ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2020 წელს მან გადაწყვიტა მიემართა შესაბამისი განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისათვის მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

არქტიტექტურის სამსახურმა განიხილა მარიამის განცხადება და უარი განაცხადა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

მარიამმა როგორც კი შეაგროვა შესაბამისი დოკუმენტაცია გაამზადა სარჩელი და მიღებული უარიდან 2 თვის განმავლობაში მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ მიიღო წარმოებაში ზ/ა სარჩელი და ასევე მისცა შესაძლებლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტეტურის სამსახურს წარმოედგინა შეგებებული სარჩელი.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია სასამართლოს მოქმედება.**

№14.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს გიას საკმაოდ მცირე დრო ჰქონდა იმისათვის ემუშავა სადოქტორო ნაშრომზე, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა მისი მომავლისათვის.

გიამ ერთერთ პროცესზე მიიღო წერილობითი მოთხოვნა მხარეებისგან, რომ საქმე განეხილა და გადაწვეტილება მიეღო მათი მონაწილეობის გარეშე.

მოსამართლეს ძალიან გაუხარდა, ვინაიდან იგი ამით უამრავ დროს დაზოგავდა და დაუყოვნებილვ მისცა თანხმობა მხარეებს ამ მოთხოვნაზე.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლე გიას ქმედება?**

№15.

თემური ძალიან უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ იქცევა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ელენე.

თემურის განმარტებით, მას შემდეგ რაც მან მიმართა მოსამართლეს დაჩქარებული წესით განეხილა საქმე, ელენემ შეუმოკლა ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით მისი მოსაზრების წარდგენის ვადა.

ზ/ა გამომდინარე თემური თვლის, რომ მოსამართლე ბოროტად იყენებს იმ ფაქტს, რომ მან პროცესის დაჩქარების თხოვნით მიმართა სასამართლოს.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლის ქმედება.**

№16.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინსპექციის საქალაქო სამსახურმა დააჯარიმა გიორგი უნებართვო მშენებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ დარღვეულია სანებართვო პირობებით დადგენილი შენობის პარამეტრები.

გიორგი არ დაეთანხმა ჯარიმის შინაარს და მიღებული აქტის გასაჩივრება გადაწყვიტა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ადვოკატს დათოს, რომელმაც მოამზადა სარჩელი, რომელიც შემდგომში წარმოებაში მიიღო სასამართლომ.

ასევე დათოს რჩევით გიორგიმ გადაიხადა ჯარიმა, იმ მიზნით რომ საქმის მათ სასარგებლოდ დამთავრების შემთხვევაში ისინი ამ თანხას სასამართლოს გადაწვეტილებით დაიბრუნებდნენ.

**გთხოვთ, იმსჯელოთ დათოს როგორც ადვოკატის რჩევებზე, რამ-**

**დენად შეესაბამება ისინი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს?**

## IX თავი

**№1.**

კომპანია „თეგმა" სარჩელით მიმართა თბილისის რაიონული სასამართლოს და მოითხოვა მას და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მის სასარგებლოდ თანხის გადახდევინება, სასამართლომ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა მას უარი უთხრეს აღნიშნული საქმის სააპელაციო წესით განხილვაზე, რადაგანაც დავის საგნის ღირებულება იყო მცირე.

**შეაფასეთ სასამართლოს ქმედების კანონიერება**

**№2.**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სხივის" სარჩელი, რომლითაც იგი ითხოვდა მესტიის მუნიციპალიტეტისგან საჯარო ინფორმაციის გაცემას.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი თეა დარჩა გაკვირვებული იმ ფაქტით, რომ აღნიშნული საქმე მოსამართლემ განიხილა ერთპიროვნულად, როცა მისთვის ცნობილია, რომ ზოგადად სააპელაციო ანუ მეორე ინსტანციის სასამართლო საქმეებს იხილავს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით.

**გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად შეესაბამება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.**

**№3.**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე სოფიომ იმ მოტივით, რომ მოპასუხემ სცნო სარჩელი საქმე განიხილა და გადაწვეტილება მიიღო ზეპირი მოსმენის გარეშე.



ამ ფაქტით უკმაყოფილო დარჩა მოსარჩელე ხატია, ვინაიდან მან ვერ შეძლო მისი დასაბუთებული მოსაზრების თავად წარმოდგენა სასამართლოს წინაშე.

ხატიამ გადაწყვიტა ზ/ა მოსამართლის ქმედებაზე წერილობით მიემართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისადმი.

გთხოვთ, იმსჯელოთ რამდენად კანონიერია მოსამართლის ქმედება?

სასამართლომ განიხილა საქმეში არსებული მტკიცებულებები და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა აქტის გამოცემის შესახებ, თუმცა კონკრეტული ვადის დაწესებაზე უარი განუცხადა მოსარჩელეს.

**შეაფასეთ სასასმართლოს ქმედების კანონიერება.**

## საქართველოს კანონი
## საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

## თავი I
## ძირითადი დებულებანი

**მუხლი 1. კოდექსის მიზანი**

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

2. კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაციული ორგანო — ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს; (15.07.2020 N6880)

ბ) დაინტერესებული მხარე — ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი — ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი —ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები; (24.06.2005. №1801)

დ[1]) ელექტრონული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს; (30.03.2021 N419 ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან)

ე) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი — უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

ვ) აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი — ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს;

ზ) ადმინისტრაციული ხელშეკრულება — ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება; *(24.06.2005. №1801)*

თ) განცხადება — უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა; *(24.06.2005. №1801)*

ი) ადმინისტრაციული საჩივარი — დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას; (24.06.2005. №1801)

კ) ადმინისტრაციული წარმოება — ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. (24.06.2005. №1801)

ლ) დისკრეციული უფლებამოსილება — უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

მ) საჯარო ინფორმაცია — ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია; *(25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*

ნ) საიდუმლო ინფორმაცია — საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ



საიდუმლოებას. (25.05.2012. №6327)

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ ტერმინებს სხვა სამართლებრივი აქტით არ შეიძლება მიეცეს სხვა მნიშვნელობა.

**მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო**

1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად. (15.07.2020 N6880)

2. ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე: (09.09.1999. №2372)

ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოები; (20.09.2013. №1263 კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)

გ) საქართველოს სახალხო დამცველი;

დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.

ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. (28.12.2007. №5671)

ვ) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური; (08.05.2019. №4591) (27.12.2018. №4242) (21.07.2018. №3280 ამოქმედდეს 2019 წლის 10 მაისიდან)

ზ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები. (12.06.2012. №6439)

3. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

გ[1]) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან; (15.07.2008. №228 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და თანამდებობებიდან გათავისუფლების უფლებამოსილებებთან, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა"-„დ", „ვ" და „თ" ქვეპუნქტებითა და მე-3 პუნქტით, 56-ე მუხლის მე-5 პუნქტით, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 71-ე მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებთან; (31.10.2018. №3619 ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

5. ამ კოდექსის III თავის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან/და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად. (21.07.2010. №3511)



**მუხლი 4. კანონის წინაშე თანასწორობა**

1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.

3. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

**მუხლი 5. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე**

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

3. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. (2.03.2001. № 772)

4. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

**მუხლი 6. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი**

1. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

**მუხლი 7. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა**

1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.

2. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

**მუხლი 8. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.



**მუხლი 9. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება** (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

4. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**მუხლი 10. საქვეყნოობა**

1. ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. (25.05.2012. №6327)

2. ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მათი ასლების მიღების წესი განისაზღვრება ამ კოდექსის III თავით.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საკითხის საჯაროდ განხილვა, თუ ამას ითვალისწინებს კანონი.

**მუხლი 11. საიდუმლოობა** (02.03.2001. № 772)

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დგება კანონით განსაზღვრული წესით. ეს არ შეიძლება გახდეს ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

**მუხლი 12. ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება**

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

3. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვთან დაკავშირებული განცხადებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს. *(20.09.2019 N5011* ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან. (21.05.2020 N5911)*)*

**მუხლი 13. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება**

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

**მუხლი 14. ადმინისტრაციული წარმოების ენა**

ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში — აგრეთვე აფხაზური.

**მუხლი 15. ვადების ათვლა**

ამ კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

## თავი II
## ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი

**მუხლი 16. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

2. სამართლებრივ დახმარებად არ ჩაითვლება:

ა) ზემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება;

ბ) ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით აქვს დაკისრებული.

**მუხლი 17. სამართლებრივი დახმარების პირობა და ფარგლები**

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ:

ა) არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო;

ბ) არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო;

გ) დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში;

დ) მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის გასაწევ ხარჯებს.

**მუხლი 18. უარის თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე**

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ:

ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;

ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის ინტერესებს ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას. (15.07.2020 N6880)

2. თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

3. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას — სასამართლო.

4. სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ.



**მუხლი 19. სამართლებრივ დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება**

1. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს.

2. თუ სავარაუდოა ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ოდენობაზე მეტი ხარჯები, ამის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

**მუხლი 20. დოკუმენტის ოფიციალური დამოწმების უფლება**

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედანის და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო წესით დამოწმებული და გამოცემული დოკუმენტების ასლებს აქვთ ოფიციალური ძალა და ადასტურებენ დედანთან იგივეობას.

3. არ შეიძლება დამოწმდეს დოკუმენტი, რომლის შინაარსი შეცვლილია ან დარღვეულია მისი მთლიანობა.

4. დოკუმენტის დამოწმების დროს შედგება დამოწმების ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დოკუმენტის ზუსტ დასახელებას;

ბ) ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებას;

გ) დამოწმების დროსა და ადგილს;

დ) პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერას, სამსახურებრივ ბეჭედს.

5. დამოწმებული ასლის ყოველ გვერდს უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და ჰქონდეს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა.

6. ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება დადგენილი წესით რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში.

**მუხლი 21. საზოგადოებრივი ექსპერტი**

1. საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი. *(2.03.2001 N 772)*

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საექსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

4. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია თავისი დასკვნა წარადგინოს კანონის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ ვადის გაშვებამ არ შეიძლება დააბრკოლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

6. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე დასკვნის წარმდგენი ექსპერტის ვინაობა აღინიშნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში, გარდა ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. (16.06.2017. №1046)

7. იმ ექსპერტთა ვინაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო საგრანტო, აგრეთვე ინოვაციური პროექტის დაფინანსების კონკურსის/კონკურსების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შეფასებას, კონფიდენციალურია. (16.06.2017. №1046)

**მუხლი 22. საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარდგენა**

1. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

2. საზოგადოებრივი ექსპერტი თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



**მუხლი 23. საიდუმლო ინფორმაციის დაცვა** (02.03.2001. №772)

საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაშია საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შემდეგაც.

**მუხლი 24. ხარჯების ანაზღაურება**

საზოგადოებრივ ექსპერტს აუნაზღაურდება ყველა ის აუცილებელი დანახარჯი, რომელიც მან გასწია თავისი მოვალეობის შესასრულებლად. ასეთი დანახარჯის გაწევის აუცილებლობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

**მუხლი 25. საექსპერტო დასკვნის იურიდიული ძალა**

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსათვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს.

**მუხლი 26. საზოგადოებრივი ექსპერტის მოვალეობის შეწყვეტა**

საზოგადოებრივ ექსპერტს მოვალეობის შესრულებისაგან ვადამდე ათავისუფლებს ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი დანიშვნის შესახებ, თუ იგი:

ა) უხეშად არღვევს დაკისრებულ მოვალეობას;

ბ) არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია ამ თანამდებობის დასაკავებლად;

გ) პირადი განცხადებით უარს ამბობს დასკვნის მიცემაზე.

## თავი III
## ინფორმაციის თავისუფლება

**მუხლი 27. ტერმინთა განმარტება**

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო დაწესებულება — ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში; (15.07.2020 N6880)

ბ) კოლეგიური საჯარო დაწესებულება — საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

გ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი — საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში;

დ) თანამდებობის პირი — „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; (21.12.2016 N159) (27.10.2015. N4355 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან)

ე) სხდომა — საჯარო დაწესებულების სახელით გადაწყვეტილების მიღების ან ამ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით დაწესებულების წევრთა მიერ საკითხის განხილვა;

ვ) გამოქვეყნება — კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება; (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

ზ) საჯარო მონაცემთა ბაზა — საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები;

**თ) ამოღებულია (25.05.2012. №6327)**



ი) აღმასრულებელი პრივილეგია — საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება ამ თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან.

კ) გადაუდებელი აუცილებლობა — კანონმდებლობის დარღვევის საშიშროება ან ვითარება, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას. (02.03.2001. №772)

ლ) პროაქტიული გამოქვეყნება - შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება. (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

**მუხლი 27$^{1}$. პერსონალური მონაცემები** (25.05.2012. №6327)

პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

**მუხლი 27$^{2}$. კომერციული საიდუმლოება** (02.03.2001. №772)

1. კომერციული საიდუმლოება — ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

2. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

3. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის

წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით — სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას. (28.12.2007. №5671)

4. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით — სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი. *(28.12.2007 N5671)*

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

**მუხლი $27^{3}$. პროფესიული საიდუმლოება** (25.05.2012. №6327)

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

**მუხლი $27^{4}$. სახელმწიფო საიდუმლოება** (02.03.2001. №772)

სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.



**მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** (25.05.2012. №6327)

1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა. (29.06.2018. №2767 ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით. (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

**მუხლი 29. აღმასრულებელი პრივილეგია** (02.03.2001. №772)

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფოპოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

**მუხლი 30. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ**

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

**მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა** (02.03.2001. №772)

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება ღიად უნდა გამოცხადდეს, თუ მას

აღარ აქვს ის ღირებულება, რომლის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული. (25.05.2012. №6327)

2. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ შეაქვთ საჯარო რეესტრში.

**მუხლი 32. სხდომათა საჯაროობა**

თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 33. საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი** (02.03.2001. №772)

საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გამოქვეყნებისას მიეთითება პირი, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა.

**მუხლი 34. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა** (02.03.2001. №772)

1. კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას — აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

2. გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას — აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.



3. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. კოლეგიურმა საჯარო დაწესებულებამ რეესტრში უნდა შეიტანოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე სხდომის ოქმის მონაცემები 33ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

4. სარჩელი გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის, ასევე სხდომის დახურვის კანონიერების შესახებ სასამართლოს უნდა წარედგინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარება იწვევს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ.

**მუხლი 35. საჯარო რეესტრი** (2.03.2001. №772)

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

**მუხლი 35$^{1}$. საქმისწარმოების მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები** (28.06.2017. №1109)

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები; ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების

გამოყენებით, თუ დაინტერესებული პირის მიერ არჩეული არ არის ამ თავით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების სხვა ფორმა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით.

**მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

**მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. (25.05.2012. №6327)

3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული



რესურსების საშუალებით. (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

**მუხლი $37^{1}$. საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** (27.12.2005. №2542)

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ პირი განცხადებაში ან სხვა რაიმე წერილობით დოკუმენტში გამოხატავს თანხმობას, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომლისგანაც იგი ითხოვს საკითხის გადაწყვეტას, თავად გამოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებისაგან.

3. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამცემი და მომთხოვნი ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული მონაცემების ან ინფორმაციის საიდუმლოება.

**მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის,

გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურე-ბისა.

**მუხლი 39. ამოღებულია (25.05.2012. №6327)**

**მუხლი 40. საჯარო ინფორმაციის გაცემა** (სათაური 02.03.2001. №772)

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინ-ფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი სა-ჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხ-ოვს: (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტა-ციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აც-ნობოს ამის შესახებ განმცხადებელს. (02.03.2001. №772)

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათა-ვისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინ-ფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გა-ცემის ვალდებულებისგან. (25.05.2012. №6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

**მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა**

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცე-მაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. (02.03.2001. №772)

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღები-



დან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლე-ბები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტი-ლების მიღებისას. (02.03.2001. №772)

**მუხლი 41$^{1}$. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ** (02.03.2001. №772)

ამ კოდექსის 27$^{2}$ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცე-მის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლში მითითებული ვადების გასვლისთანავე.

**მუხლი 42. ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია**

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ სა-შიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახუ-რეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გა-დაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ სახელმწიფო და საჯარო მო-სამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გა-საიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქე-თათვის ინფორმაციის მიწოდება; (21.12.2016. №159) (27.10.2015. №4355 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან)

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მი-საღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მა-

სალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს. (29.06.2018. №2767 ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

**მუხლი 43. ამოღებულია (25.05.2012. №6327)**

**მუხლი 44. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება** (29.06.2018. №2767 ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა.

**მუხლი 45. ამოღებულია** (25.05.2012. №6327)

**მუხლი 46. ამოღებულია** (25.05.2012. №6327)

**მუხლი 47. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა. ზიანის ანაზღაურება** (21.12.2016. №159) (27.10.2015. №4355 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან)

1. პირს აქვს უფლება, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვისას, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისას და დამუშავებისას;

გ) საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას, სახელმწიფო მოსამსახურეს ან საჯარო მოსამსახურეს.

**მუხლი 48. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა** (02.03.2001. №772)

სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გა-

მოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

**მუხლი 49. ანგარიშის წარდგენა და გამოქვეყნება** (20.09.2013. №1263 კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)

საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოაქვეყნოს ანგარიში:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

**მუხლი 50. ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა (25.05.2012. №6327)**

ამ კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის განმავლობაში.

## თავი IV
## ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

(სათაური 02.03.2001. №772)

**მუხლი 51. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა** (24.06.2005. №1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობით ან ზეპირად.
2. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ასევე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით.
3. ზეპირად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ არ ვრცელდება ამ კოდექსის 52-ე—58-ე მუხლების მოთხოვნები. მართვის ავტომატური

საშუალებების გამოყენებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. (28.06.2017. №1109 ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან)

(3. ზეპირად გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 52-ე—58-ე მუხლების მოთხოვნები. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემულ ელექტრონულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე ვრცელდება ამ კოდექსის 54-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. (30.03.2021 N419 ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან))

### მუხლი 52. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები (24.06.2005. №1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს;

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს;

დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;

ე) გამოცემის დროსა და ადგილს;

ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს.

2. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.



3. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი. მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე საკუთარი გერბის არსებობის შემთხვევაში გამოისახება საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (მაყურებლიდან მარცხენა მხარის ზედა კუთხეში) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გერბი (მაყურებლიდან მარჯვენა მხარის ზედა კუთხეში), ხოლო საკუთარი გერბის არარსებობის შემთხვევაში — მხოლოდ საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (ცენტრში). (15.07.2020 N6880)

### მუხლი 52$^1$. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები (24.06.2005. №1801)

1. თითოეულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;

ბ) ნორმატიული აქტის სათაური;

გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც);

დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული);

ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ვ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ — აგრეთვე სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

1$^1$. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილ მოთხოვნებს. (28.06.2017. №1109 ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან)

2. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს

საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიულ აქტებზე — საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (15.07.2020 N6880)

**მუხლი 53. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება** (24.06.2005. №1801)

1. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

2. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

5. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

6. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი.

7. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:

ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;



ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

8. გადაუდებელი აუცილებლობით წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში.

**მუხლი 54. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა** (24.06.2005. №1801)

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

2. კანონით დადგენილ შემთხვევებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდეც, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს.

3. დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მიუღია.

4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

**მუხლი 55. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება**(24.06.2005. №1801)

1 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, მისი ოფიციალური გაცნობა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაცნობად გადაეცემა მხოლოდ განმცხადებელს, ხოლო თუ განცხადებას ხელს აწერს რამდენიმე პირი — პირს, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია.

**მუხლი 56. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების წესი** (24.06.2005. №1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

2. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, ან გამოცხადდეს საჯაროდ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების წესი.

**მუხლი 57. საჯაროდ გამოცხადება**(24.06.2005. №1801)

საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.



**მუხლი 58. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის წესი** (24.06.2005. №1801)

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.

2. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიუღებლობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს მისი ასლი მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის გაცემისათვის რაიმე გადასახდელი არ გადაიხდევინება.

**მუხლი 59. შეცდომების გასწორება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში** (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

3. შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის.

### მუხლი 60. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა;

ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;

გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო;

დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

2. არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

### მუხლი 60[1]. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში — ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

4. დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

5. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

6. თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად იქნა ცნობილი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

7. ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა:

ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან;

ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან;

გ) მომავალში, კონკრეტული თარილის მითითებით.

7[1]. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელების

ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტის ბათილად ცნობის შემთხვევაში სასამართლომ საქართველოს ეროვნულ ბანკს შეიძლება დააკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული აქტის ბათილად ცნო-ბამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია, თუ ამ მდგომარეობის აღდგენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. (20.12.2019 N5661)

8. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით.

## მუხლი 61. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალა-დაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში;

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებუ-ლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში;

გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახ-დეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი;

დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაცი-ული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გა-



რემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიეროტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლე-ბლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვა-ნი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი-სათვის დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის “დ” და “ე” ქვეპუნქტებით გათვა-ლისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც მიადგა ზიანი, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურე-ბა, თუ მას გააჩნდა კანონიერი ნდობის საფუძველი ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების მიმართ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილი. (02.03.2001. №772)

5. ზიანის ანაზღაურების ოდენობას საჯარო და კერძო ინტე-რესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე ადგენს ის ადმი-ნისტრაციული ორგანო, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხა-და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

6. ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადა-კარგულად გამოცხადების დღიდან. ამ მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში შესაძლებელია განისაზღვროს მისი ძალაში შესვ-ლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. (24.06.2005. №1801)

7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარ-მოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

### მუხლი 62. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

### მუხლი 63. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანა (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

2. ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

### მუხლი 64. დოკუმენტის დაბრუნება (24.06.2005. №1801)

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს პირს ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაცემული და რაიმე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნება.



## თავი V
## ადმინისტრაციული ხელშეკრულება (სათაური 24.06.2005. №1801)

### მუხლი 65. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება (24.06.2005. №1801)

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

### მუხლი 65[1]. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება (24.06.2005. №1801)

1. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

### მუხლი 66. სპეციალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა უპასუხებდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრა-

ციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას.

3. დაუშვებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულებით საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მითითებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა.

**მუხლი 67. მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაში** (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში მითითებულ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება.

**მუხლი 68. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა**(24.06.2005. №1801)

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად, ძალაში შედის იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

**მუხლი 69. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმა**(24.06.2005. №1801)

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით.



**მუხლი 70. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება** (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ასევე ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება.

**მუხლი 71. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლა** (24.06.2005. №1801)

1. გარემოებათა არსებითად შეცვლისას, რაც ზიანს აყენებს მხარეს ან საზოგადოებრივ ინტერესს, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოსთხოვოს თანხმობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაცვლელად.

2. თუ ცვლილება ხელშეკრულებაში არსებითად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარსს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება.

## თავი VI
## ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

**მუხლი 72. ადმინისტრაციული წარმოების სახეები**

1. ადმინისტრაციული წარმოების სახეებია:

ა) მარტივი ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება;

გ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს მარტივი

ადმინისტრაციული წარმოების წესით. (24.06.2005. №1801)

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას) ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ დაიწყება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (24.06.2005. №1801)

**მუხლი 73. ადმინისტრაციული წარმოების მხარეები**

1. ადმინისტრაციული წარმოების მხარე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი.

2. ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

3. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

4. თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

5. თუ კანონით დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ეს ვადა დაიწყება მხოლოდ თარგმანის წარდგენისას, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში.

6. თუ კანონით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია წარადგინოს რაიმე განცხადება ან დოკუმენტი, ეს ვადა დაცულად ჩაითვლება დოკუმენტის არასახელმწიფო ენაზე წარდგენის დროსაც.

7. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს ვადა წარდგენილი დოკუმენტის თარგმნისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ დღეზე ნაკლები. ამ ვადის გაშვება შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

**მუხლი 74. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა**

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ქმედუნარიანობის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე12-16 მუხლები.

2. ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ან მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

**მუხლი 75. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე** (14.07.2020 N6828 ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან)

1. ამ კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება აქვს:

ა) განმცხადებელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს;

გ) პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება;

დ) სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) დაინტერესებულ მხარეს.

2. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი უნდა იყოს სპეციალიზებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

3. ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების სრულ ხელმისაწვდომობას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**მუხლი 76. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია: *(24.06.2005. N1801)*

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება — გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი ნაწილის

“ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

**მუხლი 77. განცხადების შეტანა**

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, განცხადება შეტანილი უნდა იქნეს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი და გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. *(24.06.2005. N1801)*

2. განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების თუ სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის წესი, თუკი იგი დადგენილი არ არის კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.

**მუხლი 78. განცხადების შინაარსი**

1. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მოთხოვნას;

დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.

3. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. (24.06.2005. №1801)

**მუხლი 79. განცხადების რეგისტრაცია**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონმდებლობით



დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნოს (გადასცეს) მას განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.

**მუხლი 80. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნა**

1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. (2.03.2001. №772)

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

3. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

4. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

5. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

**მუხლი 81. კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა**

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხ-

ოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა.

2. დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.

**მუხლი 82. კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების წარდგენის წესი** (25.05.2012. №6327)

განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი, კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოობის უზრუნველყოფა.

**მუხლი 83. დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. განცხადების განუხილველად დატოვება**

1. ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან.

2. თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა.

4. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

5. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

6. განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

**მუხლი 84. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან 3 დღის განმავლობაში განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების ასლი გაუგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს ან საზოგადოებრივ ექსპერტს, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება. (2.03.2001. №772)

2. თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ან/და საზოგადოებრივი ექსპერტი დასკვნას წარადგენს ორი კვირის ვადაში.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში ადმინისტრაციული ორგანოს ან/და საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა ან უარყოფითი დასკვნის წარდგენა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვას და მასში დასმული საკითხების გადაწყვეტას.

**მუხლი 85. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა** *(20.09.2019 N5011* ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან. (21.05.2020 N5911)*)*

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვე-

ბული შეცდომების შესახებ.

2. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და კონსულტაცია უნდა გაუწიოს კულტურული მგრძნობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

**მუხლი 86. წარმომადგენლობის უფლება**

1. ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

**მუხლი 87. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში**

1. თუ განმცხადებელმა ან სხვა დაინტერესებულმა მხარემ დანიშნა წარმომადგენელი, ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებული მხარისათვის განკუთვნილ ყველა დოკუმენტს მას უგზავნის.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული წარმოების ყველა საკითხზე მიმართავს წარმომადგენელს.

3. დაინტერესებული მხარე, რომელიც წარმოდგენილია სხვა პირით, უფლებამოსილია დაესწროს ყველა ზეპირ მოსმენას.

**მუხლი 88. წარმომადგენლის დანიშვნის სავალდებულოობა**

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი.

2. თუ პირი არ შეასრულებს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ მოთხოვნას, ადმინისტრაციულ ორგანოს ეხსნება პასუხისმგებლობა დოკუმენტის გაუგზავნელობისათვის და ეს არ შეიძლება გახდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. (24.06.2005. №1801)

**მუხლი 89. წარმომადგენლის სავალდებულო დანიშვნა განმცხადებლის მიერ**

1. თუ განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა, განცხადებაზე ხელმომწერი პირები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ნიშნავენ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან.

2. წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

3. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებლებს ადმინისტრაციული ორგანო აძლევს ვადას ახალი წარმომადგენლის დასანიშნად.

**მუხლი 90. წარმომადგენლის დანიშვნა ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით**(24.06.2005. №1801)

თუ ამ კოდექსის 89ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირები არ დანიშნავენ წარმომადგენელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, მათ წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი.

**მუხლი 91. ადმინისტრაციული წარმოების ხარჯების ანაზღაურება** (02.03.2001. №772)

ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ, მის მიერ, მისივე ინიციატივით ან მის სასარგებლოდ გაწეულ ხარჯებს.

### მუხლი 92. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;

დ[1]) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე; *(18.09.2019 N4960 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს.

ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია. (02.03.2001. №772)

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი; (02.03.2001. №772)

ბ) მეუღლე, მეუღლის დაძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის დაძმა;

დ) დაძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვითაცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93ე მუხლით დადგენილი წესით.

### მუხლი 93. აცილების განცხადება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი, ამ კოდექსის 91ე მუხლის შე-



საბამისად უფლება აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე წერილობით განუცხადოს მას აცილება. (24.06.2005. №1801)

2 აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

3. აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ თანამდებობის პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში — ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

4. კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში შემავალი თანამდებობის პირის აცილების საკითხს წყვეტს კოლეგიური ორგანო ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე.

5. მთელი კოლეგიური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო. (24.06.2005. №1801)

6. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს. (02.03.2001. №772)

### მუხლი 94. ვადა ადმინისტრაციულ წარმოებაში. გაშვებული ვადის აღდგენა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი.

2. თუ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, აღნიშნული ვადის დინება დაიწყება მხოლოდ დაინტე-

რესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.

3. გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად — დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით.

4. დაინტერესებული მხარე გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას.

5. ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს 5 დღის ვადაში.

6. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აღადგინოს დაინტერესებული მხარის მიერ საპატიო მიზეზით გაშვებული, ამავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადაც, თუ ეს არ არის აკრძალული კანონით და ზიანს არ აყენებს მესამე პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

**მუხლი 95. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში**

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. (24.06.2005. №1801)

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. (24.06.2005. №1801)



3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

4. თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

5. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობა უნდა შეიცავდეს: (24.06.2005. №1801)

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღს;

გ) ადმინისტრაციული წარმოების საგნის მოკლე აღწერას;

დ) წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა ვინაობას;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

6. გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაუცველად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ. (24.06.2005. №1801)

**მუხლი 96. საქმის გარემოებათა გამოკვლევა**

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

2. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. (24.06.005. №1801)

3. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია.

4. დაინტერესებული მხარე ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ადმინისტრაციული წარმოებისას.

5. დაინტერესებული მხარე ვალდებულია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მისცეს ახსნა-განმარტება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

### მუხლი 97. მტკიცებულებათა გამოკვლევა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;

ბ) შეაგროვოს ცნობები;

გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;

დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;

ე) დანიშნოს ექსპერტიზა;

ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;

ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

2. მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

### მუხლი 98. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით.

2. შუამდგომლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანო 2 დღის ვადაში იღებს ერთერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

3. ბავშვის უფლება, მოუსმინონ, არ შეიძლება შეიზღუდოს მის ასაკზე ან სხვა გარემოებაზე მითითებით. ბავშვს უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრების მისთვის სასურველი ფორმით გამოხატვის შესაძლებლობა. *(20.09.2019 N5011* ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან. (21.05.2020 N5911)*)*

4. ბავშვზე მორგებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოების ყველა სტადიაზე ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და აღქმად პროცედურებს. *(20.09.2019 N5011* ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან. (21.05.2020 N5911)*)*

### მუხლი 99. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. (24.06.2005. №1801)

2. თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. (25.05.2012. №6327)

3. დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე წერი-

ლობითი თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. (12.06.2012. №6439)

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტებისა და სხვა მასალების ასლები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლები გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით. (25.05.2012. №6327)

6. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა.

**მუხლი 100. გადაწყვეტილების მიღება** (24.06.2005. №1801)

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არ ეხება მესამე პირის ინტერესებს, უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

3. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.



4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. (24.06.2005. №1801)

**მუხლი 101. განმცხადებლის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში** (24.06.2005. №1801)

1. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარმყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

ა) უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ;

ბ) ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს.

**მუხლი 102. ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენის წესი**

1. განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვ-

ლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. (24.06.2005. №1801)

2. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. (24.06.2005. №1801)

3. განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს ამ გარემოებათა ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა.

## თავი VII
## ადმინისტრაციული წარმოება
## კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

### მუხლი 103. ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად და ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით.

$1^{1}$. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

$1^{2}$. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიმართ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესები. (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება — გადაგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

### მუხლი 104. კოლეგიური ორგანოს სხდომის მიმდინარეობის წესი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული (არჩეული) სხდომის თავმჯდომარე.

2. სხდომის თავმჯდომარეს სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად.

### მუხლი 105. კვორუმი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.

2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

3. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება

მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### მუხლი 106. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

2. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

### მუხლი 106$^1$. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების უფლების მქონე კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება ამავე ორგანოს გადაწყვეტილებით.

2. გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად შეიძლება დაიწყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს განცხადების საფუძველზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

### მუხლი 106$^2$. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნება (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ან კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში აღინიშნება:

ა) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ვადა;

გ) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა.

4. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა და კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოაქვეყნოს მხოლოდ ცნობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ცნობაში აღინიშნება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება და მოკლე შინაარსი.

**მუხლი $106^{3}$. ადმინისტრაციული ორგანოების ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გაეგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა უფლებამოსილებასაც განეკუთვნება ამ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან მისი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, ან თუ კანონი მოითხოვს ამ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დასკვნების წარდგენას ასეთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი აგრეთვე უნდა გაეგზავნოს საზოგადოებრივ ექსპერტს, თუ კანონით სავალდებულოა მის მიერ დასკვნის წარდგენა.

3. ადმინისტრაციული ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ექსპერტი, რომელთაც გაეგზავნათ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ვალდებული არიან ამ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის თაობაზე წარადგინონ საკუთარი დასკვნები საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები.

4. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი დასკვნა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე და მას წერილობით უნდა გაეცეს პასუხი.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობამ არ შეიძლება დააბრკოლოს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება.

6. დაუშვებელია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ



იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის არსებობის გარეშე, თუ დასკვნის არსებობა სავალდებულოა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით.

7. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს დაბრკოლებას კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის.

**მუხლი $106^{4}$. საკუთარი მოსაზრების წარდგენა** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

1. ყველას აქვს უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ყოველი მოსაზრება უნდა განიხილოს შესაბამისმა კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. მასზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის.

3. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

4. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

**მუხლი $106^{5}$. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.)

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა განისაზღვრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

## თავი VIII
## ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

**მუხლი 107. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით** (24.06.2005. №1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 108. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში**

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს ყველა დაინტერესებულ მხარეს ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე არ აჩერებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას.

3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით.

**მუხლი 109. მოწმე და ექსპერტი ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში**

1. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტი — დასკვნა.

**2. ამოღებულია (24.06.2005. №1801)**



3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება ექსპერტის დასკვნის ან მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს დაესწროს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვას, დაუსვას მათ შეკითხვები, გაეცნოს ექსპერტის წერილობით დასკვნას, დაესწროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას.

5. დაინტერესებული მხარის მიერ მოწვეული მოწმის ან ექსპერტის ხარჯებს ანაზღაურებს დაინტერესებული მხარე.

**მუხლი 110. ზეპირი მოსმენა**

1. ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

2. დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

3. მოსაწვევში მიეთითება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება — საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 50ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით. ცნობაში უნდა მიეთითოს საკითხი, რომლის თაობაზედაც უნდა მოეწყოს ზეპირი მოსმენა, ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელიც აწყობს მოსმენას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი.

5. ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, არ უნდა გრძელდებოდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტს.

**მუხლი 111. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი**

1. სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერცი-

ული ან პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. *(25.05.2012. №6327)*

2. სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

3. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, განხილვაზე მოწვეულ ექსპერტს, მოწმეს.

4. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

6. სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში — გააძევოს დარბაზიდან.

7. სხდომა შეიძლება გაგრძელდეს დარბაზიდან გაძევებული პირის მონაწილეობის გარეშე.

**მუხლი 112. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი**

1. სხდომის დროს იწარმოება ოქმი.

2. სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული წარმოების დასახელება, რომლის თაობაზედაც ეწყობა მოსმენა;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

გ) განხილვის დრო და ადგილი;

დ) სხდომის თავმჯდომარის, ზეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა;

ე) ზეპირი მოსმენის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა;

ვ) მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების მოკლე აღწერა;

ზ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის აღწერა.



3. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ოქმს და ოქმის გაცნობიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შენიშვნები მის თაობაზე, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობა. თუ ადმინისტრაციული ორგანო ეთანხმება შენიშვნას, ადასტურებს მის სისწორეს, ხოლო თუ არ ეთანხმება, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შენიშვნის უარყოფის შესახებ. (24.06.2005. №1801)

**მუხლი 113. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა** (24.06.2005. №1801)

1. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ზეპირი მოსმენის გამართვიდან 5 დღის ვადაში.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

**მუხლი 114. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიური ორგანოს მიერ** (24.06.2005. №1801)

1. თუ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს კოლეგიურ ორგანოში, მაშინ კოლეგიური ორგანოს ყველა წევრს უფლება აქვს დასვას შეკითხვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კოლეგიური ორგანოს მხოლოდ იმ წევრს, რომელიც მონაწილეობდა საქმის ზეპირ მოსმენაში.

## თავი IX
## საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

### მუხლი 115. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით (24.06.2005. №1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები. (27.03.2009. №1139)

3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ თავით დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი პირი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) თანხმობით. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰყავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, გადაწყვეტილებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე იღებს თავად ამ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

5. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ თავის დებულებების გათვალისწინებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.



### მუხლი 116. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

2. ცნობაში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი. თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც — ამ ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა; (24.06.2005. №1801)

დ) საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

### მუხლი 117. საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

გ) იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.

2. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ

გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

3. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების ასლები.

**მუხლი 118. საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი**

1. ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან. (24.06.2005. №1801)

2. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა. ეს უფლება უნდა იქნეს მითითებული ცნობაში საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დოკუმენტზე აღნიშნოს მისი რეგისტრაციის თარიღი.

4. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

**მუხლი 119. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა** (24.06.2005. №1801)

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.



**მუხლი 120. ზეპირი მოსმენა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა** (24.06.2005. №1801)

1. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110ე—112ე მუხლების დებულებები. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესახებ.

**მუხლი 121. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება** (24.06.2005. №1801)

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს.

**თავი X ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*

**მუხლი 122. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 123. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 124. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 125. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 126. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 127. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 128. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 129. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 130. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 131. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 132. ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*

**მუხლი 133.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 134.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 135.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 136.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 137.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 138.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 139.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 140.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 141.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 142.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 143.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 144.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 145.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 146.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 147.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 148.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 149.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 150.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 151.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 152.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 153.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 154.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 155.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 156.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*
**მუხლი 157.** ამოღებულია *(09.09.1999. №2372)*



## XI თავი
## დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი

*(სათაური 24.06.2005. №1801)*

**მუხლი 158. დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სავალდებულოობა** (24.06.2005. №1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოსცეს მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ (სავალდებულო მანდატირება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) **ამოღებულია (04.05.2018. №2278 ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან)**

ბ) სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ფასი აღემატება 100 000 ლარს.

2. კანონით შეიძლება დადგინდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ სხვა სახის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სავალდებულოობაც.

3. დამოუკიდებელი ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ადმინისტრაციული წარმოებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესით.

4. დამოუკიდებელი ორგანოს მიმართ ვრცელდება ამ კოდექსის მე8 და 92ე მუხლების მოთხოვნები.

**მუხლი 159. დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა**

1. დამოუკიდებელი ორგანო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და შეუძლიათ უზრუნველყონ საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.

2. დამოუკიდებელ ორგანოს ღია ტენდერის საფუძველზე ნიშნავს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

**მუხლი 160. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა** (20.09.2013. №1263 კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)

საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დანიშნონ დამოუკიდებელი ორგანო.

**მუხლი 161. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დაუშვებლობა** (24.06.2005. №1801)

დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში. იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

## თავი XII
## ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება

(სათაური 24.06.2005. №1801)

**მუხლი 162. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღმასრულებელი უფლებამოსილი ორგანო** (24.06.2005. №1801)

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აღასრულებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს დავალებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შეიძლება განახორციელოს ქვემდგომმა ან სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომაც. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის II თავის დებულებები ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების შესახებ.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება.

4. აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც სამსახურებრივად აკისრია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მოვალეობა.

5. პირი ვალდებულია იქონიოს შესაბამისი უფლების დამადასტურებელი პირადობის მოწმობა და წარადგინოს იგი იმ პირების მოთხოვნით, რომელთა მიმართაც ხორციელდება აღსრულება.

**მუხლი 163. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის**

**აღსრულების წესი** (24.06.2005. №1801)

1. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

2. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 164. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის შესრულების სავალდებულოობა**

1. ყველა ვალდებულია შეასრულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონიერი მოთხოვნა. (24.06.2005. №1801)

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდე-

ბარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას კანონით აკისრია. (25.05.2012. №6327)

### მუხლი 165. გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ (24.06.2005. №1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია განახორციელოს სხვა პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული რაიმე მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცემულია გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

2. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო საკითხს წყვეტს 10 დღის ვადაში. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას შეიძლება შეიცავდეს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა აღსრულდეს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის აღსასრულებლადაც არის იგი გამოცემული.

6. აღსრულების უზრუნველყოფის ერთი საშუალების გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესახებ.

7. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ხარჯების ოდენობა და ანაზღაურების წესი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური



ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად განხორციელებულ მოქმედებათა შესაბამისად შემდგომში შეცვალოს ხარჯების ოდენობა. (24.06.2005. №801)

### მუხლი 166. ადმინისტრაციული წარმოება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 95ე და 98ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

2. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოიცეს წერილობით, აღსრულების უზრუნველყოფის ზომის განხორციელებიდან 3 დღის ვადაში, ამ კოდექსის IV თავის შესაბამისად.

### მუხლი 167. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადა (სათაური 24.06.2005. №1801)

1. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, უნდა მიეცეს ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის. (24.06.2005. №1801)

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს, თუ რა მოქმედების განხორციელება ევალება პირს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის. (24.06.2005. №1801)

3. პირი უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით.

4. იმ პირის მიმართ, რომელიც დადგენილი ვადის განმავლობაში შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებას, აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება. პირის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება წყვეტს მოქმედებას. (02.03.2001. №772)

5. ამ კოდექსის 166-ე მუხლში მითითებულ გადაუდებელ შემთხვევაში ვადა შეიძლება არ განისაზღვროს.

### მუხლი 168. აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება (24.06.2005. №1801)

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი, რომელსაც ევალება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება.

2. თუ პირს ამ კოდექსის 167-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განესაზღვრა ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის, აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს შესაბამისად სახელმწიფო ან შესაბამისი მუნიციპალიტეტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ პირის მოქმედებით, რომელსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აღესრულებინა. (15.07.2020 N6880)

### მუხლი 169. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება (24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი შემდეგი საშუალება:

ა) სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება;

ბ) ჯარიმა;

გ) უშუალო იძულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აირჩიოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველაზე სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას და ზიანს არ მიაყენებს საზოგადოებას და შესაბამის პირს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება უნდა შეწყდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისთანავე.

### მუხლი 170. სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება (24.06.2005. №1801)

1. თუ შესაძლებელია სხვა პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად სხვა პირს დაავალოს აღსრულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აინაზღაურებს შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან.

**მუხლი 171. აღსრულების უზრუნველყოფა ჯარიმით** (24.06.2005. №1801)

1. ჯარიმა, როგორც აღსრულების სამოქალაქოსამართლებრივი საშუალება, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით.

2. ჯარიმა, როგორც აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედების დავალების შესაძლებლობა.

3. ჯარიმის თანხის ოდენობა უნდა იყოს განსაზღვრული გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. ჯარიმის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს საერთო თანხით ან თანხით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის.

4. ჯარიმის საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს ფიზიკური პირისათვის და 5000 ლარს იურიდიული პირისათვის.

5. ჯარიმის თანხა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 50 ლარს ფიზიკური პირისათვის და 200 ლარს იურიდიული პირისათვის.

6. ჯარიმის თანხის მინიმალური ოდენობაა 5 ლარი.

7. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება შესაბამისად სახელმწიფო ან ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში.

**მუხლი 172. უშუალო იძულება**

1. თუ ამ კოდექსის 170-ე და 171-ე მუხლებში მითითებული აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების მიუხედავად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ აღსრულდა, აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება უზრუნველყოს უშუალო იძულების საშუალებით. (24.06.2005. №1801)

2. უშუალო იძულება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ამ კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიყენოს უშუალო იძულების ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით.

**მუხლი 173. აღსრულება მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიმართ** (15.07.2020 N6880)

ამ თავის დებულებანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიმართ.

**მუხლი 174. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს** (24.06.2005. №1801)

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე პოლიციის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, კანონით შეიძლება დადგენილ იქნეს ამ კოდექსისგან განსხვავებული წესი.

**მუხლი 175. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების განსაკუთრებული წესი** (24.06.2005. №1801)

1. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 169ე მუხლში მითითებული აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებანი.

2. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულე-

ბისათვის აუცილებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ვალდებული პირი უარს აცხადებს გადაიხადოს ფულადი თანხა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომლის შესაბამისად უფლებამოსილი პირი მოვალეს დააკისრებს ვალდებულებას, მისთვის გადასაცემი ფულადი თანხა ჩარიცხოს ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშზე.

4. პირისაგან თანხის იძულებითი ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოებს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

### მუხლი 176. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. თუ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებით შერჩეული უზრუნველყოფის საშუალება და აღსრულების ვადა უშუალოდ გამომდინარეობს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, რომლის აღსასრულებლადაც იგი გამოიცა, მისი გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად. *(24.06.2005. №1801)*



## თავი XIII
## ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

### მუხლი 177. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება

1. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. *(02.03.2001. №772)*

4. ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. *(02.03.2001. №772)*

### მუხლი 178. ადმინიტრაციული საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. (02.03.2001. №772)

2. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის

პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო (02.03.2001. №772)

3. პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. (28.12.2007. №5671)

**მუხლი 179. ადმინისტრაციული საჩივარი**

1. ადმინისტრაციული წარმოება ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

2. ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და უპასუხებდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს.

**მუხლი 180. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა** (სათაური 24.06.2005. №1801)

1. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. (02.03.2001. №772)

3. გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით. (24.06.2005. №1801)

**მუხლი 181. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი**

1. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:



ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

**მუხლი 182. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა**

1. ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

გ) არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;

დ) ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

**ე) ამოღებულია (20.03.2015. №3382 ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან)**

ვ) ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ზ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. *(02.03.2001. №772)*

### მუხლი 183. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე მეტი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 7 დღისა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით.



### მუხლი 184. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება დმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. (24.06.2005. №1801)

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ხარჯების გაზრდას; (15.07.2020 N6880)

ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

გ) გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;

დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას.

3. გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ იღებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ან მისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს სასამართლოს შეჩერებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელება.

### მუხლი 185. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი

თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას

გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულე-ბანი.

### მუხლი 186. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრა-ციული საჩივრის განხილვის და გადაწყვეტის დროს გამოიყენება აგრეთვე ამ კოდექსის VII თავით დადგენილი წესი.

### მუხლი 187. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა

დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მო-ნაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრე-ბული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში.

### მუხლი 188. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების უფლება

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციუ-ლი ორგანოს უფლებას — შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათი-ლად გამოაცხადოს იგი ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბა-თილად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 5 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმი-ნისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს.

### მუხლი 189. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება

1. თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვა-დის დარღვევასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული საჩივრის



წარდგენა არ აჩერებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისი ადმი-ნისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობის გამო ადმინისტრა-ციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს. (24.06.2005. №1801)

### მუხლი 190. ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-მომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამ-ართლებრივი აქტის შეცვლის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა უნდა გაგრ-ძელდეს, თუ დაინტერესებული მხარე მოითხოვს ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებას.

### მუხლი 191. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამ-დე უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ საჩივარზე.

2. უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე განცხადებული უნდა იქ-ნეს წერილობით. ზეპირი მოსმენის დროს დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ადმინისტრაციულ საჩივარზე უარი განაცხადოს აგრეთვე ზეპირადაც.

3. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვ-ნელოვანი ზიანი. *(02.03.2001. №772)*

### მუხლი 192. ადმინისტრაციული ორგანოს უფლება ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი

1. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს უფლება აქვს ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს გააგრძელოს ადმინისტრაციული წარმოება მიუხედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ცნობისა.

### მუხლი 193. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მოცულობა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია გასცდეს მათ.

2. თუ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილის მიმართ, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის წერილობითი თანხმობით გადაწყვეტილებას იღებს მთლიანად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, ხოლო ამ პირის უარის შემთხვევაში — გამოაქვს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

### მუხლი 194. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი წარადგინოს საკუთარი მოსაზრება, დამატებითი ინფორმაცია ან დაესწროს ზეპირ განხილვას, არ აჩერებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას.

### მუხლი 195. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომტანი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო რეგისტრაციიდან 5 დღის განმავლობაში უგზავნის ადმინისტრაციული საჩივრის და მასზე დართული დოკუმენტების ასლს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ასლის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში წარუდგინოს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს მოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა და საკუთარი წერილობითი დასკვნა ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე

დაინტერესებულ მხარეს.

4. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირით ან სხვა უფლებამოსილი პირით, ხოლო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კოლეგიური ორგანოს მიერ — კოლეგიური ორგანოს ხელმძღვანელი პირით.

5. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა თანამშრომლით მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით.

**მუხლი 196. დაინტერესებულ მხარეთა მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა**

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირი, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარე საკუთარ მოსაზრებას, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წერილობით აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეს ზეპირი სხდომის გამართვის თარიღი მის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

**მუხლი 197. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა**

1. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე მხარეები ადმინისტრაციული საქმის მასალებს ეცნობიან ამ კოდექსის 99ე მუხლის შესაბამისად.

2. **ამოღებულია** *(02.03.2001. №772)*

3. **ამოღებულია** *(2.03.2001. №772)*

**მუხლი 198. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი**

1. ზეპირი მოსმენა ტარდება ამ კოდექსის VIII თავით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა. (25.05.2012. №6327)

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ საკითხზე დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოაქვს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა. (02.03.2001. №772)

5. ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა, თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ.

**მუხლი 199. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე**

1. ადმინსტრაციული ორგანო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ:

ა) არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;

ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიუთითოს ზეპირი მოსმენის გამართვაზე უარის თქმის საფუძველი.

**მუხლი 200. საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ**

თუ ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოების შესახებ, ამის თაობაზე უნდა ეცნობოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს და მიეცეთ მათ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებანი მოცემულ საკითხზე.

**მუხლი 201. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით**

1. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;

გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2. თუ საქმეზე დამატებითი მასალების მოძიება აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის განხილვის გადადების შესახებ, რაც ეცნობება მხარეებს.

3. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო.

4. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.



**მუხლი 202. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა** (24.06.2005. №1801)

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

**მუხლი 203. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლა, ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება. ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა** (24.06.2005. №1801)

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

**მუხლი 204. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ხარჯები**

1. არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რამე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის. (02.03.2001. №772)

2. ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს მის მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაწეულ ადმინისტრაციული წარმოების ხარჯებს. (02.03.2001. №772)

3. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის მიერ ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. (2.03.2001. №772)

**4. ამოღებულია** *(2.03.2001. №772)*

**მუხლი 205. ამოღებულია** *(02.03.2001. №772)*

**მუხლი 206. ამოღებულია** *(02.03.2001. №772)*

## თავი XIV
## ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

**მუხლი 207. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას**

თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

**მუხლი 208. სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი** *(21.12.2016. №159) (27.10.2015. №4355 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან)*

1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.
2. მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. (15.07.2020 N6880)
3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. (15.07.2020 N6880)



**მუხლი 209. სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანისათვის**
(სათაური 15.07.2020 N6880)(24.09.2009. №1698)

1. თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი. (15.07.2020 N6880)
2. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე. (24.09.2009. №1698)

## თავი XV ამოღებულია (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

**მუხლი 210. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)
**მუხლი 211. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)
**მუხლი 212. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)
**მუხლი 213. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)
**მუხლი 214. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)
**მუხლი 215. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)
**მუხლი 216. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)
**მუხლი 217. ამოღებულია** (22.10.2009. №1886 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

## თავი XVI
## გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 218. კოდექსის ამოქმედებასათან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები**

1. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 1999 წლის 15 ნოემბრამდე მოამზადოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტები.

2. არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალიწინებული შემთხვევებისა. (26.10.2001. №1138)

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტებზე, რომლებიც ეხება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავით გათვალისწინებული თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებას და მიღებულია (გამოცემულია) კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. (13.02.2004. №3299)

4. 2013 წლის 1 სექტემბრამდე შესაბამისმა ორგანოებმა (თანამდებობის პირებმა) უზრუნველყონ ამ კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა). (25.05.2012. №6327)



## თავი XVII
## დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 219. კოდექსის ამოქმედება**

ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

**მუხლი 220. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების ნუსხა**

ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ—სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ;

**ბ) ამოღებულია** *(09.09.1999. №2372)*

საქართველოს პრეზიდენტი ***ედუარდ შევარდნაძე***

თბილისი,
1999 წლის 25 ივნისი.
№2181 -IIს

**საქართველოს კანონი**
**საქართველოს ადმინისტრაციული**
**საპროცესო კოდექსი**

# თავი I
# ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

**მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო**

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

**მუხლი 2. სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები**
(28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;

ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;

დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

2. სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმე. (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

4. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

5. სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. (04.12.2009. №2270 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი**

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

2. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

**მუხლი 4. შეჯიბრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ**

ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

## თავი II
## განსჯადობა

**მუხლი 5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი საქმეები** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან) ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

**მუხლი 6. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

**ა) ამოღებულია (24.09.2009. №1692)**

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; (26.04.2012. №6091)

ბ[1]) სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; (26.04.2012. №6091)

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;

ე) საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;

ვ) მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე.

ზ) შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ; (01.06.2017. №950)

თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ერთეულის (შემდგომ — საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეული) მიმართვის საფუძველზე იმავე კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობითი იზოლაციის თაობაზე. (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

## თავი III
## მიუკერძოებლობა, აცილება

**მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა** (25.10.2000. №567)

მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

**მუხლი 8. ამოღებულია (24.02.2000. №169)**

## თავი IV
## პროცესის ხარჯები

**მუხლი 9. სახელმწიფო ბაჟი**

1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე და ამ კოდექსის $\text{VII}^{3}$ და $\text{VII}^{17}$ თავებით გათვალისწინებულ საქმეებზე. (13.07.2020 N6759 ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)

$1^{1}$. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება ამ კოდექსის $\text{VII}^{9}$ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე. (28.12.2011. №5666 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**2. ამოღებულია (28.12.2007. №5670** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

**4. ამოღებულია (28.12.2007. №5670** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი 10. პროცესის ხარჯების ანაზღაურება**

**1. ამოღებულია (28.12.2007. №5670** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

3. თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.



**მუხლი 11. საპროცესო ხარჯების განაწილება საქმის მორიგებით დამთავრებისას**

1. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

2. სასამართლოსგარეშე ხარჯებს თითოეული მათგანი ანაზღაურებს დამოუკიდებლად.

## თავი V
## საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

**მუხლი 12. გასაჩივრების ვადის ათვლა** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი.

2. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილთან სასამართლო აქტის შეუსაბამობის შემთხვევაში, სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სასამართლო აქტის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

**მუხლი 13. მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემა**

1. სასამართლოს მიერ მხარეთათვის ან საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის გაგზავნილ ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე უნდა აღინიშნოს გაგზავნის თარიღი.

2. სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი - წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, სასამართლოს მოთხოვნით ვალდებულია დანიშნოს სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დოკუმენტების მიღებაზე.

**4. ამოღებულია (28.12.2007. №5670** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

5. თუ სასამართლოს მიერ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ის, რომ მას აქვს მისი სასამართლოს კანცელარიაში გაცნობის უფლება. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

6. მხარეს უფლება აქვს მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში.

**მუხლი 13[1]. ამოღებულია (28.12.2007. №5670** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)



**მუხლი 13[2]. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა** (28.06.2019. №4908 ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან)

1. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა.

2. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისთვის გადასაცემად.

**მუხლი 13[3]. ამოღებულია (25.03.2013. №486 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

## თავი VI
## მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; სასამართლოს მეგობარი (სათაური 03.07.2015. №3900)

**მუხლი 14. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები**

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინი-სტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორ-

ციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

2. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე კერძო პირის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.

**მუხლი 15. ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით**

1. თუ მხარე სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტია, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება. (15.07.2020 N6881)

2. სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს. (15.07.2020 N6881)

3. სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი. (15.07.2020 N6881)

4. თუ დავის საგნის ღირებულება 500 000 ლარს აღემატება ან/და თუ საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე დავისა). ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, იმავე საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ სახელმწიფო მოსამსახურეს ან საჯარო მოსამსახურეს, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაობს. (28.06.2019. №4908 ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან)

**5. ამოღებულია (30.11.2018 №3807 ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)**

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვის, საქმის მასალების მოძრაობისა და წარმომადგენლის დანიშვნის წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. (27.03.2009. №1131 ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივნისიდან)

**მუხლი 16. მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში**

1. სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტრესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

2. მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ.

$2^{1}$. ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე. (24.06.2005. №1800 ამოქმედდე 2005 წლის 15 ივლისიდან)

$2^{2}$. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად მესამე პირი შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. (24.06.2005. №1800 ამოქმედდე 2005 წლის 15 ივლისიდან)

$2^{3}$. მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. (24.06.2005. №1800 ამოქმედდე 2005 წლის 15 ივლისიდან)

3. სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ უნდა გაეგზავნოს მხარეებს და მესამე პირებს, ხოლო თუ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირად ათ პირზე მეტია ჩაბმული, განჩინების გადაცემა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. (24.06.2005. №1800 ამოქმედდე 2005 წლის 15 ივლისიდან))

4. სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

**მუხლი 16[1]. სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)**
(03.07.2015. №3900)

1. ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. წერილობითი მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში უნდა დაეხმაროს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედგენილი, ის მას არ განიხილავს.

3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ის უფლებამოსილია გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება. ეს მოსაზრება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახოს.

4. სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.



# თავი VII
# სასამართლო მტკიცებულებები

**მუხლი 17. მტკიცების ტვირთი**

1. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. უკანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. (24.06.2005. №1800 ამოქმედდე 2005 წლის 15 ივლისიდან)

**მუხლი 18. ამოღებულია (28.12.2007. №5670** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ**

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

2. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

3. სასამართლო უფლებამოსილია მხარეს დაუნიშნოს დამატებითი ვადა მტკიცებულებათა წარსადგენად. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

4. თუ მხარე საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს მტკიცებულებათა უშუალოდ მიღებას და მათ სასამართლოში წარდგენას, მან ამის შესახებ სასამართლოს უნდა აცნობოს არა უგვიანეს სხდომის დაწყების წინა სამუშაო დღისა. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს

გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

5. თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

### **მუხლი 20. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის სასამართლოში წარდგენის თაობაზე** (14.09.2001. №1063)

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

### **მუხლი $20^1$. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის განხილვის წესი**

1. სასამართლო (მოსამართლე) გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია მხარეებს არ წარედგინება.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ მიეთითება ის მონაცემი, რომელიც გამოიწვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას. (14.09.2001. №1063)

### **მუხლი 21. სასამართლო აქტების გაცნობის უფლება**

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ სასამართლოს კანცელარიაში გაეცნონ საქმის თაობაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, აგრეთვე სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებს.

2. მხარე უფლებამოსილია მიიღოს სასამართლო აქტებისა და ადმინისტრაციული საქმის სხვა მასალის ასლები სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით. დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს მხარე. ასლის გადაღებისათვის სხვა რაიმე გადასახდელის მოთხოვნა არ შეიძლება.

3. მხარეებს გასაცნობად არ წარედგინებათ სასამართლო აქტების პროექტები, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი მასალები.

## **თავი $VII^1$. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით** (08.06.2001. №925 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

### **მუხლი $21^1$. მოსამართლის ბრძანება მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 15 ივლისიდან)

ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით.

### **მუხლი $21^2$. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა** (08.06.2001. №925 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება მეწარმის შემოწმების დაწყებამდე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და დაუყოვნებლივ მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლე-

ბელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოს ანდა ამას მოითხოვს მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს. შუამდგომლობის წარდგენისას მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა.

3. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება იმ მეწარმის ზუსტი მონაცემები, რომელიც უნდა შემოწმდეს, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები. (19.12.2008. №801)

### მუხლი 21$^{3}$. მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი (08.06.2001. №925 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. მოსამართლე გადაწყვეტილებას მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

2. მოსამართლე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. მოსამართლე უფლებამოსილია მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის თაობაზედაც შუამდგომლობის მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა ატყობინებს იმ მეწარმეს ან მის წარმომადგენელს, რომლის საქმიანობის შემოწმებასაც ითხოვს მაკონტროლებელი ორგანო და უგზავნის შესაბამის მასალებს. თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ აუცილებელია შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების გამოკვლევა, იგი უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. სხდომის შესახებ მხარეებს უნდა ეცნობოს შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ამ კოდექსის 20$^{1}$ მუხლით განსაზღვრული წესით. მეწარმე ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია შემოწმების თაობაზე მისთვის შეტყობინებიდან და საქმის მასალების გადაცემიდან 24 საათის განმავლობაში სასამართლოს წერილობით წარუდგინოს თავისი მოსაზრებები. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, მისცეს წინადადება შუამდგომლობის შემტან მაკონტროლებელ ორგანოს და მეწარმეს წარმოადგინონ შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

4. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვისას საქმის განხილვა იწყება მოსამართლის მოხსენებით, რომელიც აცხადებს, თუ რა შუამდგომლობა განიხილება, რის შემდეგაც იგი მოისმენს მაკონტროლებელი ორგანოს დასაბუთებულ არგუმენტებს შემოწმების თაობაზე და აძლევს მას შეკითხვებს. მეწარმეს ან მის წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს მისცეს განმარტებები და გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები. მოსამართლის ნებართვით მეწარმე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი შეკითხვებს აძლევს მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს მოსამართლისა და მეწარმის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის შეკითხვებს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**5. ამოღებულია (28.12.2007. №5670)**

6. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გასცემს დასაბუთებულ ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე. თუ მეწარმის შემოწმება უკვე დაწყებულია და სასამართლო უარს აცხადებს მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე, ბრძანებაში მიეთითება შემოწმების შეწყვეტისა და მეწარმისათვის მიყენებული ზიანის (თუ ზიანი დადგა მაკონტროლებელი ორგანოს ბრალეული ქმედების შედეგად) ანაზღაურების შესახებ. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

7. მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;

დ) განკარგულება მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მისი არსი და მეწარმე, რომლის შემოწმებაც ხდება;

ე) ბრძანების მოქმედებისა და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს;

ვ) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ბრძანება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. თუ სასამართლო არ ეთანხმება მეწარმის საქმიანობის შემოწმებას, ბრძანებაში აღინიშნება: (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;

დ) განკარგულება მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი დასაბუთებით და მეწარმე, რომლის საქმიანობის შემოწმებაზედაც ითქვა უარი;

ე) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება;

ვ) მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ მაკონტროლებელ ორგანოს, მეორე — შესაბამის მეწარმეს ან მის წარმომადგენელს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

10. ახლადაღმოჩენილი ან ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძველზე მეწარმე ან მისი წარმომადგენელი 3 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოება, უფლებამოსილია მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლის ბრძანებითაც ხორციელდება მეწარმის საქმიანობის შემოწმება. შუამდგომლობა განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით. შუამდგომლობის დაკმაყოფილება იწვევს მოსამართლის ბრძანების გაუქმებას. (14.09.2001. №1063)

**11. ამოღებულია** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

12. მოსამართლის ბრძანების მოქმედების და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს. გამონაკლის შემთხვევაში დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 15 დღისა. ამასთანავე, თუ მეწარმის წლიური ბრუნვა აღემატება 1 მილიონ ლარს, ზემოთ აღნიშნული 30-დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით არა უმეტეს 40 დღით. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით. (26.12.2008. №878)

13. შუამდგომლობის წარმდგენი უფლებამოსილია სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში ან შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს იგი. იმავე საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით წარდგენა სასამართლოში არ დაიშვება. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

14. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას. მოსამართლის ბრძანება ამ მუხლით დადგენილი წესით 48 საათის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

15. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში მხარისათვის ბრძანების ასლის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნე-

ბლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. საჩივრი-სა და თანდართული მასალების ასლები ეგზავნება მეორე მხარეს. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

16. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება პირველ ინსტანციაში სასამართლო განხილვისათვის დადგენილი წესით. (07.03.2018. №2036)

17. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გასაჩივრებულ ბრძანებას აუქმებს ბრძანებით. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

18. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

## თავი $VII^{2}$ ამოღებულია (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{3}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{4}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{5}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{6}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{7}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{8}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{9}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{10}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი $21^{11}$. ამოღებულია** (04.07.2007. №5198 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)



## თავი $VII^{3}$ (25.05.2006. №3146)

**ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით** (სათაური 40.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

**მუხლი $21^{12}$. სასამართლოსათვის მიმართვა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის, აგრეთვე არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების წესი** (22.06.2016. №5450 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში — აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

2. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით მიმართვის უფლება აქვს სოციალურ მუშაკს, აგრეთვე პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს. (20.09.2019. №5025)

3. არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, არასრულწლოვნის დაკითხვისას (გამოკითხვისას), გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.

4. დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ ან შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს დაუშვებელია ოჯახში ძალადობის არასრულწლო-

ვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) თანდასწრებით. ასევე დაუშვებელია არასრულწლოვნის დაკითხვაზე (გამოკითხვაზე) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრება, თუ მის (მათ) მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი მოძალადე ოჯახის წევრსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, აგრეთვე მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა. (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

5. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, იყოს არასრულწლოვნის წარმომადგენელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში, შეჩერებულად ითვლება სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სავარაუდო მოძალადეა ან მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი მოძალადე ოჯახის წევრს, არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში.

6. სასამართლო მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომლის ორივე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეეზღუდა მშობლის უფლება ან მოვალეობა, განჩინებით საქმეში მხარედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოიწვევს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს არასრულწლოვნის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს არასრულწლოვნის ინტერესებს წარმოადგენს.

7. არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება არასრულწლოვნის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) მისი (მათი) იდენტიფიცირების შემთხვევაში.

8. არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება შეიძლება არასრულწლოვნის მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა ამ კოდექსით დადგენილი წესით ნებისმიერ დროს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოში არასრულწლოვნის ადგილსამყოფლის მიხედვით. კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი არ აჩერებს განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

9. სასამართლო სარჩელის დადგენილი წესით წარმოებაში მიღებიდან 24 საათის განმავლობაში სარჩელსა და თანდართულ მასალებს უგზავნის არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. ეს ორგანო უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს სარჩელში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

10. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

11. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისი სასამართლოს მიერ განხილვას.

12. სასამართლო სარჩელს დადგენილი წესით წარმოებაში მიღებიდან 5 დღის ვადაში განიხილავს და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე.

13. სასამართლო არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს.

14. ამ მუხლით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

15. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო მისთვის საჩივრის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

17. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება არასრულწლოვნის მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა გაასაჩივროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით დადგენილი წესით, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, საქმის სასამართლოში განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი, მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევდა.

**მუხლი $21^{13}$. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი** (25.05.2006. №3146)

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს დამცავი ორდერი. (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

2. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი. (28.12.2009. № 2510 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

3. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. იგი უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს;

ბ) განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;

$ბ^{1}$) მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; (28.12.2009. №2510 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

გ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღწერას; (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

დ) ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ;

ე) მტკიცებულებათა ჩამონათვალს;

ვ) დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას;

ზ) მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის ხელმოწერას.

4. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს მას და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. (28.12.2009. №2510 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

5. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, აგრეთვე აძლევს მას უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს განცხადებაში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში. (28.12.2009. №2510 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

$5^{1}$. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე. (28.12.2009. №2510 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

$5^{2}$. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო ასევე განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე

მშობლის (მშობლების) ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან) განცალკევების საკითხი. აღნიშნულის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო დროებითი ღონისძიების სახით იღებს განკარგულებას მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში. (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

6. ამ მუხლით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

7. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში.

7[1]. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაძლო დარღვევაზე რეაგირებისათვის, მიღებიდან ასევე 24 საათის განმავლობაში ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება



იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს. (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

8. **ამოღებულია** (28.12.2009. №2510 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

### მუხლი 21[14]. შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესები (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)

1. შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი და მოქმედების ვადა განისაზღვრება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით.

2. შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელი წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი. იგი უნდა შეიცავდეს:

ა) სარჩელის შემტანი პირის სახელსა და გვარს;

ბ) სარჩელის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;

გ) ფაქტობრივი გარემოებების აღწერას; (13.07.2020 N6759 ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)

დ) ცნობებს მოძალადის, მსხვერპლის და მათი ურთიერთობის შესახებ;

ე) მტკიცებულებათა ჩამონათვალს;

ვ) შემაკავებელი ორდერის გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის მოთხოვნას;

ზ) მოსარჩელის ხელმოწერას.

4. სასამართლო სარჩელს წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გაუქმების ან ნაწილობრივ გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

5. სასამართლო სარჩელს წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში, თანდართულ მასალებთან ერთად უგზავნის შემაკავებელი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოს, აგრეთვე დაინტერესებულ პირს, რომლის დასაცავადაც გამოიცა შემაკავებელი ორდერი, და აძლევს მათ უფლებას, სარჩელთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები და მტკიცებულებები წარადგინონ.

6. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია წერილობით უპასუხოს სარჩელში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე.

7. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

8. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს სასამართლოს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.

9. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს.

10. ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში.

11. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

12. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

13. შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელის წარდგენა და ამ მუხლით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედებას.



**მუხლი 21[15]. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი საკითხები (04.05.2017. №762 ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან)**

1. დამცავი ორდერის წარმოება ხდება სამართალწარმოების ენაზე, ცხადად და გასაგებად. იგი შეიძლება წარმოებულ იქნეს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

2. დამცავ ორდერში მიეთითება:

ა) მისი გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის გამოცემას;

გ) მოძალადის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;

დ) ამ მუხლის მე-3 ნაწილის და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შემაკავებელი ორდერით გასათვალისწინებელი იმ მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც ეკრძალება მოძალადეს.

ე) მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლისა და შესაბამისი საფასურის გადახდის საკითხები. (20.09.2019. №5025)

3. დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდების და მათ თავშესაფარში მოთავსების საკითხებს;

გ) მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან გარიდების საკითხს;

დ) მოძალადის ვალდებულებას — არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური არსებობისათვის;

ე) მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

ვ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების, მასთან

შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;

ზ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

თ) მოძალადისათვის დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მის შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს;

ი) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, გონივრული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;

კ) მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ლ) **ამოღებულია** (20.09.2019. №5025)

მ) მოძალადის გაფრთხილებას დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ნ) სხვა საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

4. დამცავ ორდერში შესაძლებელია მიეთითოს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი ან ყველა საკითხი, ძალადობის ფაქტის ადეკვატურად.

5. დამცავი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

6. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამცავი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჰბარდება მოძალადეს, ერთი — მსხვერპლს, ერთი ეგზემპლარი რჩება დამცავი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოში, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება, დამცავი ორდერის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს. დამცავ ორდერთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მხარეებს ჰბარდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

7. დამცავი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე.

## თავი VII⁴. (14.07.2006. №3452 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან) ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით

### მუხლი 21¹⁶. მოსამართლის ბრძანება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ 14.07.2006. №3452 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან)

1. შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს, — შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან პენიტენციური დაწესებულების ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე. (01.06.2017. №950)

2. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს განიხილავს

და ბრძანებას გამოსცემს ამ თავით დადგენილი წესით.

**მუხლი 21[17]. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვა** (01.06.2017. №950)

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნით მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიმართავს იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ან პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც პაციენტი/მსჯავრდებული იმყოფება.

2. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ან პენიტენციური დაწესებულება მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შესაბამისი ბრძანების გამოცემის თხოვნით მიმართავს პაციენტის/მსჯავრდებულის სტაციონარში მოთავსებიდან ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულებიდან დადებითი დასკვნის მიღებიდან 48 საათის ვადაში.

3. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების მიმართვა დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისად ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნას ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნას, რომელიც პაციენტის/მსჯავრდებულის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებთან (პასპორტი, პირადობის მოწმობა, ქორწინების მოწმობა, სხვა დოკუმენტი) ერთად, მათი არსებობის შემთხვევაში, უნდა დაერთოს აღნიშნულ მიმართვას. თუ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოსათავსებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი) დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვას უნდა დაერთოს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოქმი, თუ იგი პოლიციის თანამშრომელმა შეადგინა. (23.06.2020 N6362)



**მუხლი 21[18]. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმის განხილვისა და ბრძანების გამოცემის წესი** (14.07.2006. №3452 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან)

1. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 24 საათის ვადაში.

2. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ პაციენტის/მსჯავრდებულის მკურნალობის პროცესში ჩართულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საქმის განხილვაში უნდა მონაწილეობდნენ შესაბამისად ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი, შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის ერთი წევრი მაინც, პაციენტი/მსჯავრდებული და მისი ადვოკატი. თუ პაციენტს/მსჯავრდებულს არ აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. საქმის განხილვაში მონაწილეობს აგრეთვე პაციენტის/მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო მისი არარსებობისას — ნათესავი (ამ შემთხვევაში ტერმინი „პაციენტის ნათესავი" გულისხმობს პირს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა წრიდან). განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის/მსჯავრდებულის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმის განსახილველად ატარებს გასვლით სასამართლო სხდომას იმ სტაციონარში, რომელშიც პაციენტი/მსჯავრდებული იმყოფება, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, პაციენტმა/მსჯავრდებულმა საქმის განხილვაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს დისტანციუ-

რად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.(23.06.2020 N6362)

3. მოსამართლე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს, რა მიმართვა განიხილება, ასახელებს სასამართლო პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. შესაბამისად ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი ასაბუთებს თავის მიერ წარდგენილ მიმართვას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლის, პაციენტის/მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან/და ნათესავის შეკითხვებს. პაციენტის/მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ არის მიმართვის განხილვის გადადების საფუძველი. (01.06.2017. №950)

4. მოსამართლე უფლებამოსილია გამოიძახოს და დაკითხოს ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის წევრები, რომლის დასკვნის საფუძველზედაც ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ ან პენიტენციურმა დაწესებულებამ სასამართლოს მიმართა, აგრეთვე სხვა პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს მიმართვას. პაციენტს/მსჯავრდებულს, მის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს ან/და ნათესავს უფლება აქვს, მოითხოვოს სხვა პირთა დაკითხვაც, რომელთა ჩვენებებს საქმისთვის შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. პაციენტს/მსჯავრდებულს, მის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს ან/და ნათესავს ასევე უფლება აქვს, სასამართლოს მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საპირისპირო მოსაზრებები. (01.06.2017. №950)

5. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. მიმართვის დასაბუთებულობის შემოწმებისა და „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების შეფასების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვისა.(23.06.2020 N6362)

6. თუ არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ. ამ შემთხვევაში არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან.



7. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მიეთითება:

ა) ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) ფსიქიატრიული დაწესებულება, რომლის ადმინისტრაციამ სასამართლოს შესაბამისი მიმართვა წარუდგინა, ან პენიტენციური დაწესებულება, რომელმაც სასამართლოს მიმართა; (01.06.2017. №950)

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) განკარგულება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, და სტაციონარში მოსათავსებელი პირის ვინაობა (თუ პირის ვინაობა დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფაქტი ან მონაცემი, მაშინ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება — „არაიდენტიფიცირებული პაციენტი №......“ და განხილული ადმინისტრაციული საქმის სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით მას მიენიჭება პირობითი ნომერი);

ვ) არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ბრძანებაში, როგორც წესი, მიეთითება, რომ იგი მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, რასაც ადგენს შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დასკვნის საფუძველზე; (04.12.2009. №2270 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ზ) ფსიქიატრიული დაწესებულება (მისი ხელმძღვანელი), რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება;

თ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში მიეთითება:

ა) დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) ფსიქიატრიული დაწესებულება, რომლის ადმინისტრაციამ სასამართლოს შესაბამისი მიმართვა წარუდგინა, ან პენიტენციური დაწესებულება, რომელმაც სასამართლოს მიმართა; (01.06.2017. №950)

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) განკარგულება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, და იმ პირის ვინაობა, რომელიც უნდა მოთავსებულიყო სტაციონარში (თუ პირის ვინაობა დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფაქტი ან მონაცემი, მაშინ მოსამართლის დადგენილებაში აღინიშნება — „არაიდენტიფიცირებული პაციენტი №.....“ და განხილული ადმინისტრაციული საქმის სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით მას მიენიჭება პირობითი ნომერი);

ვ) ფსიქიატრიული დაწესებულება (მისი ხელმძღვანელი), რომელმაც უნდა შეასრულოს დადგენილება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) დგება სამ ცალად, რომელთაგან ერთი ეგზავნება მიმართვის წარმდგენ ფსიქიატრიულ დაწესებულებას, მეორე — პაციენტს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ნათესავს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

10. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს სასამართლოში მიმართვის განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს თავისი მიმართვა.

11. მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ძალაში შედის მხარეებისათვის ბრძანების (დადგენილების) გამოცხადებისთანავე.



**მუხლი $21^{19}$. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა და მისი**

**მოქმედების ვადის გაგრძელების წესი** (04.12.2009. №2270 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანება მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, რაც დასტურდება ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. აღნიშნული ვადა არ ვრცელდება პაციენტზე, რომელიც სასჯელს იხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში. სტაციონარში მოთავსების ვადა აითვლება პირის სტაციონარში მოთავსებიდან.

2. პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე დასაშვებია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადის გაგრძელება არაუმეტეს 6 თვისა. ყოველი ამგვარად გაგრძელებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია კვლავ მიმართოს სასამართლოს ვადის გაგრძელების მოთხოვნით, თუ არ არის ამოწურული პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმები. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ კოდექსის $21^{18}$ მუხლით დადგენილი წესით, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 72 საათში. (23.06.2020 N6362)

3. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმები ამოიწურა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ან/და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული

დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემიდან 6 თვის გასვლამდე, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაიწეროს სტაციონარიდან. გადაწყვეტილებას პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შესახებ იღებს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მაგისტრატ მოსამართლეს ან/და შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

**მუხლი $21^{20}$. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება** (14.07.2006. №3452 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან)

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ ან პენიტენციურმა დაწესებულებამ, პაციენტმა/მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა, კანონიერმა წარმომადგენელმა ან/და ნათესავმა ამ მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში. (01.06.2017. №950)

2. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების შესახებ შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამომცემ (გამომტან) სასამართლოში მხარისთვის ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან 48 საათის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები გადაეგზავნება მეორე მხარესაც.

3. სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

4. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება არსებითად, საჩივრის შეტანიდან 1 კვირის ვადაში, ამ კოდექსის $21^{18}$ მუხლით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით დანიშნოს დამატებითი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. თუ ეს ექსპერტიზა დანიშნულია სასამართლოს ინიციატივით, იგი ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე. მხარის მოთხოვნით დანიშნული ექსპერტიზა ტარდება ამ მხარის ხარჯზე. (07.03.2018. №2036)

5. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ დადგენილებას — დადგენილებით.

6. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება (დადგენილება) საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## თავი VII$^{5}$
## ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით (11.07.2007. №5281 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს)

**მუხლი $21^{21}$. მოსამართლის ბრძანება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე** (11.07.2007. №5281 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით.

**მუხლი $21^{22}$. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა** (11.07.2007. №5281 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს და მასში უნდა მიეთითოს გადასახადის გადამხდელის ზუსტი მონაცემები.

### მუხლი $21^{23}$. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტის წესი
(11.07.2007. №5281 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი და ის გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, რომლის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე ბრძანების გამოცემასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვერ ხერხდება მხარეთა მოწვევა).

3. მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ, რომელშიც აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) საგადასახადო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ბრძანება;

ე) განკარგულება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ;

ვ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ცალად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე — გადასახადის გადამხდელს, ხოლო მესამე — რჩება სა-



სამართლოში.

6. მოსამართლის ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას.

7. საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

8. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.

9. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## თავი $VII^{6}$
## ადმინისტრაციული სამართალწარმოება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

### მუხლი $21^{24}$. სასამართლოსთვის მიმართვა (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებულ დავაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს საერთაშორისო დაცვის მქონე პირს ან თავშესაფრის მაძიებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისთვის გასაგებ ენაზე, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

**მუხლი 21$^{25}$. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის წესი** (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებულ დავას განიხილავს და გამოტანილ გადაწყვეტილებას მხარეებს უგზავნის სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან 2 თვის ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, მხარისათვის მისი გადაცემიდან 15 დღის ვადაში. მოსამართლე სააპელაციო საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

3. სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სააპელაციო საჩივრის განხილვას.

4. სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი VII$^{7}$
## ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით (05.05.2011. №4646)

**მუხლი 21$^{26}$. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა** (05.05.2011. №4646)

1. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს.

2. უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა წარუდგენს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რეპრესირებული პირის/მისი პირველი რიგის მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ თავის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია — დასავლეთ საქართველოს. (31.10.2014. №2763 ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან)

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს:

ა) პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) პირველი რიგის მემკვიდრის მიერ სარჩელის წარდგენისას – მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე, თუ არსებობს რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრე და ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას ეს მემკვიდრეები თმობენ ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ.

4. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში მათზე გაიცემა ერთიანი ფულადი კომპენსაცია.

**მუხლი 21$^{27}$. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვა** (05.05.2011. №4646)

1. მოსამართლე ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის შეტანიდან 5 დღის ვადაში განიხილავს მისი წარმოებაში მიღების საკითხს.

2. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგე-

ნილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მის შესავსებად დაუნიშნავს გონივრულ ვადას. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დაუბრუნებს მოსარჩელეს.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

4. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლე სარჩელს და თანდართული დოკუმენტების ასლებს დაუყოვნებლივ უგზავნის მოპასუხეს და განუსაზღვრავს მას შესაგებლის წარდგენის ვადას.

**მუხლი 21$^{28}$. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვა** (05.05.2011. №4646)

ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ფაქტს, რომელიც დასტურდება პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების დოკუმენტით.

**მუხლი 21$^{29}$. ფულადი კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტის წესი** (31.10.2014. №2763 ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან)

1. ამ თავით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას მოპასუხეა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით.

3. ფულადი კომპენსაციის ოდენობაა არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 2000 ლარისა.

4. ამ თავით გათვალისწინებული საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, სასამართლო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენით. ამ თავით გათვალისწინებული საქმე განიხილება საქმის განხილვისათვის საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო ვადაში და დადგენილი წესით.

5. თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, შესაბამისად, თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სააპელაციო საჩივარი წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, რომელიც მას თანდართულ მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სააპელაციო სასამართლოს.

7. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

8. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი VII$^{8}$. ამოღებულია (30.03.2021 N426)

**მუხლი 21$^{30}$. ამოღებულია** (30.03.2021 N426)
**მუხლი 21$^{31}$. ამოღებულია** (30.03.2021 N426)
**მუხლი 21$^{32}$. ამოღებულია** (30.03.2021 N426)
**მუხლი 21$^{33}$. ამოღებულია** (30.03.2021 N426)
**მუხლი 21$^{34}$. ამოღებულია** (30.03.2021 N426)

# თავი VII[9]

## ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე (28.12.2011. №5666 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

**მუხლი 21[35]. სასამართლოსათვის მიმართვა** *(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

1. სასამართლო ამ თავით დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის – არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის (შემდგომ –არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი) სპეციალისტთა ჯგუფის (შემდგომ – სპეციალისტთა ჯგუფი) შუამდგომლობას არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ ან არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ.

2. სპეციალისტთა ჯგუფის შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 48[7] მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შუამდგომლობის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 21[36]. ამოღებულია** *(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

**მუხლი 21[37]. საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი** (28.12.2011. №5666 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. *(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

2. მოსამართლე საქმეს დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. დახურულ სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ: არასრულწლოვანს, არასრულწლოვნის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს, სპეციალისტთა ჯგუფის წევრებს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სხვა წარმომადგენელს, სოციალურ მუშაკს, არასრულწლოვნის ადვოკატს, აგრეთვე სასამართლოს მიერ მოწვეულ სხვა პირებს.*(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

2[1]. საქმის განხილვისას მოსამართლე, საქმისთვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებთან ერთად, ხელმძღვანელობს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით და მისი რთული ქცევის ან/და მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი დოკუმენტებით, რომლებიც შუამდგომლობას თან ერთვის. გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: არასრულწლოვნის ან/და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან თანამშრომლობა; არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ არასრულწლოვნისთვის შერჩეულ სერვისში/პროგრამაში არასრულწლოვნის მონაწილეობა და მიღწეული შედეგები; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შემთხვევაში – მისი ხასიათი, სიმძიმე და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.*(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

3. სასამართლო პროცესზე არასრულწლოვანს წარმოადგენს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო ვალდებულია მისი ინტერესების დასაცავად საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

4. სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

6. სააპელაციო საჩივარი წარედგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელიც მას თანდართულ მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის თბილისის სააპელაციო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მუხლი $21^{38}$. არასრულწლოვნის უფლებები** (28.12.2011. №5666 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

არასრულწლოვანს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სასამართლოში ახსნა-განმარტების მიცემაზე, აგრეთვე მოითხოვოს სასამართლო პროცესზე ადვოკატის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრება.

## **თავი $VII^{10}$**
## **ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით** (05.03.2014. №2047 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)

**მუხლი $21^{39}$. მოსამართლის ბრძანება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე** (05.03.2014. №2047 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე.



**მუხლი $21^{40}$. უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის გადაწყვეტის წესი** (05.03.2014. №2047 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)

1. მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში განიხილავს მას და გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე ან იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. მოსამართლე უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის თაობაზედაც შუამდგომლობის მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათისა ატყობინებს შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს და იმ უცხოელს, რომლის გაძევებასაც ითხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, და უცხოელს უგზავნის შესაბამის საქმის მასალებს. თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ აუცილებელია შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების გამოკვლევა, იგი უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით. უცხოელს უფლება აქვს, მისთვის საქართველოდან გაძევების თაობაზე შეტყობინებიდან და საქმის მასალების გადაცემიდან 72 საათის განმავლობაში წერილობით წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოსაზრებები.

3. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესამოწმებლად გამოიძახოს და დაკითხოს პირი, შუამდგომლობის წარმდგენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსა და უცხოელს მიმართოს წინადადებით, წარმოადგინონ საჭირო დოკუმენტები და მტკიცებულებანი.

4. უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;

დ) განკარგულება უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ და გასაძევებელი უცხოელის ვინაობა;

ე) უცხოელის საქართველოდან გაძევების სამართლებრივი სა-

ფუძველი;

ვ) ვადა, რომლის განმავლობაშიც უცხოელმა ნებაყოფლობით უნდა დატოვოს საქართველო;

ზ) ორგანო, რომელიც უფლებამოსილია აღასრულოს ბრძანება, თუ უცხოელი ნებაყოფლობით არ დატოვებს საქართველოს;

თ) სახელმწიფო, სადაც უნდა მოხდეს უცხოელის გაძევება;

ი) ბრძანების გასაჩივრების წესი;

კ) მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.

5. უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე წერილობით დაადასტურებს, რომ არ ასაჩივრებს მოსამართლის ბრძანებას.

6. უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში ამ თავით დადგენილი წესით. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას.

**მუხლი $21^{41}$. უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების წესი** (05.03.2014. №2047 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)

1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს ან უცხოელის შუამდგომლობის საფუძველზე, შუამდგომლობის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების თაობაზე.

2. უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების თაობაზე მოსამართლის ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**მუხლი $21^{42}$. მოსამართლის ბრძანება საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ** (05.03.2014. №2047 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ ან უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ. (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

2. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება უცხოელის დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა. (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

$2^1$. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გასვლამდე 48 საათით ადრე. (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

$2^2$. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული თავშესაფრის მაძიებელი უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება უცხოელის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 48 საათისა. (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

3. მოსამართლე საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ან უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების საკითხს განიხილავს და შესაბამის ბრძანებას გამოსცემს შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

4. მოსამართლე უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცეს ბრძანება უცხოელისთვის

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით განსაზღვრული დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ.

5. საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების, უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების ან უცხოელისთვის ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ მოსამართლის ბრძანება შეიძლება ამ თავით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას. (01.12.2016. №47 ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან)

### მუხლი $21^{43}$. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი (05.03.2014. №2047 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)

1. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში მხარისათვის მისი გადაცემიდან 5 დღის განმავლობაში. სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება სააპელაციო სასამართლოს.
2. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება მისი შეტანიდან 14 დღის განმავლობაში.
3. სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სააპელაციო საჩივრის განხილვას.
4. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის ბრძანებას აუქმებს ბრძანებით.
5. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.



### მუხლი $21^{44}$. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი (05.03.2014. №2047 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში უცხოელის სარჩელი საქართველოდან გაძევების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განიხილება და სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება ამ კოდექსის $21^{40}$ და $21^{43}$ მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად და დადგენილ ვადებში.

## თავი VII[11]

## ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე

(12.12.2014. №2947 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს)

### მუხლი $21^{45}$. მოსამართლის ბრძანება კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე (12.12.2014. №2947 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

## მუხლი 21[46]. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა
(12.12.2014. №2947 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ საგადასახადო ორგანომ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა.

2. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა მიეთითოს:

ა) იმ პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო;

ბ) კომერციული ბანკის დასახელება, საიდანაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია;

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღების ფორმა და ვადა.

## მუხლი 21[47]. კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი (12.12.2014. №2947 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი და ის პირი/მისი წარმომადგენელი, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანების გამოცემასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა მოწვევა ვერ ხერხდება).

3. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ.

5. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) საგადასახადო ორგანო, რომელსაც უნდა გადაეცეს მოთხოვნილი ინფორმაცია;

ე) კომერციული ბანკი, რომელმაც საგადასახადო ორგანოს უნდა მიაწოდოს პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;

ვ) ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა;

ზ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

6. შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) განკარგულება შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შესახებ.

7. მოსამართლის ბრძანება დგება 4 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე — პირს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზედაც გამოიცა ბრძანება, მესამე

— კომერციულ ბანკს, ხოლო მეოთხე რჩება სასამართლოში.

8. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

9. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

10. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.

11. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი VII[12]

## ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე (12.12.2014. №2947 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

### მუხლი 21[48]. მოსამართლის ბრძანება კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ინფორმაციის მიწოდების თაობაზე (12.12.2014. №2947 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კომერციული ბანკის ადგილსამყოფლის მიხედვით.



### მუხლი 21[49]. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა (12.12.2014. №2947 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. საგადასახადო ორგანო სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის (გარდა „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (ფАთჩА) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაციისა) გამოთხოვის თაობაზე, თუ სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურმა (უფლებამოსილმა) ორგანომ მოითხოვა ეს ინფორმაცია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად. (28.10.2015. №4467)

2. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს:

ა) იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო; (24.12.2015. №4716)

ბ) კომერციული ბანკის დასახელება, საიდანაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია;

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღების ფორმა და ვადა;

ე) წერილობითი განმარტება, რომ სხვა სახელმწიფოს მოთხოვნა ინფორმაციის მიწოდების თაობაზე აკმაყოფილებს საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებს.

**მუხლი $21^{50}$. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი** (12.12.2014. **№2947** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. **(ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{50}$ მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების: „იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე" ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც:**

**ა.ა) მოსამართლეს ართმევს შესაძლებლობას, ინდივიდუალური გარემოებების შესწავლის საფუძველზე გადაწყვიტოს შუამდგომლობის განხილვაში იმ პირის მონაწილეობის საკითხი, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებას ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე;**

**ა.ბ) პირის სამართალწარმოებიდან გამორიცხვის შემთხვევაში არ ითვალისწინებს მისთვის შეტყობინების ვალდებულებას მას შემდეგ, რაც გაქარწყლდება შეტყობინებასთან დაკავშირებული საფრთხეები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/638 14.02.2017)**

3. მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე, თუ იგი შეიცავს ამ კოდექსის $21^{49}$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

4. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:



ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) საქართველოს საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) კომერციული ბანკი, რომელმაც საგადასახადო ორგანოს უნდა მიაწოდოს პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;

ე) ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა;

ვ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

5. შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) საქართველოს საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) განკარგულება შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შესახებ.

6. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე — კომერციულ ბანკს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანოს ბრძანების გამომცემ სასამართლოში მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. **(ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{50}$ მუხლის მე-7 პუნქტის სიტყვების: „საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანოს ბრძანების გამომცემ სასამართლოში მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში" ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს პირის, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, შესაძლებლობას შეიტანოს საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე. საქართველოს სა-**

**კონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/638 14.02.2017)**

8. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.

9. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი VII[13] ადმინისტრაციული სამართალწარმოება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

### მუხლი 21[51]. ტერმინის განმარტება (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

ამ თავის მიზნებისთვის ტერმინი „პაციენტი" გულისხმობს „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირს.

### მუხლი 21[52]. მოსამართლის ბრძანება პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის საფუძველზე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს, — რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის ადგილსამყოფლის მიხედვით.

2. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების საქმეს განიხილავს და ბრძანებას გამოსცემს ამ თავით დადგენილი წესით.



### მუხლი 21[53]. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ მოსამართლისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვა (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

1. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნით მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიმართავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც განთავსებულია ის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი, რომელმაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა.

2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეული მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ბრძანების გამოცემის თხოვნით მიმართავს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მისთვის შუამდგომლობით მიმართვიდან 72 საათში.

3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვა უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შუამდგომლობას. ამ მიმართვას პაციენტის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებთან (პასპორტი, პირადობის მოწმობა, სხვა დოკუმენტი) ერთად უნდა დაერთოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შუამდგომლობა.

### მუხლი 21[54]. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის განხილვისა და ბრძანების გამოცემის წესი

(11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

1. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისთვის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 48 საათში.

2. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად. საქმის განხილვაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია, თუ ეს საფრთხეს არ შეუქმნის სხვა პირების ჯანმრთელობას. საქმის განხილვაში, პაციენტის გარდა, უნდა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენლები, პაციენტის ადვოკატი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში —პაციენტის სხვა კანონიერი წარმომადგენელი. თუ პაციენტს არ აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, პაციენტის სურვილის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს. არასრულწლოვანი პაციენტის საქმის განხილვისას არასრულწლოვანი პაციენტის ინტერესებს წარმოადგენს მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის განსახილველად ატარებს გასვლით სასამართლო სხდომას იმ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, რომელშიც პაციენტი იმყოფება.

3. მოსამართლე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს, თუ რა მიმართვა განიხილება, ასახელებს სასამართლო პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის წარმომადგენელი ასაბუთებს თავის მიერ წარდგენილ მიმართვას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლის, პაციენტის, მისი ადვოკატის



ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენლის შეკითხვებს. პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ არის მიმართვის განხილვის გადადების საფუძველი.

4. მოსამართლე უფლებამოსილია დაკითხოს იმ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენელი, რომელმაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა. პაციენტი, მისი ადვოკატი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა პირთა დაკითხვაც, რომელთა ჩვენებას საქმესთან დაკავშირებით შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. პაციენტი, მისი ადვოკატი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია მისცეს განმარტებები სასამართლოს და ჩამოაყალიბოს საპირისპირო მოსაზრებები.

5. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. მიმართვის დასაბუთებულობის შემოწმებისა და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების შეფასების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვისა მოთავსების შესახებ.

6. თუ არ არსებობს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, თუ პაციენტი უკვე იმყოფება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაწერილი.

7. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მიეთითება:

ა) ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომელმაც სასამართლოს მიმართვა წარუდგინა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ განკარგულება შესაბამისი დასაბუთებით, აგრეთვე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის ვინაობა;

ვ) ბრძანების მოქმედების ვადა, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. მოსამართლის ბრძანებაში, როგორც წესი, მიეთითება, რომ იგი პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე მოქმედებს, რასაც ადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის/„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე;

ზ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს მოსამართლის ბრძანება;

თ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში მიეთითება:

ა) დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომელმაც სასამართლოს მიმართვა წარუდგინა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) პაციენტის ვინაობა;

ვ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს მოსამართლის დადგენილება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება/დადგენილება დგება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მიმართვის წარმდგენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს, მეორე — იმ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს, რომელმაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა, მესამე — პაციენტს (ან მის ადვოკატს/სხვა კანონიერ წარმომადგენელს), ხოლო მეოთხე ეგზემპლარი რჩება სასამართლოში.



10. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეული უფლებამოსილია სასამართლოს მიერ მისი მიმართვის განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს მიმართვა.

11. მოსამართლე წყვეტს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის წარმოებას „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12. მოსამართლის ბრძანება/დადგენილება ძალაში შედის სასამართლო პროცესის მხარეებისათვის ამ ბრძანების/დადგენილების გამოცხადებისთანავე.

**მუხლი $21^{55}$. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა, ბრძანების მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ბრძანების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის წესები** (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

1. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე, მაგრამ ბრძანების მოქმედების ვადა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. პაციენტის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ყოფნის ვადა აითვლება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე პაციენტის ამ დაწესებულებაში მოთავსების დღიდან.

2. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის ვადის გაგრძელების შესახებ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება არაუმეტეს 2 თვისა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის მიმართვას სასამართლო განიხილავს ამ კოდექსის $21^{54}$ მუხლით დადგენილი წესით, მისი წარდგენიდან 72 საათში.

3. პაციენტმა შეიძლება მიმართოს სასამართლოს მის მიმართ

არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის შუამდგომლობით, თუ იგი მიიჩნევს, რომ არანებაყოფლობით იზოლაციაში ყოფნისას ირღვევა მის მიმართ „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები, ან აღარ არსებობს არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძველი. სასამართლო შუამდგომლობის მიღებიდან 72 საათში წყვეტს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის საკითხს. სასამართლო ამ გადაწყვეტილების მიღებისას სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს პაციენტის მიერ არანებაყოფლობითი იზოლაციის პირობებში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო წამლების მიღების აღდგენის საკითხს. სასამართლოს მიერ პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პაციენტი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მეთვალყურეობით განაგრძობს. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პაციენტის მიმართვა განიხილება ამ კოდექსის $21^{54}$ მუხლით დადგენილი წესით.

4. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებიდან პაციენტის გაწერის თაობაზე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება მაგისტრატ მოსამართლეს ან/და შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

### მუხლი $21^{56}$. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების/დადგენილების გასაჩივრება (11.12.2015. №4630 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

1. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება/დადგენილება შეიძლება სააპელაციო სასამართლოში ამ მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივრონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისმა ადგილობრივმა ერთეულმა, აგრეთვე პაციენტმა, მისმა ადვოკატმა, მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა.

2. მოსამართლის ბრძანების/დადგენილების გაუქმების შესახებ საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების/დადგენილების გამომცემ/გამომტან სასამართლოში მხარისთვის ბრძანების/დადგენილების ასლის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება.

3. მოსამართლის ბრძანების/დადგენილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს ამ ბრძანების/დადგენილების მოქმედებას.

4. საჩივარს სააპელაციო სასამართლო განიხილავს არსებითად, საჩივრის შეტანიდან 1 კვირის ვადაში, ამ კოდექსის $21^{54}$ მუხლით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა. თუ ეს ექსპერტიზა დანიშნულია სასამართლოს ინიციატივით, იგი ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე. მხარის მოთხოვნით დანიშნული ექსპერტიზა ტარდება ამ მხარის ხარჯზე. (07.03.2018. №2036)

5. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ მოსამართლის დადგენილებას — დადგენილებით.

6. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება/დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი VII$^{14}$. ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით (27.04.2016. №5013)

### მუხლი $21^{57}$. სასამართლოსთვის ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით მიმართვა (27.04.2016. №5013)

1. ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართ-

ლოსთვის მიმართვის უფლება აქვს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ — კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა. (22.12.2016. №202)

2. პირი ან მისი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს წარუდგენს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უნდა ერთოდეს:

ა) პირის მიმართ კონვენციის დარღვევის ან/და სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე კომიტეტის გადაწყვეტილების ასლი;

ბ) პირის წარმომადგენლის მიერ სარჩელის წარდგენისას – წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

### მუხლი $21^{58}$. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვა (27.04.2016. №5013)

1. მოსამართლე ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის შეტანიდან 5 დღის ვადაში განიხილავს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს.

2. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად გონივრულ ვადას დაუნიშნავს. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს აღნიშნულ განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების



შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად მოსარჩელეს დაუბრუნებს.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

4. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლე სარჩელს და თანდართული დოკუმენტების ასლებს დაუყოვნებლივ უგზავნის მოპასუხეს და განუსაზღვრავს მას შესაგებლის წარდგენის ვადას.

### მუხლი $21^{59}$. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვა (27.04.2016. №5013)

ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს პირის მიმართ კონვენციის დარღვევის ფაქტს, რომელიც დასტურდება კომიტეტის გადაწყვეტილებით.

### მუხლი $21^{60}$. ფულადი კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტის წესი (27.04.2016. №5013)

1. ამ თავით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას მოპასუხეა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას რაიონული (საქალაქო) სასამართლო იღებს პირის მიმართ კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დარღვევის სიმძიმისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით.

3. ამ თავით გათვალისწინებული საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, სასამართლო აღნიშნულ საქმეს ზეპირი მოსმენით განიხილავს. ამ თავით გათვალისწინებული საქმე განიხილება საქმის განხილვისათვის საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო ვადაში და დადგენილი წესით.

4. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

5. სააპელაციო საჩივარი წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, რომელიც მას თანდართულ მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სააპელაციო სასამართლოს.

6. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

7. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი $VII^{15}$. ადმინისტრაციული სამართალწარმოება შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით (05.07.2018. №3095) (07.03.2018. №2050 ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან)

### მუხლი $21^{61}$. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობის განხილვა (05.07.2018. №3095) (07.03.2018. №2050 ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან)

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ წარდგენილ სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობას სასამართლო 48 საათის განმავლობაში, მხარეთათვის შეუტყობინებლად განიხილავს. საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს აღნიშნული შუამდგომლობის ზეპირი განხილვა, თუ ეს ხელს შეუწყობს საქმის გარემოებათა გარკვევას. ამ შუამდგომლობის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სასამართლო სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას. (29.09.2020 N7180)

2. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით.

### მუხლი $21^{62}$. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრება (05.07.2018. №3095) (07.03.2018. №2050 ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან)

1. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

2. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე საჩივარი შეიტანება ამ განჩინების მიმღებ სასამართლოში, მხარისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 48 საათში.

3. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება.

4. საჩივარს სააპელაციო სასამართლო განიხილავს ერთპიროვნულად, შეტანიდან 48 საათში, ამ კოდექსის $21^{61}$ მუხლით დადგენილი წესით.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი VII[16]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით (28.06.2019. №4908)

### მუხლი 21[63]. მოსამართლის ბრძანება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე (28.06.2019. №4908)

პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.

### მუხლი 21[64]. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა (28.06.2019. №4908)

საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში მითითებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის და იმ პირის ზუსტი მონაცემები, რომლის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო.

### მუხლი 21[65]. პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების საკითხის გადაწყვეტის წესი (28.06.2019. №4908)

1. მოსამართლე პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას გამოსცემს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, მისი სასამართლოსთვის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას ერთპიროვნულად განიხილავს. სასამართლო სხდომაზე ამ შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი, გადასახადის გადამხდელი და ის პირი, რომლის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა მოწვევა ვერ ხერხდება).

3. მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ. მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც სასამართლოს შუამდგომლობა წარუდგინა;

დ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ;

ე) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. მოსამართლის ბრძანება დგება ოთხ ეგზემპლარად. ამ ბრძანების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე — გადასახადის გადამხდელს, მესამე - იმ პირს, რომლის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო, ხოლო მეოთხე ეგზემპლარი რჩება სასამართლოში.

6. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვისთანავე. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

7. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, აღნიშნული ბრძანების ეგზემპლარის მხარისთვის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

8. საჩივარს სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 10 დღის ვადაში.

9. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# თავი VII[17]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებასთან დაკავშირებით (13.07.2020 N6759 ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)

## მუხლი 21[66]. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის წესი (13.07.2020 N6759 ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების სახით გამოსცეს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი.

2. ელექტრონული ზედამხედველობა წესდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 32 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ არსებობს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე.

3. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის ადგილის მიხედვით.

4. სასამართლო ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დასამტკიცებლად წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის ნაწილობრივ დამტკიცება გულისხმობს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმში მითითებული ვადის შეცვლას. სასამართლო მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების საფრთხის რეალურობის გათვალისწინებით. ძალადობის განმეორების საფრთხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, წარსულში მოძალადის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და დარღვევის ხასიათი, წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მოძალადის მხრიდან მუქარა ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამომცემი პოლიციის უფლებამოსილი პირის ან სასამართლო პროცესის მონაწილე სხვა პირის შესაბამის სასამართლოში გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის განხილვას და სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

5. მოსამართლე უფლებამოსილია სასამართლო პროცესის მონაწილე მხარის (არასრულწლოვანის შემთხვევაში — მისი კანონიერი წარმომადგენლის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

6. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა იყოს ასახული მოძალადისთვის დაწესებული შეზღუდვები და მსხვერპლის დასაცავად განსაზღვრული ღონისძიებები.

7. სასამართლო ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრავს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის მოქმედების ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადას. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციე-

ლების ვადის განსაზღვრისას სასამართლო სხდომაზე პოლიციის უფლებამოსილი პირის ან სასამართლო პროცესის მონაწილე სხვა პირის დასწრების შემთხვევაში სასამართლო ისმენს მის პოზიციას.

8. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითება:

ა) ამ გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება; მოსამართლის სახელი და გვარი;

გ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

დ) მოძალადის, მსხვერპლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე;

ვ) იმ შემაკავებელი ორდერის რეკვიზიტები, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოიყენება ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიება;

ზ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემას;

თ) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების ვადა;

ი) ინფორმაცია მოძალადის ნასამართლობის შესახებ;

კ) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე მსხვერპლის თანხმობა, არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში - მსხვერპლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა. თუ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე არასრულწლოვანი თანხმობას აცხადებს, ხოლო მისი კანონიერი წარმომადგენელი/საპროცესო წარმომადგენელი - უარს, გადაწყვეტილება მიიღება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;

ლ) მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების აკრძალვის შესახებ;

მ) სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განსახორციელებლად.



9. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ეს გადაწყვეტილება დგება რამდენიმე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 რჩება სასამართლოში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები ამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში ეგზავნება:

ა) მოძალადეს;

ბ) მსხვერპლს;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს;

ე) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამომცემ ორგანოს;

ვ) მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, თუ საკითხი არასრულწლოვან მსხვერპლს ეხება.

10. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^{1}$ მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომიდან 24 საათის განმავლობაში პოლიცია ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების გაუქმების მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის ადგილის მიხედვით. სასამართლო ამ მიმართვის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს აღნიშნულ საკითხს და ამ მუხლის მე-4, მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესების დაცვით იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ.

**მუხლი $21^{67}$. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი** (13.07.2020 N6759 ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)

ამ კოდექსის $21^{66}$ მუხლით განსაზღვრული, პირველი ინსტან-

ციის სასამართლოს მიერ მიღებული მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის მოქმედებას. აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავი VII[18]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

### მუხლი 21[68]. მოსამართლის ბრძანება ეკონომიკური აგენტის/ ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ
*(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ ბრძანებას ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.



### მუხლი 21[69]. სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის/ ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ
*(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების დაწყებამდე.

2. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს და მისი გამოყენების საჭიროების დასაბუთებას. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე ზუსტი მონაცემები, რომელიც/რომლებიც უნდა შემოწმდეს/შემოწმდნენ, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები.

### მუხლი 21[70]. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი
*(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს (ბრძანებას გამოსცემს) ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, იმ ეკონომიკური აგენტისათვის/ეკონომიკური აგენტებისათვის შეუტყობინებლად, რომლის/რომელთა ადგილზე შემოწმებასაც ითხოვს სააგენტო.

3. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ, შესაბამისი დასაბუთება და იმ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც/რომლებიც შემოწმდება/შემოწმდებიან;

გ) ბრძანების მოქმედებისა და ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების ვადა;

დ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

4. თუ მოსამართლე არ ეთანხმება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებას, ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი დასაბუთება და იმ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე ინფორმაცია, რომლის/რომელთა ადგილზე შემოწმებაზედაც უარი ითქვა;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, ხოლო ორი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს. სააგენტო ერთ ეგზემპლარს წარუდგენს (გადასცემს) ეკონომიკურ აგენტს/ეკონომიკურ აგენტებს ადგილზე შემოწმების დაწყებამდე.

6. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს, მეორე — ეკონომიკურ აგენტს/ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადაა არაუმეტეს 1 კვირისა. თუ ეს ვადა აღნიშნული შემოწმებისთვის საკმარისი არ იქნება, დასაშვებია, იგი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ სააგენტოს მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე არაუმეტეს 1 თვით გაგრძელდეს. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შედეგად მოპოვებული მონაცემები და მიზეზი, რომლის გამოც ვერ მოხერხდა საქმის მოკვლევისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. სააგენტოს შუამდგომლობა განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით.

8. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ/ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება საჯაროდ არ ცხადდება.

**მუხლი $21^{71}$. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ/ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი** *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება სააგენტომ შეიძლება მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 48 საათის განმავლობაში გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ, ეკონომიკური აგენტისათვის/ეკონომიკური აგენტებისათვის შეუტყობინებლად უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისათვის დადგენილი წესით.

2. ეკონომიკურმა აგენტმა/ეკონომიკურმა აგენტებმა შეიძლება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანება მისთვის/მათთვის ბრძანების ეგზემპლარის წარდგენიდან (გადაცემიდან) 48 საათის განმავლობაში გაასაჩივროს/გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარში უნ-

და აღინიშნოს ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების დაწყებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობის შესახებ. საჩივარი შეიტანება აღნიშნული ბრძანების გამომცემ სასამართლოში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს და ამის შესახებ ატყობინებს მხარეებს. სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს შეტანიდან 72 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მხარეებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა.

3. სააპელაციო სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ/ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## თავი VII[19]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტისაგან/ მხარისაგან/ დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით

*(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

### მუხლი 21[72]. მოსამართლის ბრძანება ეკონომიკური აგენტის/ მხარის/ დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ ბრძანებას შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/ მხარისაგან/ დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

### მუხლი 21[73]. სააგენტოს შუამდგომლობა შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/ მხარისაგან/ დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. სააგენტო უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/ დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ, თუ სააგენტომ მას ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა და ეს ინფორმაცია/დოკუმენტაცია განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარდგენილი.

2. შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის თაობაზე ზუსტი მონაცემები, რომლისგანაც სააგენტო ითხოვს ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენას, და მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსი.

### მუხლი 21[74]. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გამოცემისა და გასაჩივრების წესები *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის

წარდგენის შესახებ ბრძანებას შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ეკონომიკური აგენტი/მხარე/დაინტერესებული მხარე, რომელმაც სააგენტოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს;

გ) ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ფორმა და ვადა;

დ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ე) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.



6. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს, მეორე — ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

8. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 48 საათის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

9. სააპელაციო სასამართლო ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან 72 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გარეშე.

10. სააპელაციო სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის/მხარის/ დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## თავი $VII^{20}$. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

### მუხლი $21^{75}$. მოსამართლის გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

### მუხლი $21^{76}$. სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს და მისი გამოყენების საჭიროების დასაბუთებას. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება ეკონომიკური აგენტის თაობაზე ზუსტი მონაცემები და მისი იმ ქმედების შინაარსი, რომლის დროებით შეჩერებასაც ითხოვს სააგენტო.



### მუხლი $21^{77}$. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების საკითხის გადაწყვეტის წესი *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს წარდგენიდან 1 თვის განმავლობაში.

2. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, რის შესახებაც ამ შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 დღისა ატყობინებს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს და მას საქმის მასალებს უგზავნის. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს სააგენტოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

3. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილება მიიღება ბრძანების ფორმით.

4. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაბამის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ინფორმაცია ეკონომიკური აგენტისა და მისი იმ ქმედების თაობაზე, რომელიც შეჩერდება;

გ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

დ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაბამის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, საა-

გენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს, მეორე — ეკონომიკურ აგენტს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

### მუხლი 21[78]. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება შეიძლება ერთხელ გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

2. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 5 დღის ვადაში.

3. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების



მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება.

4. სააპელაციო სასამართლო ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან 14 დღის განმავლობაში, ამ კოდექსის 21[77] მუხლით დადგენილი წესით.

5. სააპელაციო სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## თავი VII[21]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხებთან დაკავშირებით *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

### მუხლი 21[79]. მოსამართლის გადაწყვეტილება თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით ან 11[1] მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგე-

ნის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ სააგენტოს ან ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს (ამ თავის მიზნებისათვის, ორივე ერთად და თითოეული ცალკე, შემდგომ - უფლებამოსილი ორგანო) შუამდგომლობის საფუძველზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

### მუხლი 21$^{80}$. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს შესაბამისი ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს და სათანადო დასაბუთებას. შუამდგომლობაში მიეთითება კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტების თაობაზე ზუსტი მონაცემები.

2. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას უნდა დაერთოს უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება და საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

### მუხლი 21$^{81}$. კონცენტრაციის გაუქმების საკითხის გადაწყვეტის წესი *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1. მოსამართლე კონცენტრაციის გაუქმების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან 3 თვის ვადაში.



2. მოსამართლე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, რის თაობაზედაც შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა ატყობინებს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს და მათ საქმის მასალებს გადასცემს (უგზავნის). მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

3. კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტები უფლებამოსილი არიან მათთვის საქმის მასალების გადაცემიდან (გაგზავნიდან) არაუგვიანეს 10 დღისა სასამართლოს წერილობით წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები.

4. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ;

ბ) თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

5. მოსამართლე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ/თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბრძანების ფორმით. ამ ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება კონცენტრაციის გაუქმების შესახებ ან განკარგულება კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი ვადები და განსახორციელებელი ღონისძიებები;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ/თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა (ეგზავნება) კონ-

ცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს (მხარეებს) და უფლებამოსილ ორგანოს.

**მუხლი $21^{82}$. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი** *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45–ე დღეს)*

1. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

2. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარეებისათვის ბრძანების ეგზემპლარების გადაცემიდან (გაგზავნიდან) 5 დღის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

3. სააპელაციო სასამართლო თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში, ამ კოდექსის $21^{81}$ მუხლით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისათვის დადგენილი წესით.

4. სააპელაციო სასამართლოს მიერ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მუხლი $21^{83}$. მოსამართლის ბრძანება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ** *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45–ე დღეს)*

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (ბრძანებას გამოსცემს) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.



**მუხლი $21^{84}$. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ** *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45–ე დღეს)*

1. ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მიღებისათვის (ბრძანების გამოცემისათვის) საკმარის საფუძველს და სათანადო დასაბუთებას. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის თაობაზე ზუსტი მონაცემები, რომლის იძულებით დაყოფასაც ითხოვს უფლებამოსილი ორგანო.

2. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთგზის დარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

ბ) ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის დაყოფის (საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების) შესაძლებლობის შესახებ;

გ) საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

3. სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხის განხილვაზე ვრცელდება ამ კოდექსის $21^{79}$-$21^{82}$ მუხლებით დადგენილი წესები.

## თავი VIII
## ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

**მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილადცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში — უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

**4. ამოღებულია (04.07.2007. №5198** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

**5. ამოღებულია (28.12.2007. №5670** ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

6. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში არ დაიშვება შეგებებული სარჩელის წარდგენა. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)



**მუხლი 23. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში არ დაიშვება შეგებებული სარჩელის წარდგენა. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

**მუხლი 24. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე**

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან))

2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. (28.12.2007 №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

**მუხლი 25. აღიარებითი სარჩელი**

1. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის

15 ივლისიდან)

2. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

### მუხლი 25[1]. სახელშეკრულებო დავები (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. (26.06.2009. №1346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)

### მუხლი 26. სარჩელის წარდგენა განსჯად სასამართლოში (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

2. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

3. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.



### მუხლი 26[1]. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა (24.02.2000. №169)

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები.

**2. ამოღებულია (29.12.2004. №932)**

3. სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

### მუხლი 26[2]. განმწესრიგებელი სხდომა (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

1. სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე—25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. თუ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სასამართლო სარჩელის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს განმწესრიგებელ სხდომას. მხარეთა გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას.

2. სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე—25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კერძო საჩივრით გასაჩივრებას ექვემდებარება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და სარჩელის დაუშვებლად ცნობის გამო საქმის

წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებები.

4. სააპელაციო სასამართლო კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და განჩინების გაუქმების შემთხვევაში საქმეს განსახილველად უბრუნებს განსჯად სასამართლოს.

5. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით.

6. საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, რომელიც არ საჩივრდება.

**მუხლი 27. გამარტივებული სამართალწარმოება**

სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

**მუხლი $27^{1}$. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საკითხების განხილვის წესი** (01.06.2017. №950)

1. პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით ან 43-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საჩივრის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ძალაში დატოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს (შემდგომ - ადგილობრივი საბჭო) გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ; *(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

ბ) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა; *(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

გ) ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.*(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებული შეაფასოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების შესაბამისად - სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, ხოლო 43-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების შესაბამისად - სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შემთხვევაში.

3. პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილითა და 43-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო ადგილობრივი საბჭოს ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო პატიმრობის კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 90-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს - პირველი ინსტანციის სასამართლო პენიტენციური დაწესებულების ადგილსამყოფლის მიხედვით.*(29.11.2019 N5407 ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)*

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაადგინოს სასამართლო განხილვაში ამავე მხარის დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაწილეობა.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცევა მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

**მუხლი 28. დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება**

1. სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს
გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

2. დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია:

ა) შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა;

ბ) მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის;

გ) არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;

დ) შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

**მუხლი $28^{1}$. მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე პროცესის დაჩქარების მიზნით** (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

**მუხლი 29. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

3. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს ხდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას, გარდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას ან კომერციული ბანკის დეპოზიტართა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს ან/და კომერციული ბანკის ან ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა. (20.12.2019 N5656)

4. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირ-

ველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც.

6. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში და ერთი დღის ვადაში უგზავნის მხარეებს.

7. თუ შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

8. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

9. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

### მუხლი 30. განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

სასამართლოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის შეჩერების თაობაზე ძალას კარგავს:

ა) მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას;

ბ) სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულების შემთხვევაში.



### მუხლი $30^{1}$. განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრისას მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა.

2. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

3. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

### მუხლი 31. დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.

2. დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სა-

სამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში — სააპელაციო სასამართლო.

**მუხლი 32. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით**

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

3. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

4[1]. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში აღნიშნული აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია, თუ ამ მდგომარეობის აღდგენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ საქართველოს ეროვნულ ბანკს შეიძლება დააკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. (20.12.2019 N5656)

5. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო ძალა. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ანდა გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, ან საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტის, მათ შორის, კომერციული ბანკის რეზოლუციის პროცესში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად გამოცხადებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას ან/და კომერციული ბანკის დეპოზიტართა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია ამ ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადების ნაცვლად ძალადაკარგულად გამოაცხადოს. (15.07.2020 N6881)

6. სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი. გამოქვეყნება ხორციელდება ნორმატიული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ხარჯით. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

**მუხლი 33. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

2. სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლოს მიერ გამოტანილ ამ გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესი.

**მუხლი 33[1]. სასამართლოს გადაწყვეტილება მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.



## თავი IX
## აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება
(სათაური 04.05.2010. №3046)

**მუხლი 34. სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობა** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. სააპელაციო და საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დასაშვებია, მიუხედავად სარჩელის ფასისა. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

1[1]. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს შემდეგი საქმეები: (07.03.2018. №2036)

ა) სააპელაციო საჩივრები, რომლებიც შეტანილია შემდეგ საქმეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე:

ა.ა) ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დავები;

ა.ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული დავა;

ა.გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებული დავა;

ა.დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებული დავა;

ა.ე) ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა;

ა.ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავა;

ა.ზ) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სააღსრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა;

ა.თ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ დავა;

ა.ი) „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავა;

ბ) კერძო საჩივრები;

გ) საჩივრები/სააპელაციო საჩივრები ამ კოდექსის VII$^{1}$ და VII$^{3}$-VII$^{14}$ თავებით გათვალისწინებულ დავებზე.

დ) საჩივრები/სააპელაციო საჩივრები ამ კოდექსის VII$^{18}$-VII$^{21}$ თავებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებებით განსაზღვრულ დავებზე. *(16.09.2020 N7127 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს)*

1$^{2}$. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ: (07.03.2018. №2036)

ა) სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მასში მოთხოვნილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება;

ბ) აშკარაა, რომ სახეზეა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით (გარდა აღნიშნული მუხლის „ე" და „ე$^{1}$" ქვეპუნქტებისა) განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები;

გ) მოპასუხემ ცნო სარჩელი.

1$^{3}$. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ. (07.03.2018. №2036)

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულმა მესამე პირებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: (08.02.2017. №258 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე



სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

3$^{1}$. ამ მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. (28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

4. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე. (28.12.2007. №5670)

5. თუ საკასაციო სასამართლო საკონსულტაციო დასკვნისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართავს, საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე ამ მუხლის 3$^{1}$ და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ვადების დინება ჩერდება. (29.05.2015. №3667 ამოქმედდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის საქართველოს მიმართ ამოქმედებისთანავე)

### მუხლი 34$^{1}$. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში

(28.12.2007. №5670 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

1. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები მხოლოდ იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რა საფუძვლითაც დაუშვა საჩივარი საკასაციო სასამართლომ.

2. საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.

**მუხლი 34². ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების დაუშვებლობა** (04.05.2010. №3046)

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოიყენება.

## თავი IX¹. გარდამავალი დებულებანი

(24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

**მუხლი 35** (24.06.2005. №1800 ამოქმედდეს 2005 წლის 15 ივლისიდან)

1. ამ კანონის ამოქმედებამდე საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული და გადაწყვეტილი იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

2. ამ კანონით გათვალისწინებულ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას 2005 წლის 1 ნოემბრამდე ახორციელებენ საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.

3. საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ 2005 წლის 15 ივლისამდე წარმოებაში მიღებული საქმეები, რომელთა განხილვა წარმოადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაეცემა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

4. 2005 წლის 1 ნოემბრამდე დარეგისტრირებული საკასაციო საჩივრების განხილვაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედება.

5. 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შემდეგ საქმეებზე: (29.12.2006. №4307)

ა) ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე;

გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებულ დავაზე;

დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავაზე;

ე) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაზე საიჯარო ურთიერთობის თაობაზე;

ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავაზე;

ზ) კერძო საჩივარზე.

თ) ამ კოდექსის 21²³ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში. (11.07.2007. №5281 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდა მე-15 დღეს)

6. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ საქმეებზე დაწყებულ სააპელაციო წარმოებას ერთპიროვნულად აგრძელებს სააპელაციო (საოლქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ის მოსამართლე, რომელიც გამწესებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. (25.11.2005. №2133)

**მუხლი 35¹. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება** (29.12.2006. №4214)

თუ ამ კოდექსის VII² თავის შესაბამისად, მხარის მიმართ გამოტანილია სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მხარეს უფლება აქვს, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს

სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება ამ კოდექსის VII[2] თავის ამოქმედების მომენტიდან გამოტანილ ყველა სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

### მუხლი 35[2]. სასამართლოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით შეტანილ სარჩელზე საქმის წარმოების წესი (08.07.2015. №3978)

სასამართლოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით 2015 წლის 1 ოქტომბრამდე შეტანილ სარჩელზე, რომელზედაც საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, საქმის წარმოება დასრულდეს საერთო სასარჩელო წესით.

### მუხლი 35[3]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემის წესი (27.04.2016. №5013)

1. პირი, რომლის მიმართაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ან ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა ამ კოდექსის VII[14] თავის ამოქმედებამდე მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე, უფლებამოსილია აღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ფულადი კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს ამ კოდექსის VII[14] თავით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირმა სასამართლოს უნდა მიმართოს ამ კოდექსის VII[14] თავის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში.



### მუხლი 35[4]. მოსამართლის დადგენილება იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე (10.03.2017. №381)

1. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 — კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა (2014—2020)" საქართველოს მონაწილეობის შესახებ" შეთანხმების ფარგლებში და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გამოსცემს დადგენილებას იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

2. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანო თავის შუამდგომლობაში უთითებს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ევროკომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იურიდიული პირის, მისთვის დაკისრებული ფულადი ვალდებულების ოდენობის და ამ იურიდიული პირის ქონების შესახებ მონაცემებს (ევროკომისიის გადაწყვეტილებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. მოსამართლე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, რის თაობაზედაც ამ შუამდგომლობის მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათისაატყობინებს შუამდგომლობაში მითითებულ იურიდიულ პირს და უგზავნის მას შესაბამის საქმის მასალებს.

4. მოსამართლე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან 10 დღის ვადაში გამოსცემს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დადგენილებას.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოსამართლის დადგენილებაში აღინიშნება:

ა) დადგენილების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) მონაცემები შუამდგომლობის ავტორის შესახებ;

დ) იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე;

ე) მონაცემები იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იურიდიული პირის შესახებ;

ვ) იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილებით იურიდიული პირისათვის დაკისრებული ფულადი ვალდებულების ოდენობა;

ზ) მონაცემები იურიდიული პირის ქონების შესახებ (ევროკომისიის გადაწყვეტილებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) დადგენილების გასაჩივრების წესი;

ი) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოსამართლის დადგენილება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, მეორე ეგზავნება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ორგანოს, ხოლო მესამე - საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობაში მითითებულ იურიდიულ პირს. თუ მოსამართლის დადგენილების აღნიშნული იურიდიული პირისათვის გადაცემა ვერ ხერხდება, იგი ქვეყნდება საჯაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

### მუხლი 35$^{5}$. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების ძალაში შესვლა და გასაჩივრება (10.03.2017. №381)

1. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე. ამ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

2. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გამოცემისას საპროცესო დარღვევების შემთხვევაში ამ დადგენილების გაუქმების შესახებ საჩივარი შეიტანება მის გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის დადგენილების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ აღნიშნული დადგენილების მხარისათვის გადაცემა ვერ ხერხდება — მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში. დადგენილების გამომცემი მოსამართლე საჩივარს შესაბამის საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საჩივარს სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 15 დღის ვადაში.

4. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მუხლი 35$^{6}$. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმება ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსრულების შეწყვეტის საფუძველზე (10.03.2017. №381)

1. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმების საფუძველია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსრულების შეწყვეტის შესახებ.

2. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანო ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმების მოთხოვნით.

3. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე იღებს ამ კოდექსის $35^4$ მუხლით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით.

## თავი X
## დასკვნითი დებულება (29.12.2006. №4214)

**მუხლი 36. კოდექსის ამოქმედება** (29.12.2006. №4214)
ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,
1999 წლის 23 ივლისი.
№2352 - რს